

N 8

ეროზთა კავშირის კომიტეტის ორგანო.



ტფილისი. ქართული ბეჭდვითი ამხანაგობის სტამბა. რუსთაველის პრ. № 26.
1920

შ ი ნ ა ა რ ს ი :

	გვერდი
1. ერობა და კულტურული მუშაობა	3
2. ერობათა კავშირის მოწოდება	5
3. ლ. ასათიანი—არსებული კანონი თემის შესახებ	6
4. ნ. საქარელი—ფიქრები საერობო თვითმართველობის შესახებ	12
5. ნარი—ერობის მუშაობა	15
6. ექიმი ი. ლომოური—ერობა და ერის გაჯანსაღება	21
7. ბ. თევზაია—საზოგადოებრივი წარმოება	28
8. გ. ბენაშვილი—საერობო სტატისტიკის საკითხები	30
9. სოციალ—ეკონომიური უფლებები საქართველოს კონსტიტუტ.	33
10. გ. სა—ქედელი პატარა წერილები	36
11. სათემო კანონ-პროექტის გამო	42
12. კრიტიკა და ბიბლიოგრაფია	64

ქრონიკა

5 667

ორკვირეული საერთო ჟურნალი

ერო მათა კავშირის კომიტეტის ორგანო.

ტფილისი. ქართული ბეჭდვითი ფაბრიკის სტამბა, რუსთაველის პრ. № 26.
1920



7. კრებამ დაადგინა: დაევალოს ხარჯთ-გამწერ და ამკრეფე კომისიას მოა-
ხდინოს საჩქაროთ სკოლების და საერთო სათემო ხარჯების გაწერა და აკრეფა.

8. კრებამ სოფ. ოფურჩხეთის ხმოსანთა განცხადების თანახმად დაადგინა
შეიძინონ მათ ახლი სკოლისათვის სახლი; ხოლო მანამდე ხმოსანი იასონ იობი-
ძე შეპპირდა თავის სახლის თხოვებას სკოლისათვის.

პ რ ი ს თ ი ა და გ ი ვ ლ ი ო ბ რ ა ვ ი ა .

ჩვენი ქალაქი. (გამოცემა საქართველოს რესპუბლიკის ქალაქის კავშირის
მთავარ კომიტეტისა).

რედაქციამ მიიღო პირველი ნომერი ჟურნალ „ჩვენი ქალაქისა“ შემდეგი
შინაარსით: ს. ავალიანი — რესპუბლიკის ქალაქების წარმოება; ლ. ასათიანი — გლე-
ხთა უფლებანი ტყეზე და დამფუძნებელ კრების დეკრეტი ტყის მავნებლობისა
და სარგებლობისა: ვიქტორი. — როგორ უნდა მართავდეს საქართველოს
რესპუბლიკა თავის სამკურნალო ადგილებს? — საქართველოს კონსტიტუციის
პროექტიდან — ადგილობრივი მმართველობა. მეღ. რუსია. — ადგილობ. მმართვე-
ლობა; განმარტებითი ბარათი. ქრონიკა.

რუსულათ: ვ. მიხაილოვიჩი. — კომუნალური კრედიტი, მისი სისტემა.

და ორგანიზაცია. ვ. იანოვიჩი. — ცოტა რამ „სხვა და სხვა გვარ“ იდ ვე-
ბის შესახებ სათემო კანონ. პროექტის გამო. დამატება კ. კიკაღეიშვილი. — სამ-
კურნალო სასანიტარო საბჭოს მეცადინეობის პროგრამა ქალაქთა კავშირის სა-
მედიკო-სასანიტარო განყოფილებასთან 1920 წ.

ზუგდიდის სამაზრო ერობის უწყება. ეს უწყება გამოდის სამაზრო ერო-
ბის გამგეობის გამოცემით კვირაში ერთხელ, საინფორმაციო ხასიათისაა, სადაც
თავსდება სავალდებულო დადგენილებანი და განკარგულებანი და აგრეთვე ცნო-
ბანი ერობის გამგეობისა. დაბეჭდილია ნახევარ თაბახ ქალაქზე სუფთათ და
ლამაზათ.

რედაქტორები: || გრ. ლორთქიფანიძე.
პ. საყვარელიძე.

გამომცემელი: ერობათა კავშირის კომიტეტი.



ეროვნება და კულტურული მუშაობა.

დღეს როგორც კერძო, ისე საზოგადოებრივი ყურადღება შეპყრობილია უმეტესად ეკონომიური საკითხით, ყველა სურსათზე ლაპარაკობს, ყველაფერი პურიით იზომება... ყველა ცდილობს როგორმე თავი დააღწიოს ეკონომიურ კრიზისს.. ეს არც გასაკვირია. საქმე ეხება ფიზიკურ არსებობას, მაგრამ „არა ერთითა პურითა ცხონდების კაცი“. საქიროა სულიერ საზრდოსთვის კულტურული მუშაობაც, რაც ჩვენი აზრით დღეს, მიუხედავად იმისა, რომ თითქო კულტურული მუშაობისათვისაც ვფუსფუსებთ, იგი მაინც მოდუნებულია; მას გარს შემორტყმული აქვს მძიმე ეკონომიური რკალი.

ამ მხრივ ძალიან ბევრი აქვს გასაკეთებელი ჩვენს ერობებს; მათი საქმიანობა ჩვენი ცხოვრების ერთმა დარგმა არ უნდა ჩაყლაპოს; არა ნაკლები ენერჯიაა საქირო სოფლად კულტურული მუშაობის გასაჩაღებლად. არ შეიძლება ითქვას, რომ ჩვენი ერობები არ აქცევდენ ყურადღებას კულტურულ მუშაობას. როგორ არა, — ისინი ამ მხრივაც ეწევიან, შეძლებისადაგვარად, მოღვაწეობას, მაგრამ ჯერ მაინც ძალიან ცოტა გაკეთდა-კიდევ ბევრი გასაკეთებელი წინ გვიდევს ჩვენი სოფლის ჯეროვან კულტურულ სიმაღლის ასვლამდე. ავიღოთ თუ გინდ ჩვენი სასოფლო, სახალხო სკოლები, რომლებიც დღეს ძალიან უნაჭგემო მდგომარეობაშია: შედგა უვარგისი სასკოლო მოწყობილება ყოვლად შეუფერებელი და ზოგან მასწავლებლებიც გამოუსადეგარი და ასეთ მდგომარეობაში მყოფ სკოლიდან რა კეთილი ნაყოფს უნდა მოველოდეთ. სახალხო სკოლა ეს პირველი საფეხურია სწავლა-აღზრდის საქმეში და პირველად აქ იფურჩქნება ნორჩი მოზარდის გონება, — ამისათვის ერობებმა უმთავრესი ყურადღება უნდა მიაქციონ სახალხო სკოლას. გარდა ამისა არის ჩვენში მრავალი სოფლები, განსაკუთრებით რესპუბლიკის აღმოსავლეთ ნაწილში, სადაც დღემდე არ არსებობს ბიბლიოთეკა-სამკითხველოები; ეს იმ დროს, როცა გლეხი გაფაციცებით ადევნებს თვალ ყურს მის გარეშე მომხდარ ამბებს და სანთლით დაეძებს გაზეთის ნაგლეჯს და მის წა-

მკითხველს. ბიბლიოთეკა-სამკითხველოებსაც სათანადო ყურადღება უნდა მიექცეს, არ უნდა დარჩეს არც ერთი სოფელი უბიბლიოთეკოდ.

არ უნდა დარჩეს სოფლად არც ერთი მოქალაქე, რომელმაც თავისი შესაფერისი კულტურული, სულიერი საზრდა ვერ ნახოს თავისვე სოფელში; ახალგაზრდობამ სკოლაში, მოზრდილებმა კიდევ სამკითხველოსა და საკვირაო სკოლაში უნდა მოხდებნონ თავისი საზრდა. მაგრამ საკვირაო სკოლები ჩვენში ხომ თითქმის არსად არ არსებობენ. ხსენებულ სკოლებს უადრესი მნიშვნელობა აქვთ სოფლისათვის: აქ გარდა მოზრდილისთვის წერა-კითხვის სწავლებისა, შეიძლება სახალხო საუბრის გამართვა სხვა და სხვა საჭირ-ბოროტო საკითხებზე, დაბიურ გასაგებ ენაზე ლექციების კითხვა სხვა და სხვა დარგიდან და სხვა.

სახალხო წარმოდგენებიც ძალიან შეუწყობს ხელს ხალხის კულტურულ განვითარებას; ზაფხულობით კიდევაც აწყობენ ხოლმე სახალხო წარმოდგენებს ახალგაზრდები, მაგრამ ამ საქმესაც ერთგვარი ხელმძღვანელობა სჭირია; ჰიესების შერჩევა და სხვა; ესეც ერობამ უნდა იკისროს.

ერობის გამაგობასთან საჭიროა დაარსდეს ისეთი სპეციალური კომისია თუ განყოფილება, რომელიც უხელმძღვანელებს სოფლად კულტურულ მუშაობას.

ზემო ნათქვამი ზოგს იქნებ განუხორციელებელ იდიელათ მოეჩვენოს დღევანდელ პირობებში, მაგრამ სრულიადაც არა, — საქმის სიყვარული, შეგნება კულტურული მუშაობის დიდი მნიშვნელობისა ყოველგვარ დაბრკოლებას სძლევეს; საჭიროა მხოლოდ ერობების და თემის რთული, შეთანხმებული, ჰარმონიული მუშაობა. შენ-ჩემობას, კუთხურ, განცალკევებულ, გამათშავ მუშაობას არ უნდა ჰქონდეს ადგილი; სამაზრო ერობებმა უნდა იკისრონ თემებში კულტურული მუშაობის ინციატოვა, ეს უკანასკნელნიც ერობებს უნდა ამოუდგინენ გვერდით და ხელი-ხელ ჩაკიდებული უნდა შეუდგინენ კულტურულ მუშაობას.



ეროვნათა კავშირის მოწოდება.

შეტად მძიმე პირობებში ჩავარდენ ამ უკანასკნელ დროს ქალაქის მუშები და საზოგადოთ ქალაქის მცხოვრებნი; მიუხედავთ მთავრობის მიერ რესპუბლიკის ფარგლებში თავისუფალ ვაჭრობის გამოცხადებისა და მიუხედავთ ვათ მიმდინარე წლის კარგი მოსავლისა, ქალაქს სოფლიდან არ შემოჰდის საჭირო სურსათი და რაც შემოდის ძლიერ ძვირი ჯდება და უმეტესობისათვის ხელ-მიუწოდომელია; დღითი დღე პირველ საჭიროების საგნებზე ფასი იზრდება და არ უჩანს დასასრული ამ ზრდას. ყოველივე ეს, რასაკვირველია, იწვევს მცხოვრებთა გაჭირვებულ მდგომარეობას. ჯერ ჯერობით ჩუმ უკმაყოფილებას და ალაგ-ალაგ აშკარა საყვედურის გამოთქმასაც; მომავალში შესაძლებელია ყოველივე ამას არა სასურველი შედეგიც მოჰყავს და საჭიროა ეხლავე სათანადო ზომების მიღება; ერობებს ამ დარგში ბევრის მოგვარება შეუძლიანთ და ისინი უმეტესად ჩვეულებრივ ჩაებმიან ამ დიდ მნიშვნელოვან საქმეში. პირველ ყოვლისა საერობო დაწესებულებანი შეეცდებიან დაუმტკიცონ სოფლებს, რომ ეს უკანასკნელნი ვალდებულნი არიან მიაწოდონ ქალაქს ის სურსათი, რაც მათ საჭიროებას აღემატება და მით იხსნან ქალაქი განსაცდელისაგან, და სახელმწიფო არა სასურველ მოვლენებისაგან; აუცილებელიც ერობის მოქმედება ამ მხრივ ნაყოფიერი იქნება, სოფელი არ დაიშურებს თავის მხრივ დახმარება გაუწიოს ქალაქს და ამით მტკიცე და მაგარი ნიადაგი მოუშალოს საქართველოს დამოუკიდებლობას და მის სახელმწიფოებრივ ცხოვრებას; მაგრამ მოსალოდნელია სოფლის მიერ ქალაქისათვის მიწოდებულ საქონელს გადაზიდვის დროს გაწეულ ხარჯების გამო იმისთანა ფასები დაედოს, რომ მომხმარებელმა ვერც კი შესძლოს იმისი შეძენა.

შემჩნეულია, რომ იმ პირობებში, რომელშიაც ეხლა საქართველო იმყოფება, ადგილობრივ, — შრავალი არა კანონით შემოღებული გადასახადები წესდება გადასახადის თუ ნებართვების გაცემის სახით, რაც საქონელს აძვირებს და მის ღირებულებას ზრდის. კანონით დაწესებული გადასახადი და მთავრობის ან მომთავრების სამინისტროს მიერ შემოღებული წესი, რასაკვირველია, სავსებით შესრულებული უნდა იქნეს, ხოლო რაც ამას ეწინააღმდეგება და კანონით არ არის ნება დართული, დასაშვები არ არის და საერობო დაწესებულებანი, როგორც სახელმწიფოს მმართველობის ორგანოები ადგილობრივ სათანადო ზომებს მიიღებენ და

კანონის საწინააღმდეგო არა იქნება რა ჩადენილი. უეჭველად ძნელი წარმოსადგენია სახელმწიფოებრივი მოქმედების ნორმალური მსვლელობა, როდესაც საერო კანონების გარდა გადასახადების შესახებ ადგილობრივ თემის თუ სამაზრო ერობის ფარგლებში შემოღებულია ადგილობრივი გადასახადები საქონლის გაზიდვის, თუ შემოზიდვის დროს. შეიძლება ეს ზომა შეადგენს შემოსავლის რაიმე წყაროს ადგილობრივ დაწესებულებებისათვის, მაგრამ ის საქონლის ფასს აძვირებს და იწვევს მკვიდრთა კანონიერ და საფუძვლიან უკმაყოფილებას.

ერობათა კავშირის კომიტეტი ღრმად დარწმუნებულია, რომ საქართველოს საერობო დაწესებულებანი, როგორც სახელმწიფო მმართველობის ორგანოები ადგილობრივ, მტკიცედ აღდევნენ თვალ-ყურს კანონების დაცვას, არავითარ გადასახადს, არა საკანონდებლო წესით შემოღებულს, არ დაუშვებენ, თავის მეცადინეობით და რჩევით მიაწოდებინებენ სოფლებს ქალაქისათვის ხელ-მისაწდომ ფასებში სურსათს და მით ხსნიან სახელმწიფოს არა სასურველ მოვლენისაგან, რომელიც მას მოვლის, თუ სასურსათო საკითხი სასურველად მოწესრიგებული არ იქნება.

არსებულ კანონი თემის შესახებ.

(დასასრული)

III. თემის ორგანიზაცია.

თემი არის—თვითმართველობა. თემის მცხოვრებნი თვით მართავენ თავის საქმეებს. როგორ? არჩეულ ორგანოების მეოხებით. ეს ორგანოები არიან—საბჭო, გამგეობა და კომისიები.

საბჭოს შეადგენენ ხმოსნები, არჩეული თემის მცხოვრებთა მიერ. ¹⁾ ხმოსნები ვალდებული არიან, სანამ შეუდგებიან მუშაობას, ფიცი დასდონ, რომ პირნათლად შეასრულებენ დაკისრებულ მოვალეობას. საბჭოს ჰყავს თავმჯდომარე, რომელიც ხელმძღვანელობს საბჭოს ყრილობას მისი მოადგილე და მდივანი, რომელიც აღდენს საბჭოს სხდომის ოქმს. საბჭოს, სხდომის კანონიერებისათვის საჭიროა რომ მას დაესწროს არა ნაკლები ხმოსნების რიცხვის ნახევრის. თუ ნახევარი ხმოსნების რიცხვი არ გამოცხადდება, საბჭოს სხდომა ვერ შესდგება, მაშინ არა უგვიანეს 2 კვირისა უნდა მოწვეულ იქმნეს მეორე კრება საბჭოსი, რომელიც კანონიერათ ჩა-

¹⁾ საბჭოზე ღაბარაკობენ საერობო დებულების შემდეგი მუხლები: 11, 105, 106, 108, 109, 110, 121, 125, 129, 130; ხმოსნების არჩევნების წესზე—12-49 მ. მ. არჩევნების წესს ეხლა ყველა იცნობს და მას ჩვენ არ შეგვხვებით.

ითვლება, თუ მასზე გამოცხადდება ხმოსნების მესამედი ნაწილი. კენჭის ყრა სხდო-
მაზე ხდება ახლილათ, მაგრამ საბჭოს თავმჯდომარის, მისი მოადგილის, გამ-
გეობის წევრთა და სარევიზიო კომისიის წევრთა არჩევანი, ამ პირობა გადაყე-
ნება და სამართალში გადაცემა და აგრეთვე ჯამაჯირის რაოდენობის დანი-
შენა უნდა მოხდეს ფარული კენჭის ყრით. ამის გარდა სხდომა მოვალეა მიმა-
რთოს ფარულ კენჭის ყრას იმ შემთხვევაშიც, თუ ამას მოითხოვს ხმოსნების
ერთი მეხუთედი ნაწილი. სხდომის დადგენილებას ხელი უნდა მოაწერონა უცი-
ლებლივ—თავმჯდომარემ ან მისმა მოადგილემ, მდივანმა და გამგეობის წევრებმა.

რა საქმეები აქვს დაკისრებული საბჭოს? საბჭო არის ხელმძღვანელი მთელი
თემის საქმიანობის. ამისათვის მას ევალება საქმის გამკეთებლების—გამგეობის
არჩევა, მისთვის სამოქმედო გეზიხ მიცემა და ყურის გდება, რომ გამგეობის
და თემის მოსამსახურეთა მიერ საქმეები სრულდებოდეს სწორათ. სამოქმედო
გეზის მიცემა ხდება უმთავრესად თემის ხარჯთ-აღრიცხვის დამტკიცებით; ამით
საბჭო უჩვენებს გამგეობას, რა უნდა გააკეთოს მან და ვის და საიდან და რამე-
დენი გამოართოს ხარჯ-ნაჩვენებ სააქმების შესასრულებლათ.

ყურის გდება გამგეობის მოქმედებაზე ხდება იმნაირათ, რომ გამგეობა
დროგამოშვებით მოახსენებს საბჭოს თავის მოქმედების ანგარიშს და საბჭოც
იხილავს მას, გამოსთქვამს თავის კმაყოფილებას ან უკმაყოფილებას, არჩევს გა-
მგეობის მოქმედებაზე შემოსულ საჩივრებს, ადგენს, თუ საჭიროდ დაინახავს, ამა
თუიმ გამგეობის წევრის ან მთელი გამგეობის გადაყენებას ან სამართალში მიცემას.

თემის საქმიანობის საერთო ხელმძღვანელობის გარდა საბჭოს აქვს და-
კისრებული ზოგიერთი განსაკუთრებული საქმეები, როგორც სხვა საქმეებზე უფ-
რო მძიმე და მნიშვნელოვანი. ეს არის—უძრავ ქონების შესყიდვა ან გაყიდვა,
სესხის აღება და თემის შიგნით გადასახადების განაწილება.

თემის ხმოსნები, როგორც საერთო წესი, ასრულებენ ბაჟის მოვალეობას
უსასყიდლოთ, მაგრამ იმ ხმოსნებს, რომელნიც მოდიან თემის საბჭოს სხდო-
მაზე სხვა სიფლებიდან ეძლევათ გზის ხარჯი და თუ თემის სხდომა ხდება ქა-
ლაქში მაშინ დღიურიც.

საბჭოს სხდომებს იწვევს გამგეობა.

თუ საბჭო არის ხელმძღვანელი, გამგეობა, ²⁾ როგორც ვთქვით არის მკე-
თებელი თემის საქმეების. გამგეობა წარმოადგენს კოლეგიას, მასში უნდა შე-
დიოდეს არა ნაკლებ 3 წევრისა, ე. ი. თავმჯდომარე და არა ნაკლებ 2 გამგე-
ობის წევრისა. ამათში ერთი თავუჯდომარეს მოადგილეა. რომელმა გამგეობის
წევრმა თემის საქმიანობის რა დარგს მოუაროს—ამას ანაწილებს საბჭო. თავ-
მჯდომარე გარდა თავის დარგის პატრონობისა საერთოდ თვალყურს ადევნებს
მთელ გამგეობის მუშაობას და იმისთანა შემთხვევებში, რომელნიც დაცდას
არ იცდიან, შეუძლიან თითონ პირადათ მიიღოს ესა თუ ის ზომა უგამგეობით
იმ პირობით, რომ ამის შესახებ მოახსენოს გამგეობას მის პირველ სხდომაზევე.

თემის გამგეობის ერთ ერთ წევრს ევალება ერთგვარი სამილიციო საქმე-

²⁾ გამგეობის შესახებ ლაპარაკობენ საერობო დებულების შემდეგი მუხლები—115, 143,
144, 146, 147, 150, 152, 153, 159, 169.

ბი: 1) ზომების მიღება წესრიგის აღდგენის, პიროვნების და ქონების დაცვის და დამნაშავეთა, რომელთაც მოასწრებენ დანაშაულობის ჩადენის დროს, დაქვრის შესახებ იქამდე, მანამ მოვლენ მილიციის ან საგამომძიებლო ნაწილის წევრები, 2) შეტყობინება ადგილობრივ მილიციისთვის თემში მომხდარ ბოროტ მოქმედებათა შესახებ, 3) დახმარება გამომძიებლისათვის, როცა უკანასკნელი მოვა ადგილობრივ დანაშაულობის გამოსარკვევად, მოწმეების და საქმეში მონაწილე პირთა გამოწვევაში.

კომისიები ³⁾ საპნაირია: წინასწარი, აღმასრულებელი და სარევიზიო. კომისია შესდგება ხმოსნებისაგან, რომელთაც ირჩევს, რესპუბლიკურად, საბჭო. ამ კომისიებში ყველაზე მნიშვნელოვანია სარევიზიო კომისია. მისი მოვალეობა გამგეობის ანგარიშის განხილვა და თავის დასკვნის წარდგენა ამ ანგარიშის და საზოგადოთ გამგეობის საქმიანობის შესახებ საბჭოსთვის. აღმასრულებელი კომისია იშვიათია. იგი ირჩევა რაიმე საქმის ასასრულებლად გამგეობასთან ერთად, მაგ. გადასახადების გასანაწილებლად. წინასწარი კომისია ირჩევა რაიმე საკითხის გამოსარკვევად და საბჭოსთვის თავის აზრის ამ საკითხის შესახებ მოსახსენებლად.

IV. თემის ფინანსიური უფლებები ⁴⁾.

რა საშუალება აქვს თემს, რომ აასრულოს მასზე დაკისრებული საქმეები? ამისათვის მას აქვს უფლება აიღოს ფული და შრომა-ბეგვარა.

საიდან, რა წყაროდან უნდა აიღოს თემმა ფული? — 1) კუთვნილ ქონებიდან, 2) ხაზინის, ან სამაზრო ერობის დახმარებიდან, 3) უძრავ ქონებაზე გაწერილ გადასახადისაგან.

თემს ეკუთვნის ზოგან საძოვარი ადგილი, რომელიც მან მიიღო თემად გადაკეთებულ სოფლის საზოგადოებიდან, ზოგან მამული, ჩამორთმეულ აგრარულ კანონით მემამულისგან, ზოგან წისქვილი — ან ბორანი; თემი ბევრ ალაგას აწარმოებს სასურსათო ოპერაციებს ან მართავს რაიმე სახელოსნოს და იღებს აქედან მოგებას. აი ეს შემოსავლებია — თემის კუთვნილი ქონებიდან შემოსავალი, რომელზედაც პირველად ვთქვით, როგორც ფინანსიურ წყაროზე. მერე თემი იღებს ერთგვარ დახმარებას ხაზინიდან და ერობიდან. ასე თემებს ეძლევათ სოფლის მილიციისათვის დაწესებული სახაზინო კრედიტები; ბევრმა ერობამ მისცა თემებს 1919 წელში დაარსებული სანიტარული გადასახადი. მაგ. სიღნაღის ერობამ მთლად გადასცა ეს გადასახადი თემებს, თბილისის მაზრის ერობამ მისცა 25% სანიტარულ გადასახადისა და ამდენივე მიწის ერთდროული გადასახადისა და 2% გადასახადისა დაწესებულს ერობის მიერ შენობებზე.

რასაც თემი არ დაჰფარავს ამ 2 წყაროთი, მთელი დანარჩენი თანხა მას

³⁾ საერობო დებულების 122, 123 და 158 მ. მ.

⁴⁾ ამ საკითხს არკვევენ საერობო დებულების 2, 8, 110 მუხლები მერვე მუხლის დანართის 5, 6, 7, 14, 15, 16, 17 და 28 პუნქტები. და საერობო ხარჯთა წესდების (устав о земской повинности т. св. законов) 87 მ. პას.

ედლევა უფლება დააწესოს გადასახადით თემის ფარგლებში მდებარე უძრავ ქონებას. აი აქედან უნდა დაჰფაროს თემმა ყველა ის ხარჯები, რომელსაც იგი ვერ დაჰფარავს თავის ქონების წარმოების შემოსავალით, ან ხაზინის (ან ერობის) დახმარებით. სხვა გადასახადის გაწერვის უფლება თემს არ ეძლევა. უძრავი ქონება, რომელზედაც შეუძლია თემს გააწეროს გადასახადი ნაგულისხმევია მიწა და ტყე, მათ შორის სახაზინო და შენობა სავაჭრო. სამრეწველო და ისეთი, რომელიც ქირავდება იჯარით. რუსულ კანონში თემის შესახებ ნაჩვენებია ნორმა, რომლის ზევით თემს არ ეძლევა უფლება უძრავ ქონების დაბეგვრისა. ჩვენ კანონში ამისთანა საზღვარი თემს არ აქვს დადებული. კანონი როგორც ჩანს, უწევს ანგარიშს იმას, რომ თემის ხმოსნები, რომელთაც უნდა დააწესონ გადასახადის რაოდენობა, ადგილობრივი ხალხის წარმომადგენელნი არიან და მათ ინტერესების წინააღმდეგ არ წავლენ. თავის საქმეების ასასრულებლათ თემს აქვს უფლება მოსთხოვოს თემის მცხოვრებთ ფულის გარდა შრომა ნატურით, ე. ი. ბევარა: თემმა უნდა გამოარკვიოს, რამდენი და რა და რა საქმეა; მავან წელიწადში ბევრით ასასრულებელი, რამდენი მუშა ხელი და ურემი მოუნდება ამას, ამისდა მიხედვით მოისაზროს და დაადგინოს რამდენი მუშა და ურემი უნდა გამოიყვანონ მცხოვრებლებმა და ეს რიცხვი შეიტანოს ხარჯთ-აღრიცხვაში. რომ თემმა არ დააწესოს რაიმე უკანონო ან ზედმეტი ხარჯები, ან მას არ გამოორჩეს რაიმე სავალდებულო ხარჯი მაგ. სამობილიზაციო საქმეზე, ამისათვის დაწესებულია მაზრის ერობის კანტროლი თემთა ხარჯთაღრიცხვის შედგენაზე. თემის საბჭოს მიერ მიღებული ხარჯთ-აღრიცხვა აუცილებლად უნდა წარედგინოს სამაზრო ერობას, რომელიც იხილავს მას თავის ყრილობაზე, შეაქვს ის შესწორებანი, რომელსაც იგი სცნობს საჭიროდ კანონიერების თვალსაზრისით ან მიზანშეწონილობის თვალსაზრისით და ამის მერე საბოლოოთ ამტკიცებს ხარჯთ-აღრიცხვას. მაგ. თუ მაზრის ერობა იცნობს, რომ გადასახადი დადებული თემის მიერ უძრავ ქონებაზე მძიმე არის მცხოვრებთათვის, მას აქვს უფლება, შეამციროს ხარჯები და ამისთანავე ეს გადასახადი. მაზრის ერობის დამტკიცების მერე ხარჯთაღრიცხვა შედის ძალაში და თემის გამგეობას უფლება ეხსნება გაატაროს იგი ცხოვრებაში. აქვე საჭიროა შევეხოთ ერთ კითხვას.

როგორც ვიცით შარშან 1919 წ. 27 მაისს გამოიკა კანონი მიწის ერთდროულ გადასახადის შესახებ (კანონი № 67). ამ კანონში სხვათა შორის იყო დადგენილი, რომ ორი მესუთელი ამ გადასახადისა მაზრის ერობის შემოსავლად ჩაირიცხება და რომ ცალკე საერობო გადასახადი 1919 წელს მიწას არ გადახდება. ამრიგად სამაზრო ერობა იღებს ამ კანონით განსაზღვრულ ნაწილს და თითონ აღარა აქვს უფლება გააწეროს მიწაზე გადასახადი. მაგრამ თემი? ესპობა თუ არა მასც უფლება გააწეროს სათემო გადასახადი მიწაზე. ერთადერთი მისი გადასახადი, როგორც ზევით ვნახეთ? ჩვენ ვფიქრობთ რომ კანონის ტექსტი (მოტივები ეხლა ხელთარ გვაქვს) არ გვაძლევს უფლებას ვიფიქროთ, რომ თემსაც ჰქონდეს აკრძალული მიწაზე სათემო გადასახადის გაწერა: კანონი გარკვევით ამბობს, რომ ის კრძალავს საერთო გადასახადს და ამასთან აკმაყო-

ფილებს ერობას ერთდროულ გადასახადის განსაკუთრებულ წილით. თემზე კი არც ლაპარაკობს და არც აძლევს ნაცვლად რაიმე წილს. ამ წელს ჯერ არ არის კანონი მსგავსი შარშანდელისა, მაგრამ, თუ გამოიკცემა, საჭიროა მიექცეს ყურადღება თემის უფლებას მიწაზე გადასახადის გაწერის შესახებ. ამნაირად ჯერ-ჯერობით თემს აქვს უფლება უძრავ ქონებაზე და კერძოდ მიწაზე გადასახადის გაწერისა.

V. თემის დამოკიდებულება მაზრის ერობასთან ⁵⁾

ალაგ-ალაგას ჩვენ უკვე მოგვიხდა მიგვეთითებინა თემის დამოკიდებულებაზე მაზრის ერობასთან.

ჩვენ რომ ჩაუკვირდეთ კანონის ყველა დადგენილებებს ამ დამოკიდებულების შესახებ მივალთ იმ დასკვნამდე, რომ კანონის აზრით თემი უნდა მუშაობდეს მაზრის ერობის ხელმძღვანელობით. თვით თემის შექმნას და მის საკმანობის ფარგლის გამორკვევას კანონი ანიჭებს მაზრის ერობას. მაზრის ერობა ვალდებულია მუდამ ადევნოს თვალყური თემის მოქმედების კანონიერებას. ამიტომ თემის საბჭოს ყოველი დადგენილებანი უნდა წარედგინოს ერთი კვირის ვადაში მაზრის ერობას. უკანასკნელს უფლება აქვს, თუ დაინახავს რაიმე უკანონობას ამ დადგენილებაში, განასაჩივროს ეს დადგენილება სასამართლოში, თუ ორი კვირის განმავლობაში, დღიდან დადგენილების ასლის მიღებისა ერობა არ განასაჩივრებთ თემის საბჭოს დადგენილებას, ეს უკანასკნელი ძალაში შედის და შეიძლება ასრულებული იქნას ამ ვადის-2 კვირისგასვლამდე კი აღკრძალულია თემის დადგენილების ასრულება გარდა რასაკვირკელია იშვიათი შემთხვევებისა, რომელნიც დაცდას არ ითმენენ. ზოგიერთი დადგენილებანი ხარჯთა აღრიცხვას თემის უძრავი ქონების გაყიდვის ან დაგირავების, ან სესხის აღების შესახებ უნდა წარედგინოს დასამტკიცებლად მაზრის ერობის ყრილობას, ურომლისოთ მათ ძალა არა აქვთ. მაზრის ერობა იმუშავებს და აწესებს თემისთვის ხარჯთაღრიცხვის და თვით ანგარიშების წარმოებისათვის ფორმებს და წესებს, რომლითაც თემი ვალდებულია იხელმძღვანელოს. მაზრის ერობას უფლება აქვს მოახდინოს თემის საკმანობის რევიზია და ამის შედეგი მოახსენოს თემის ყრილობას და თუ რაიმე უკანონოთ დაინახა რასაკვირველია საერთო წესით სასამართლოს გადასცეს.

მეორე მხრივ თემი არის ადგილობრივად თვალი და ყური ერობის, რომელიც აწვდის მას ყველა უკანასკნელისთვის საჭირო ცნობებს. აგრეთვე თემი ერთნაირად ერობის ადგილობრივი ორგანოა, რომელიც ასრულებს ერობის დავალებებს, რაც თემის ფარგალს შეეხება.

VI. უმთავრესი ნაკლულებანებანი არსებული კანონისა.

არსებულ კანონს ბევრი ნაკლულებანებანი აქვთ.

⁵⁾ საერობო დებულება - მ. მ. 13, 21, 26, 42, 45, 113 პ. 1. 132, 133, 136, 139. 141, 146 პ. 1-3 155, 156 დანართი მუხლის-პ. 3. 14, 17, და 28 წესები ამ დებულების განხორციელების-მ. 1 და დანართი-მ. 2, 4, 7.

დავიწყით იქიდან, რომ არ არის ქართულ ენაზე ცალკე მდაბიო გასაგები ენით დაწერილი კანონი თემის შესახებ. ამისთანა ცალკე კანონი საცა მარტო თემზე იქნება ლაპარაკი და საცა თავი ექნება მოკრილი დალაგებით ყველაფერს, რაც თემს ეხება, აუცილებელ საჭიროებას წარმოადგენს. თორემ ეხლა იურისტსაც კი ძალიან უძნელდება გაგება იმისა რას ამბობს არსებული კანონი თემის ამა თუ იმ მხარეზე.

დიდ ნაკლს წარმოადგენს არსებულ კანონში ის გარემოება, რომ იქიდან გარკვეულად არა ჩანს რჩება თუ ისპობა თემის შემოღების მერე სოფლის მართველობა, თუ რჩება რა დამოკიდებულებაა მათ შორის. საერობო დებულების შემოღების წესები (Правила о введении въ дѣйствіе земскаго положенія) ამბობენ — 12—13 მმ. სოფლის მართველობის გაუქმებაზე და მათი საქმეების თემისთვის გადაცემაზე. საერობო დებულების 148 მ. კი ამბობს თემის და სოფლის მართველობის პირთა დამოკიდებულებაზე, ე. ი. კანონის დადგენილებანი ეწინააღმდეგებიან ერთმანეთს, საკითხი კი დიადი მნიშვნელობისაა; საჭიროა პირველ ყოვლის სწორეთ ძირითადი ერთეულის სოფლის იურიდიულ მდგომარეობის გაპორკვევა ნამდვილ ძირითადის, რომლის ქვევით მართლა არავითარი სხვა ერთეული არ იქნება და მარტო მაშინ შეიძლება ლაპარაკი საჭიროა თუ არა კიდევ რაიმე (და როგორი) შუაორგანო ამ ძირითად ერთეულის და ერობის შუა.

ეხლა ზოგიერთა თემმა შთანთქა სოფლის მართველობა და ამნაირათ წარმოადგენს ნამდვილ ძირითად ერთეულს, ზოგიერთი თემები კი თითონ ჰქმნიან თავიანთ ძირს სოფლის კანცელარიებს, რითიც შენდება სამსაფეხურიანი თვითმართველობა—სოფელი, თემი, ერობა. ვინც მომხრეა თემის ყველგან ერთნაირი ტიპის შექმნას და ჰფიქრობს მიანიჭოს მას დიდი უფლებები და მოვალეობანი, ის არ ამჩნევს, რომ ამით ის ჰქმნის არა ძირითად ერთეულს, არამედ შუაერთეულს. ცენტრალური პუნქტი ადგილობრივი თვითმართველობის მოწყობაში აქ არის. 2 საფეხურიანი უნდა იყვეს ჩვენი თვითმართველობა თუ 3 საფეხურიანი, ან სხვანაირათ—ძირიდან ავაშენოთ, თუ ზევიდან.*) შემდეგი მთავარი ნაკლი არსებული კანონის არის თემის ფინანსიურ უფლებების არა საკმაო გამორკვევა და არსებით მომქმედ უფლებების არა დამაკმაყოფილება.

თემები სტიქიურად აფართოვებენ თავის ფინანსიურ უფლებებს. შედარებით ძველი სოფლის მართველობასთანაც თემი უფრო შეზღუდულია გადასახადების უბიექტის გამონახვაში. თემი არ კმაყოფილდება მარტო უძრავ ქონებით, ის სამართლიანათ სთვლის, რომ მასთან ერთად დაიბეგროს საქონელი, სავაჭროები და სხ. ამის შესახებ არის ძვირფასი მასალა სოფლის და თემის დადგენილებებში გადასახადების განაწილების შესახებ. საჭიროა მათი გამოყენება. საჭიროა აგრეთვე მიექცეს ყურადღება იმას, რომ მიწის მესაკუთრეს არ მოსდიოდა გადასახადის ფურცლები მის მიწაზე „ათასკი“ მმართველისაგან—მთავრობის, ერობის, თემის, სოფლის.

*) ავტორი იმედოვნებს ამ საკითხზე ცალკე წერილის დაწერას ეროკავშირის მიერ შეკუთვებულ თემის პროექტის განხილვასთან ერთად.

და ბოლოს საჭიროა გარკვევით აღნიშვნა თემის სამილიციო ფუნქციების, რაც აგრეთვე ბუნდოვანათაა დაწყებული არსებულ კანონში.

ლ. ახათიანი.



ფიქრები სპორტო თვითმარტველობის შესახებ.

I.

დღეს ყველასათვის აშკარა უნდა იყოს, რომ საქართველო სახელმწიფოებრივი დემოკრატიის ძირითადი საფუძველი არის და იქნება ხალხის ადგილობრივი თვითმმართველობა, მისი თვითმოქმედებულ ცხოვრების ფერხულში ჩაბმა და მოღვაწეობა. თვითმმართველობო დემოკრატია დემოკრატია არ არის. ეს ძალიან კარგად იციან ჩვენი დემოკრატების მესვეურებმა, რომლებმაც რევოლიუციის გამარჯვებისთანავე გასკენეს ადგილობრივი თვითმმართველობის საძირკველი ხალხში და საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადებისთანავე შეუდგნენ სახელმწიფოებრივ საზღვრებში თვითმმართველურ აღმაშენებლობას.

შეიძლება უკვე ითქვას, რომ ამ მოკლე ხნის განმავლობაში ამ მხრივაც, ადგილობრივ თვითმმართველობის დამკვიდრების და მოწყობის საქმეშიაც ბევრი რამ გაკეთდა. ყველგან შეიქმნა საერთო კალიაპოტი თვითმმართველობის ცხოვრების და მოქმედების მიმდინარეობისათვის. ჩამოიხსნა სათანადო ორგანიზაციული ფორმები თვითმმართველობისათვის. ამუშავდნენ ქალაქთა მუნიციპალიტეტები, სამაზრო და სათემო ერობები. ამნაირად გაჩაღდა სახალხო შემოქმედებითი და ამავე დროს დიდი სახელმწიფოებრივი მუშაობა.

ამ მოვლენის განსაკუთრებული მნიშვნელობა იმაში მდგომარეობს, რომ თვითმმართველობის აღორძინების და გაძლიერების პროცესი მჭიდროდ დაკავშირებულია თვით სახელმწიფოს ადგილობრივი მართველობის მოწყობასა და მოღონიერებასთან. მართველობის და თვითმმართველებს დაპირდაპირება მოასპო. სამართველო და სათვითმმართველო ერთი ერთმანეთში ჩაიქსოვა ეს დამახასიათებელია ხალხური, ნამდვილი დემოკრატიული წყობილებისთვის. თვითმმართველობის ორგანოების ხელში გადავიდა სახელმწიფოებრივი მართველობის ადგილობრივ საქ-

მეთა გაძლოდა და ორგანიზაცია. ადგილობრივი თვითმართველობა (ერობა, თემი) არის ადგილობრივ ხალხის საქიროების გამძლოლი და ადგილობრივ საქმეთა ავტონომიური გამგე და პატრონი. მაგრამ ამავე დროს იგი არის სახელმწიფოთი მართველობის ორგანოც. თვითმართველობა სახელმწიფოთი დაწესებულებათა სისტემის გარეშე არ ღდას და არც მართველობა ღდას თვითმართველობის გარეშე, როკორც მისგან დამოუკიდებელი და მტრულად განწყობილი ძალა, რაც ნიშანდობლივი თვისება იყო და არის ყველა არადემოკრატიულ სახელმწიფოთი წესწყობილებისათვის.

ეს მუშაობა ახლახან არის დაწყებული. ამ გვარი წყობილების და ურთიერთობის დასამყარებლად და გასამტკიცებლად დიდი დრო, დიდი გამოცდილება და შრომაა საჭირო. უცბად, ერთი ხელის გაქნევით, ახალი სახელმწიფოებრივი წესწყობილება არსად არ გამტკიცებულა და ვერც ჩვენ მივცემდით ჩვენი დემოკრატიული რესპუბლიკის შინაურ ორგანიზაციას და ადგილობრივ თვითმართველობას სრულიად ჩამოყალიბებულ, დასრულებულ და მთლიან ხასიათს რაღაც ორი წლის განმავლობაში. ვისაც ჩვენი სახელმწიფოებრივი აღმაშენებლობის აწონდაწონა და დაფასება სურს, მან უნდა მიიღოს მხედველობაში საერთოდ ზემოხსენებული მოასზრება და აგრეთვე განსაკუთრებული ყურადღება მიექციოს იმ ვარემოებას, თუ როკორ საერთაშორისო და შინაურ პირობებში სწარმოებს საქართველოს რესპუბლიკის აღმაშენებლობითი პროცესი:

ყოველივე ამას თუ გავითვალისწინებთ, ძალიან აღარ გავვიკვირდება ის შეცდომა—ნაკლულოვანება, რომელიც ამ აღმაშენებლობით პროცესს თან ახლავს და რომელსაც, თავის თავად ცხადია, თანდათან გამოასწორებს შეერთებული ძალა და დაკვირვებული შრომა.

ამ შენიშვნებში მხედველობაში მექნება უმთავრესად საერობო თვითმართველობის მდგომარეობა, თუმცა გაკვრით ქალაქთა თვითმართველობის სიავ-კარკის აღნიშვნაც დაგვჭირდება გზა და გზა.

ქართველი ხალხის დიდი უმეტესობის ცხოვრება და მოღვაწეობა სამაზრო და სათემო ერობის ფარგლებში მიმდინარეობს. ამიტომ თავის თავად ცხადია განსაკუთრებული ყურადღება იმ დაწესებულებისადმი, რომელსაც უადრესი მნიშვნელობა აქვს მთელი ერის სახელმწიფოებრივ ცხოვრებაში. ხალხის საერთო კულტურულ-ეკონომიურ წინსვლასთან ერთად უფროდაუფრო გაიზრდება საერობო თვითმართვე-

ლობის ეს სახელმწიფოებრივი მნიშვნელობა. ჯერ მხოლოდ ბალავერთა ჩაყრილი ხალხის თავისუფლებისათვის და პოლიტიკურ-სოციალურ შემოქმედებისათვის. ჯერ მხოლოდ დიდი ახალი ისტორიული ხანის დასაწყისში ვდგევართ და ერის ცხოვრების გაშლილ ასპარეზზედ ვრგავთ დემოკრატიულ ინსტიტუტებს, რომელნიც თანდათან გაიფურჩქნებიან და გაიშლებიან.

ასეთი ინსტიტუტია საერთოდ ადგილობრივი თვითმართველობა, განსაკუთრებით ერობა (ვკულისხმობთ სამაზრო ერობას) და თემი. ამ ინსტიტუტის სიძლიერება დამოკიდებული ხალხის სიძლიერე, მისი კეთილდღეობა წარმოშობს ერის კეთილდღეობას. მისი სიმტკიცე მომასწავებელი იქნება თვით სახელმწიფოს სიმტკიცის და სიღიადის.

(შემდეგი იქნება)

ნ საქარელი.



ერობის მუშაობა.

I.

ჩვენი ქვეყნის კულტურულს ამაღლებასა თუ დაცემაში, მის ეკონომიურ აღორძინებასა თუ დაქვეითებაში, მის სიმტკიცესა თუ შეუკავშირებლობაში, უეჭველია ერთ უდიდეს როლთაგანს თამაშობს და ითამაშებს მომავალშიც ის მონაპოვარი დიდი რუსეთის რევოლიუციისა, რომელსაც ერობა ეწოდება. რუსეთის რეაქციამ ჩვენ არ გაგვხადა ღირსი ბიუროკრატიული, უკეთ რომა ვსთქვათ თავადაზნაურული 90 წლის ერობისაც კი, და დღევანდელი ჩვენი ერობა, შედეგად ხალხის იმ მძლავრი მოძრაობისა, რომელსაც 917 წლის რევოლიუცია ეწოდება. ამის გამო ჩვენ ერობას დიდი წარსული არა აქვს, მას მხოლოდ წლისა თუ ორი წლის ისტორია აქვს და ისტორიაც ისეთი, როდესაც აზობოქრებული ცხოვრება დაწყნარებას ითხოვდა, როდესაც რევოლიუციონური ცეცხლი მთელი თავისი საშინელებით სწვავდა ყველაფერს თავის გარშემო და რეაქციონურ რუსეთის ნაშთებს ფერფლათ აქცევდა. ცხადია ასეთ პირობებში ერობის შემოქმედებითი მუშაობა მეტად გაძნელებული იქნებოდა. ჩვენი ერობის წარსულზე, მის მოღვაწეობაზე ლაპარაკი ზედმეტათ მიგვაჩნია. დღეს ჩვენი ცხოვრება მხოლოდ ახლა ჩადგა ნორმალურ კალაპოტში, დღეს სწარმოებს ჩვენში აღმშენებლობითი სახელმწიფოებრივი-ეკონომიური და კულტურული მუშაობა; ამ მუშაობაში, შეიძლება თამამად ვსთქვათ, ერთიანად ჩამბულია მთელი ქართველი ხალხი და სწორეთ დღეს მართებთ ჩვენებურ თვითმართველობათ მაქსიმუმი თავის ნაყოფიერებისა გამოაჩინონ და დაანახონ იგი ხალხს. დღეს უნდა მოველინონ ისინი მალამოთ ქართველ მშრომელ მასსას და ვითარცა გაწვრთნილმა მკურნალმა სასიცოცხლო მალამო დასდოს მის წყლულებს. ჩვენი მიზანი იქნება ამ წერილში მხოლოდ მას შევეხოთ, რაც მომავალში ანუ მიმდინარე პირობებში უნდა შექმნას ერობამ ჩვენში და მისცეს ხალხს.

და ამ მხრივ ჩვენ მრავალ რასმეს გვინდა მივაქციოთ ერობის ურადლება ჩვენი მოღვაწეთა.

პირველ ყოვლისა ჩვენ თვით იდეა თვითმართველობისა (ერობა—
 თვითმართველობა), იდეა ერობისა უნდა გვანტერესებდეს. რა არის ერო-
 ბა, რა მიზანს ემსახურება იგი? ექვს გარეშეა რეაქციონურ რუსეთს ერო-
 ბა, სულ სხვა გვართ სწამდა ვიდრე მოწინავე რუსეთს. მაგრამ ამ მოწი-
 ნავე (რეაქციასთან შედარებით) რუსეთსაც კი ერთგვართ არ ესმოდა
 ერობის იდეა. ზოგს იგი კერძო სამეურნეო ორგანიზაციით მიაჩნდა,
 ზოგს თავისწოდებრივი ინტერესების დამცველ დაწესებულებათ, ზოგს
 მხოლოდ უბრალო სოფლის სამეურნეო კავშირათ, ზოგსაც სახელმწი-
 ფოებრივ ორგანიზაციათ და ვინიცის კიდევ რათ. ერთი სიტყვით რუ-
 სეთის ერობას ყველა თავისი ინტერესების; სარგებლიანობის საზომით
 უდგებოდა და საერთოთ სახალხო სახელმწიფოური საზომი მხოლოდ ზო-
 გიერთების გონებაში თუ ისახებოდა. ჩვენში კი ამას დღეს უკვე ადგი-
 ლი არ უნდა ჰქონდეს, ჩვენ ერთი დემოკრატიული სახელმწიფოს შვი-
 ლები ვართ და დემოკრატიზმი ჩვენი სახელმწიფოებრივობისა უკვე საე-
 სებით უნდა საზღვრავდეს ჩვენს მიზნებსაც. ერობა სახელმწიფოებრივ
 ორგანიზაციათ უნდა მიგვაჩნდეს და არა კერძო, რომელიმე წოდებისა-
 თვის თუ მაზრისათვის. ეს არავითარ შემთხვევაში არ უნდა დაგვაფიქ-
 დეს. მისი მიფუჩეჩება ყოველგვარ მიზანს დაუკარგავს თვით ერობას. მეო-
 რეს მხრით ერობა თავის მიზნებით, თვით სიტყვის შინაარსით, უნდა
 იყვეს ორგანიზაცია, რომელიც უნდა გახდეს სარბიელი ხალხის, ფარ-
 თო თვით მოქმედებისათვის. მან ფართე ასპარეზები უნდა შექმნას საზო-
 გადობრივი, ძალთა საქმიანობისათვის, რომ სავსებით ამოსწუროს შესა-
 ძლებლობა დემოკრატიის დახმარებისა და დაკმაყოფილებისა. მან უნდა
 შესძლოს, რაც შეიძლება ვრცლათა და სავსებით დააკმაყოფილოს მშრო-
 მელი ხალხის ინტერესები და იმ გვართ, რომ ხარჯები ამ მიზნებისა-
 თვის უმთავრესათ სდგებოდეს შემოსავლის დაკვალად გაწერილ გადასა-
 ხადებისგან. თვითმართველობის იდეა ვერას დროს ვერ შეიფუებს ცენ-
 ტრის იმ გვართ ჩარევას, რომ მან გზა დაუხშოს ადგილობრივ ძალთა
 შემოქმედებითი მუშაობას. ჩვენში დღემდისაც არ არის სავსებით განსა-
 ზღვრული კომპეტენცია თვითმართველ ორგანოებსა და ცენტრს შორის.
 ეს სადღეისო საკითხია, ვინაიდან ამ საკითხის გადადება ერთგვართვე
 ვნებს, როგორც ადგილობრივ თვითმართველ ერთეულებს, ისე ცენ-
 ტრსაც. ეს განუსაზღვრელობა კონპეტენციისა ძალიან ხშირათ ბადებს
 გაუგებრობას, გაუგებრობას კი შედეგად ყოველ მიზნის გარეშე ზიანი

მხოლოდ და მხოლოდ დემოკრატიისათვის მოაქვს. ამ ერთი თუ ორი წლის განმავლობაში ჩვენი ერობის მოღვაწენი ამაში ნათლათ დარწმუნდენ.

ჩვენში ერობის ცხოვრება საკმაო მასალას იძლევა ამ საკითხის სათანადოთ გარკვევისათვის, მაგრამ გვეგონია ერთი ისტორიის გახსენება ამ შემთხვევაში სხვა ბევრ მასალასაც მისცემს ერობის მოღვაწეთ. ეს კირუსეთის ერობის ისტორიის ზერელეთ მაინც თვალის გადავლებაა. ის რაც რუსეთის ერობამ გადიტანა თავის თითქმის 60 წლიანი არსებობის განმავლობაში, ის ჩვენა გვეგონია დიდი გაკვეთილი-დიდი მასალა იქნება ერობის მოღვაწეთათვის.

II

დღეს უკვე ყველასათვის ნათელია ის გარემოება, რომ 60 წლიანების საერობო რეფორმა გამოწვეული იყო არარუსეთისრეაქციის თითქოს იდეალისტური მისწრაფებებით, არამედ ცხოვრებაში არსებული პირობებით.

ყირიმის კომპანიამ სავსებით დარწმუნა მაშინდელი რუსეთი რეფორმების უაღრეს საჭიროებაში და შედეგებიც ამისა ჩვენ ვიცით. ვერავინ იტყვის იმას, რომ საერობო რეფორმას თავიდანვე რეაქციის ძლიერი კლანჭები არ ჰქონოდა ჩაყრილი. იმ თავითვე იგი ადმინისტრაციის თვითნებობის საშინელ სალტებში მოაქცია რუსეთის მართველობამ, რომელიც მას გასაქანს არსაით არ აძლევდა. ამიტომ იყო, რომ თავიდანვე ერობა თავად აზნაურობის სათარეშო მოედნათ გადაიქცა. მაშინ ის აზრი იყო გავრცელებული თითქოს ერობა, ერთგვარი კომპენსაცია იყო თავადა აზნაურობის სასარგებლოთ იმ რეფორმის სამაგიეროთ, რომელსაც ბატონ-ყობის მოსპობა ეწოდებოდა. მაგალითად თანამედროვე პრესას ეს სავსებით სამართლიანად მიაჩნდა და გაზ. „სოცრემ. იზვეს“ სწერდა: „მიწათმფლობელთა კლასი ჩვენში უმთავრესად თავად-აზნაურობაა, და მისთვის სხვებზე პირადი უფლებების ჩამორთმევა უნდა ანაზღაურებული ყოფილიყო ამავე უფლებების თავად-აზნაურთაგან კოლექტიური სარგებლობის თვალსაზრისით-იმავე ხელქვეით პირებზე, მხოლოდ შემკრებილობითი ცნებით-მთელი აზოგადოების სახით“-ო. ერთი სიტყვით ერობა თავად-აზნაურობის კომპენსაციათ იქნება ცნობილი და აქედან უკვე აშკარაა, რომ ერობის ბატონ-პატრონი ეს წოდება იქნებოდა. მაგრამ შემდეგში აღმოჩნდა ერთი გარემოება, რომელსაც ყურად-

ღება 90 წლის საერობო რეფორმამ მიაქცია და შესცვალა კიდევაც. რაც არ უნდა იყოს საერობო რეფორმამ გლეხობა გახადა ღირსი ერობის ხმოსნის სახელწოდებისა და მიუხედავად არსებული ცენზისა ერობაში გლეხობას მაინც ჰქონდა დათმობილი ადგილი. მაშინდელი თვალსაზრისით ეს არავითარ საშიშროებას არ წარმოადგენდა, რადგან გუშინდელი ყმა-მონა ბატონისა, ღღეს თუ გინდ მისივე თანატოლი, ვერ გახდებოდა რაიმე საშიშროების დამბადებელ წყაროთ, რადგან ბრძანებას საუკუნოებით ჩვეული ადამიანი, ასე უცბათ ვერ შეიქნებოდა თავის უფლებების შემგნები პიროვნება. და სინამდვილეში მართლაც ასე იყო. გლეხი-ხმოსნები საერობო კრებებზე თავის გუშინდელ ბატონებთან ერთად კი არ ისხდნენ, არამედ ცალკე და აქტიურ მონაწილეობას ვერ იღებდნენ საერთო საკითხებში, როგორც თავისი უცოდინარობისა, ისე ბატონ-ყმობის საშინელი გავლენის წყალობით. ამიტომ არსებულ პროცენტს გლეხ-ხმოსნებისას შთავრობა ადვილათ ურიგდებოდა და მასში ვერავითარ საშიშროებას ვერ ხედავდა. მაგრამ ისტორიის საწინააღმდეგო იქნებოდა ის გარემოება, რომ გვეფიქრა, თითქოს ეს გლეხობა, განთავისუფლებული ბატონ-ყმობის კლანჭებისაგან, ვერ შეიგნებდა თავის მოვალეობას და არ გამოვიდოდა თავის ინტერესების დამცველათ. და ჩვენ ვიცით, რომ ჯერ „მონანიე აზნაურისა“ და შემდეგ „მესამე ელემენტის“ ერობაში გამოჩენით გლეხობამ თავის და თავად ნელნელა შეიგნო თავისი მოვალეობა და თავისი ინტერესების დასაცავად თანდათან ხმა ამოიღო. ეს, ცხადია არ დარჩა შეუმჩნეველი რეაქციონურ რუსეთს და აქედან დაიწყო საშინელი ღღენა ერობის წინააღმდეგ. ეს ღღენა კი დაავგირგინა 90 წლის ერობამ, რომელმაც საესებით ფრთა გაუშალა თავად-აზნაურობის ბატონობას რუსეთში. აი მაგალითად პროცენტების მიხედვით 90 წლის საერობო რეფორმის შემოღებამდის ერობაში ასეთი განაწილება ხდებოდა: თავად-აზნაურობა შეადგენდა 42, 4⁰/₁₀₀, გლეხობა 38, 5⁰/₁₀₀ და სხვა ელემენტი 16, 9⁰/₁₀₀. ე. ი. თავად-აზნაურობა აბსოლიუტურ უმრავლესობას არ შეადგენდა. 90 წლის საერობო რეფორმამ ეს განაწილება შემდეგ გვარად გადაჯგუფა: თავად-აზნაურობა 55, 2⁰/₁₀₀, გლეხობა 31, 0⁰/₁₀₀ და სხვა ელემენტები 13, 8⁰/₁₀₀. ე. ი. ამ რეფორმის შემდეგ აბსოლიუტური უმრავლესობა გადავიდა თავად-აზნაურობის ხელში. ერთი ძველი საერობო მოღვაწის ცნობით მაშინ, როდესაც თითო ხმოსანი თავად-აზნაურობისაგან მოდიოდა 3 ამომოჩვეულზე იმავე დროს კი თითო გლეხი ხმოსანი 3000 მესაკუთრეზე. აქედან აშკარა ხდება თურო-

გორი ბატონობა იქნებოდა გადაგვარებულ თავად-აზნაურობის ერობებში. ამ გვარ პირობებში უხდებოდა მუშაობა რუსეთის ერობას.

მიუიყვანათ ამისა ერობას მაინც დიდი როლი უნდა ეთამაშნა რუსეთის ცხოვრებაში. გლახობას, რაკი მას საშუალება მიეცა, თავის ცხოვრების მოსაწყობად სათანადო ნაბიჯები გადაედგა, უნდა მიექცია დიდი ყურადღება. ამ გარემოებას კი განსაკუთრებით ხელი შეუწყო ერთმა მოვლენამ, რუსეთის ერობის ისტორიაში დიდი როლი ითამაშა ევრედ წოდებულმა „მონანიე აზნაური“ „кающийся дворянинъ“ და შემდეგ „მესამე ელემენტი“ „მონანიე აზნაური“ ეს წოდება იყო, რომელმაც შეიგნო თავისი უმწეო ჩდგომარეობა 19 თებერვლის 1861 წლის რეფორმის შემდეგ, იგრძნო ის დანაშაული, რომელიც მას მიუძღოდა გლახობის წინაშე და მონანიების გზას დაადგა. ცხადია ეს ნაწილი თავად-აზნაურობისა სრულებით არ იყო თავისუფალი თავად-აზნაურობის ფსიხიკისაგან, მაგრამ იმ ხანებისათვის შესაფერი დადებითი თვისება მისი იყო. რომ ის გრძნობდა თავის დანაშაულს გლახობის წინაშე. აქედან გამომდინარეობდა მისი გლახებისადმი დამოუკიდებლობის ხასიათიც. ის აღარ უყურებდა გლახობას თავისი ძველი თავად-აზნაურული თვალსაზრისით, მაგრამ რადგან მასში არც აქტივობის უნარი სჩანდამის დამოკიდებულების გლახობისადმი ერთგვარი ქველმოქმედების ხასიათი ჰქონდა. მაგრამ ესეც იმ ხანებისათვის დიდი მემარცხენეობა იყო, რადგან საერობო ყრილობაზეც კი გლახის გვერდით ჯდომა დიდი მოვლენა იყო და ისტორიას რუსეთის ერობისას ახსოვს ისეთი მაგ. რადესაც ასეთ მოქცევისათვის ურჩი აზნაური ირიცხებოდა მათ წოდებიდან და კარგავდა ხმოსანის სახელს. 70 წლებში „მესამე ელემენტი“ გამოჩნდა.

საერთოდ რუსეთის ისტორიის მკვლევარი გვერდს ვერ აუხვევს ამ „მესამე ელემენტს“, რომელიც „სხვა წოდებიდან“ იყო გამოსული. ეს ტიპი „разночинецъ“ რუსეთის ისტორიის საუკეთესო ფურცლების დამწერი, რადგან ხალხის გაყოფიზღების საქმეში მან ყველაზე დიდი როლი ითამაშა. აი ეს მესაქე წოდებიდან გამოსული ხალხი, ჩაება ყველაზე უფრო საერობო მუშაობაში. მას ეკავა სოფლის მასწავლებლის, სტატიკოსის, ფერშლის, ექიმის თუ სხვა თანამდებობის ადგილები. იგი ხალხთან იყო და ყველაზე უფრო დაუახლოვდა ხალხს. იგი მთელი თავისი ენერგიით ჩაება სახალხო მუშაობაში და აიმაღლა ხმა გლახობის ინტერესების დასაცავად. ეს დიდი მოძრაობა იყო მაშინ და ამან ცხადია დიდი კვალი დააჩნია რუსეთის ცხოვრებას. ამ გარემოებამ დიდი

მოძრაობა შექმნა საეროობო მუშაობაში და ამას მკაცრი ყურადღება
 მიაქცია მთავრობამ და ადმინისტრაციამ. სწორეთ ამისი შედეგი იყო
 90 წლის საეროობო რეფორმა. მთავრობა მიხვდა, რომ ერობაში დემო-
 კრატიული სული შეიქრა, მან იგრძნო გლეხობის გამოფხიზლება და
 რასაკვირველია ეს მისთვის საშინელ საფრთხობელათ გადაიქცა. და დაი-
 წყო საოცარი დევნა. ეს „მესამე ელემენტი“ სრულებით გამორეკა
 ერობებიდან. მრავალი დაატყვევეს და გადასახლეს. ასე რომ ეს ხანა
 80-90იან წლები საოცარი დევნისა და მასთან ერობის დაცემისა და და-
 ცალიერების ხანათ იქცა. ამან დასცა ერობის მუშაობა ძალიან და ბო-
 ლოს ისევ „სანდო“ ელემენტს-თავად-აზნაურობას მისცა ბატონობის
 უღელი ხელში. მაგრამ მესამე ელემენტის მუშაობამ დიდი როლი ითა-
 მაშა ერობის ისტორიაში. მისი მეოხებით დიდი კულტურული მუშაო-
 ბა იქნა ნაწარმოები სოფლად. მრავალი სკოლა გაიხსნა, გზები იქნა გა-
 ყვანილი, სამედიცინო დახმარება გაუმჯობესდა და სხვა მრავალი რამ გა-
 კეთდა ხალხის სასარგებლოთ. და უმთავრესი რაც იქნა გაკეთებული
 მისგან, რასაც ყველაზე მეტი მნიშვნელობა და დამსახურება ჰქონდა ხა-
 ლხისათვის ეს იყო ის, რომ ხალხი ამ ჯგუფმა გამოაფხიზლა, შეაგნებინა
 მას თავისი ინტერესების დარაჯათ დგომა და თავისი მომავლისათვის ზრუ-
 ნვა. გამოღვიძების ხანა კიდევაც დაიწყო, რომ მისთვის ხელი 90 წლის
 ერობას არ შეეკრა. მაგრამ ცხოვრებას საეროობო რეფორმის საღტეები-
 ველარ დააკავებდა და მართლაც მთელი მომდინარე ხანა, 90 წლის
 ერობის შემდგომ, დაუსრულებელ ბრძოლას გამოხატავს. საქმე იქამდი-
 საც მივიდა, რომ ამ აბობოქრებულ ცხოვრების ერთგვარ დასაწყნა-
 რებლათ საჭირო გახდა უმაღლესი ბრძანების გამოცემა, მაგრამ ბრძანე-
 ბაში, რომ მუქარა ყოფილიყო ეს ვერაფერი გარანტია იქნებოდა საქ-
 მის საშველად, რადგან მუქარა ამ ხალხისათვის ყოველ დღე თვალ წინ
 იყო აღამიანის სიცოცხლის იმ მკაცრი ზომების საშუალებით, რომლითაც
 ისინი მოქმედებდენ ერობის ასეთ მოღვაწეთა წინააღმდეგ. საჭირო იყო
 სხვა ზომა ხალხის დასაწყნარებლათ და აი 12/XII 1904 წელს გამოიტა
 ბრძანება, უმაღლესი ბრძანება, რომლითაც საეროობო მოღვაწეობის ფა-
 რგლების გაფართოებასა და ადმინისტრაციული წესების შესუსტებასაც
 ჰპირდებოდენ ხალხს. ცხადია ეს აღთქმა დარჩა ქალაქდზე დაწერილ
 ცნობად მხოლოდ, თორემ მით რასაკვირველია არაფერი არ გაკეთებუ-
 ლა. ეს ბრძოლა ხალხისათვის ინტერესებრს დასაცავად, რომლის გა-
 მოსახულებაც ნათელი იყო ერობაში, კვლავ გაგრძელდა და მან ყვე-

ლაზე უკეთესი გამოსახულება ჰპოვა ეგრეთ წოდებულ საერობო იუბილემში, სადაც ეს ბანსაზღვრა ოფიციალურისა და ოფიციალურისაგან ასეთი ნათელი შეიქმნა. ეს ძლიერი დამახასიათებელი მოვლენა იყო.

(დასასრული იქნება)

ნარი.

ეროვნება და ერის გაჯანსაღება.

(—მოხსენება ეროკავშირის კომიტეტს).

საერთოდ ერის განათლება, მისი კულტურულად ამაღლება და კერძოდ მისთვის გიგიენის საკითხების და სანიტარიის ძირითადი დებულებების მდაბიონებით გაცნობა ანუ ხალხში ჯანმრთელობაზედ ცოდნის შეტანა და გავრცელება—აი ერთი უმთავრესთაგანი იმ ზომებსაშუალებებიდან, რომლებიც კაცობრიობამ წარსულში ჯანმრთელობის დაცვის საქმიანობაში გაიკვლია და დაიმუშავა. მოკლედ—ჯანმრთელობის დაცვის ძირითადი მოთხოვნილებების და დებულებების—პოპულიარისაცია, ანუ ხალხში გასაგები ენით გიგიენა-სანიტარიის საკითხებზედ დაწერილი წიგნაკების და ფურცლების გავრცელება—ერთი უმთავრეს საშუალებათაგანია—საერთოდ ერის ჯანმრთელობის შენახვისა და თადარიგისა.

ადამიანს—განვითარების ყოველივე საფეხურზედ, სიცოცხლის ყოველივე ეტაპზე—ერთი აუცილებელი ცოდნა უეჭველად უნდა ჰქონდეს. კაცმა სხვა ცოდნასთან ერთად უპირველესად უნდა იცოდეს რა ინახავს მის სიცოცხლეს, რა ამტკიცებს მის დღეგრძელობას, ერთის მხრივ, და რა აზარალებს ან ღუპავს მის ჯანმრთელობას, მეორეს მხრივ. ამ დარგის ცოდნა ადამიანმა ბავშობიდანვე უნდა შეისისხლხორცოს. პირუტყვისაგან გარჩევით გონიერმა არსებამ თავისი ფიზიკური სიცოცხლის საქმე გონიერულად უნდა მოაწყოს, რათა ვერცხლის ფრად აღამაზებულნი ქალარაც უმტკივნელოდ—სიამოვნებით ატაროს და წუთი სოფელი ღრმა მოხუცებულებაში დასუკოვოს. თორემ რას წარმოადგენს „ბუნების ბატონად“ წოდებული ადამიანის ხანმოკლე სიცოცხლე?! იგი მუდამ საფრთხეშია. აუარებელი—მისი სიცოცხლის მტერი მუდამ მას თავს დასტრიალებს. ერთის მხრივ ბუნება თავის ქიმიური და ფიზიკური ძალებით, მეორეს მხრივ, მთელი ჯარი უხილავი, პაწია ცხოველებისა, რომლებსაც ზოგადი სახელი—ბაცილები—ჰქვიანთ—ყველა ადამიანის მომაკვდინებულ მტრად გადაქცეულა.

ადამიანი თავის აუარებელ უხილავ და ხილულ მტრებთან ბრძოლაში მართალია ჯერ კიდევ, ღონიღლებს, მისი არსებობა დედამიწის ზურგზედ

სრულიად არ განადგურებულა—პირიქით თავის გარშემო სიცოცხლეს ჰბატონობს კიდევ, მაგრამ რა დიდი, ერთ გამოუთქმელი მსხვერპლის შედეგია ის ბატონობა ეს თვით ადამიანმა კარგად უწყის. თუ მივღებთ მხედველობაში, რომ ჯანმრთელი ადამიანის ნორმალური ცხოვრების დასასრულ წლებად (დამაბოლოებელ ხანად) მესამოცდა ათე და მეოთხმოცე წლები ითვლებიან—ადვილი წარმოსადგენია რამოდენა ხალხი არ აღწევს ბუნებრივ სიბერეს და ნაადრევად კვდება.

მეთვრამეტე საუკუნეში ინგლისში ადამიანის სიცოცხლის საშუალო ასაკად ანუ მისი დედამიწაზედ არსებობის საშუალო ხანად 28 წელიწადი ითვლებოდა. რუსეთში მეოცე საუკუნეშიც კი ომის დაწყებამდე ადამიანის სიცოცხლის საშუალო ხანგრძლიობა იმავე 28 წლით განიზომებოდა. აი რამოდენა ხალხი იხოცებოდა და იხოცება ნაადრევი, მოსწრაფებული სიკვდილით!!

ადამიანის სიცოცხლის პირველივე დღეები, ბავშვის დაბადების პირველივე საათები, იმდენად სახიფათოა, რომ ბავშვთა ერთი მეხუთედი უკვე სიცოცხლის პირველივე წლის დამლევამდე წუთის სოფელს ესალმება.

საერთოდ ადამიანის მრავალრიცხოვან სიკვდილიანობაში უპირველესი ადგილი ჩვილი ბავშვების აუარებელ ავადმყოფობათ და გადამდებ სენებს უჭირავთ. ჩვილ ბავშობის ასაკის ყველაზედ სახიფათო ავადმყოფობად ზაფხულში კუჭნაწლევთა მოშლილობა ანუ საბავშვო ხოლერა ითვლება. უკანასკნელი ბავშვებისათვის უვარგისი და შეუფერებელი საქმელ—სასმელითა ჩნდება.

ჩვილ ბავშობას ანუ აკენის ხანას პატარა ადამიანის სიცოცხლის შემდეგი საფეხური „ნამდვილი ბავშობის“ ხანა მოსდევს, რომელიც სკოლაში შესვლით ბოლოვდება. ეს სკოლამდე ბავშვის სიცოცხლის ხანაც ბევრნაირი ავადმყოფობითაა დამძიმებული. ქუნთრუშა, ყვავილი და სხვა ბავშვების გაღუფურჩქნელ, კოკორ სიცოცხლეს შეუბრალებლად მუსრავენ—აუარებელ მსხვერპლს იწირავენ. ამას ზედ მოსდევენ ბავშვის სიცოცხლის სკოლის ასაკის ავადმყოფობანი—ყალაჰმა, წითელა და სხვა რომლებიც ბავშვის უმანკო სიცოცხლისათვის დიდ საშიშროებას წარმოადგენენ. სწავლის ხანას ზედ ერთვიან სქესობრივ სიმწიფით გამოწვეული ყმაწვილის ცდუნება—ნაკლულევანებანი. სიკბუჯის ხანა—ახალგაზრდას შეუღლებამდე—ვენერიულ სნეულებებისაგან მუდმივ საფრთხეშია. ამავე ხანას და აგრეთვე შემდეგ ვაჟაკობის ხანასაც მთელი რიგი გადამდები სენებისა—ტიფები, ქლეჭი, ხოლერა, მალარია, ჭირი და სხვა მუდამ თავს დასტრიალებენ და ერთ გამოუთქმელ ზარალს აყენებენ.

რაც დრო გადის ადამიანის სხეული თუ გაღურჩა ამდენ მტრებთან ბრძოლას—თანდათან ცვდება, თავდაცვის უნარს ჰკარგავს და სუსტდება. დასუსტებული ადამიანის ჯანი სულ უბრალო სნებას—ინფლუენციასაც—ველარ იტანს და ხშირად მარცხდება—კვდება. ზოგი ერთი ავადმყოფობა ხომ ადამიანის სიცოცხლის არც ერთ საფეხურს არ ერიდება და ყოველ ჟამს მას თავს დასტრიალებს. ფილტვების ანთებით, ქლეჭით, მალარიით და სხვა ყველა—ბავშვი და მოხუცი, კბუჯი—და ახალგაზრდა, ქალი და კაცი ავად ხდება.

წლის ყოველივე ხანას—„სიცოცხლით სავსე“ გაზაფხულს, სუსხიან ზამთარს, ნესტიან შემოდგომას და ცხელ ზაფხულს ბევრი განსაკუთრებული ეგრედ წოდებული „სეზონის“ ავადმყოფობანი მოაქვთ ადამიანისათვის და მის ისედაც გამწარებულ სიცოცხლეს უარესად ამწარებენ.

უვარგისი ჰავა, დხშული ჰაერი, უამინდობა, ცუდი ბინა, უხეირო სასამელსაქმელი, შეუფერებელი ადგილი—ყველაფერი ეს თითქო ადამიანს შესჯობრებია, მის ჯანს აზიანებს და დიდ ზარალს აყენებს სხვა და სხვა ავადმყოფობით და ხშირად სიკვდილითაც.

საკვირველი არ არის, რომ ადამიანი ამდენ მრავალფეროვან მტრებთან ბრძოლაში ხშირად დამარცხებული გამოდის, უდროოთ წუთისოფელს ესალმება და მოხუცებულობის ხანას ველარ აღწევს.

ამიტომაც რომ ჩვენი ცხოვრებისათვის ღრმა მოხუცებაში სიკვდილი ძალიან იშვიათ შემთხვევად ითვლება. მოხუცებამდე ბევრნაირი მიზეზი სიცოცხლით სავსე ადამიანს მოულოდნელად სიცოცხლეს უსპობს.

აქვს რამე ადამიანს თავის თავის დასაცავად მთელი რიგი მტრების საწინააღმდეგოდ, რომლებიც მის არსებობის მოსპობას ლაშობენ?

უპირველესად ყოვლისა ადამიანს თავისი სხეულის უხილავი, შიგნითი—მკურნავი ძალა და წინასწარ—დამცველი საშუალებანი აქვს.

ადამიანის სხეულმა მთელ საუკუნოებში „ბუნებითი შერჩევის“ კანონის ძალით ისეთი რთული აგებულება მიიღო, რომ მის საშუალება აქვს ბევრნაირ დამაზარალებელ მიზეზს როგორც აქტიურად ისე პასიურად გაუმკლავდეს თავისი ანატომიური აგებულებით სხეული ისე ბრძნულად არის აშენებული, — რომ გამოჩენილ ხელოვანთან განცვიფრებას იწვევს სხეულის ნაზი, ნაკლებად ამტანი, ცოტათი გამძლე ნაწილები და ასოები ყოველნაირი ზიფათის და მაზარალებელ მიზეზების ასაცილებლად სხეულის შიგნით, მის სიღრმეში არიან ჩაწყობილნი. მათ ზემოდან უფრო გამძლე, უფრო მაგარი ნაწილები და ასოები გადაჰფარებიან და მათ ინახავენ. ადამიანის სისხლს ერთი მეტის მეტად თვალსაჩინო თვისება აქვს. გარეგნობით უმნიშვნელო სითხეს—სისხლს—მასში გაჩენილ ან მასში გარედან შესულს მავნე ელემენტების საწინააღმდეგო თვითგასუფთავების, თვითგანწმენდის თვისება აქვს. ამ თვისების ძალით სისხლი თავისავე ნაწილებში რთულ ქიმიურ გარდაქმნებით—ან ამა თუ იმ ავადმყოფობით ადგილობრივ გაჩენილ შხამების საწინააღმდეგო შხამებსვე ამზადებს. მაგრამ მიუხედავად ისეთი ბრძნული მოწყობილობისა და სისხლის ისეთი მნიშვნელოვანი თვისებისა—ადამიანის სხეულის თვითდაცვა ძალიან ხშირად ძლევამოსილ იარაღად არ აღდება, ადამიანი მარცხდება და ავად ხდება.

შემდეგ ადამიანს იმავე თავდაცვის მიზნისთვის აი კიდევ რა გააჩნია. ზემოდ ნახსენებ „ბუნებით შერჩევის“ კანონთან ერთად ადამიანმა წარსულის დაუსრულებელ ბრძოლაში ბევრი მფარველი, გადამარჩენი ინსტინქტი შეიძინა და თავის არსებაში განივითარა.

ადამიანს ხშირად ხუთი გრძობის ორგანოები ბევრნაირ განსაცდლისაგან აფარავენ.

შემკმენდი სუნი გახრწნილი საკმლისა, ბევრი შხამის საშინელი გემოვნება, თავზარდამცემი შიში ამა თუ იმ საშინელებით გამოწვეული—სუყველაფერი ეს ადამიანის მფარველი ინსტინქტების გამოხატულებაა. წარსულში გაუნათლებელი ადამიანი თითქმის მხოლოდ ინსტინქტებითა ცხოვრობდა და მუდამ საშიშროებაში მყოფ თავის სიცოცხლეს უმთავრესად ამ იარაღით იფარავდა. და ბოლოს—კი კულტურა—განათლებამ კაცობრიობის სულიდან ბევრი მისი „წარსულის იარაღი“ ინსტინქტი აღმოფხვრა და სრულიად მოსპო. მაგრამ ადამიანს ვერც „ბუნებითმა“ შერჩევის კანონმა, ვერც მფარვალმა ინსტინქტებმა ცხოვრება ინდენად ვერ გაუუფხობესეს, რომ მისი სიცოცხლე მუდამ სასიკვდილო საფრთხეში არა ყოფილიყოს. ამ მხრივ დიდი დახმარება და სარგებლობა მოუტანა ადამიანს ცოდნამ. ცოდნა ადამიანის ცხოვრების გარდამკმეხელ ძალად გადაიქცა, რითაც მისი სიცოცხლე განმტკიცდა და შედარებით წარსულთან დღევანდელ იქმნა. ადამიანი ცოდნამ ნამდვილად „მეფეთ ამა ქვეყნისა“ გახადა და მისაცმას საშუალებანი ბევრი სენი და ავადმყოფობა თავის ცხოვრებიდან სრულიად ამოეშალა. ცოდნამ დაუმტკიცა ადამიანს, რომ ის გადაძღები სნეულებანი, რომლებიც კაცობრიობას გადაშენებით ემუქვებიან—სრულიად ადვილად შეიძლება მოისპვნენ. კულტურულ განათლებულ ერების ცხოვრებით ცოდნამ სამუდამოდ ისტორიას ჩააბარა ადამიანის წარსულის ის საშინელება—ტანჯვა—ვაეებიანი, რომელსაც მას კეთროვნება, ჭირი, ხოლერა, ყვავილი, ტიფები, მალარია და სხვა სენები აყენებდნენ. მაგრამ ეს ცოდნა—სამკურნალო—სანიტარული მეცნიერების დებულებანი, მოთხოვნილებანი და რჩევა დარიგებანი ჩვენი ხალხის, ფართე მასის გულში ჯერ არ გადატანილა, რომ მის ცხოვრებაშიც ის ცვლილება შეეტანა, რაც ევროპის ზოგიერთ მოწინავე ხალხების ცხოვრებაში მოახდინა. ჩვენი ცხოვრების მდგომარეობა დაჟინებით მოითხოვს, რომ სანიტარულ—გივიენური ცოდნა რაც შეიძლება ჩქარა ადვილ—გასაგები ენით ჩამოსხმული მთელა ჩვენი ხალხის გონიერების ავლადიდებად გადაიქცეს. თორემ ხომ ვიცით ამ მხრივ რითი საზრდოობს ჩვენი ხალხის დღევანდელი აზროვნება? აუარებელ ცრუმარწმუნეობას: შელოცვას, მკითხაობის, ქადაგობას, სამხთოებს, მაგნე და მაზარალებელ სოფლურ წამლობას, ავადმყოფთა ხატობას, პარაკლის—პანაშვიდებს და ფანტასტიურ—მისტიურ სხვა ბევრნაირ ზღაპრებს მთლათ შეუპოვრკავთ ჩვენი ხალხის სული და ქონებრივად დიდათ აზარალებენ მის დოვლათს. ეშმაკებს, „ბატონებს“, ანგელოზებს, ხატებს და თვით ღმერთს ხალხის რწმენით—მოაქვთ მისთვის როგორც სასჯელი—სხვა და სხვა სენი და ისიც თავზარ დაცემული—როგორც უტყვი მონა—ქედ მიხრილი იღებს მათ როგორც დამსახურებულ სასჯელს და ბევრი ავადმყოფობის წინააღმდეგ—არავითარ ზომას არ იღებს—„ბატონები გაჯავრდებიანო“. და აი ამ ცრუ მარწმუნეობისა და უმეცრების პორეფში ყელამდისინ ჩაფლული რომ ვართ რას უნდა მოველოდეთ ჩვენი თავისაგან ან პოლიტიკურად, ან ეკონომიურად. ან კულტურულად, და თუ გნებავთ სხვა მხრივ—ვადაც, თუ ქართველი ერის ბნელეთით მოცული გონება მალე არ განათდება,

თუ მრავალი რელიგიოზური და ფანტასტიური ცრუმარწმუნოებით, მოწმამული მისი სული მალე-არ გაჯანსაღდა? და მართლაც ყველგან ხალხის გაუნათლებლობა— უმეცრება ხალხის დიდი დაავადებისა და სიკვდილიანობას მუდმივად, ერთგული მოკავშირე ყოფილა. არაფრით არ აიხსნება თუ არა ჩვენი შეუგნებლობით, სიბნელით ის გარემოება, რომ ჩვენ ჯერ-ჯერობით თავიდან ვერ მოგვიშორებია ისეთი სნეულებანი, რომლებიც ჩვენზედ განათლებულმა ხალხმა—ევროპაში უკვე დიდხანია დაივიწყა. ბევრი ჯურის ავადმყოფობის სანახავად, გასაცნობად განათლებული ევროპიელი ჩვენისთანა დაავალბულ ქვეყანაში დაიარებთან და მათ განცვიფრებას საზღვარი არა აქვს, როცა ხალხის შეუგნებლობით გამოწვეულ უკიდურეს დასნეულებას და თავზარდამცემ სიკვდილიანობას ხედავენ.

რითი აიხსნება თუ არა ჩვენი, ჩვენდა სამწუხაროდ, ველურობით და უფიცობით შემდეგი სურათები: ვინმემ ხელი ან ფეხი გაიჭრა. დაჭრილის გულშემატკივარი მახლობელი თავვადაგლეჯით ობაბას აბლაბუდეს ან, ცხენის პატივს ეძებს იმის მაგივრად რომ სუფთა დოღბანდი და სხვა საჭირო მასალა მოსძებნოს. მოაქვს თავისი უკულტურობით, უცოდინარობით აბლაბუდე ან პატივი, ჭრილობაზე ადებს და ისე უხვევს ჭრილობას. გადის ორი—სამი კვირა, ჭრილობა არამც თუ არა რჩება პირიქით უარესდება, ჩირქდება, დიდდება, ყროლდება და გარდა ჭრილობისა მის პატრონს საშინელი ავადმყოფობა— „ტეტანუსი“ ემართება, რომლით გამოწვეულ ტანჯვა—ვაებაში წუთის სოფელს ესალმება. დაჭრილს თავისმა მოსიყვარულე შეიძლება დედამ, მამამ ან შვილმა ან ძმამ, და სხვამ—თავისი უცოდინარობით ჭრილობაზედ დიდებულ „წამლით“ ტეტანუსის ბაცილებით ჯერ ჭრილობა და შემდეგ მთელი სხეული მოუწამლა და ასე თავისი ძვირფასი მახლობელი სიკვდილს გადასცა. ასეთი შემთხვევები ძალიან ხშირია ჩვენს უკულმართს სინამდვილები. ხშირად ავადმყოფი კვდება იმიტომ კა არა, რომ მას რაიმე სასიკვდილო სენი სჭირს—არა კვდება მოუვლელობით ან უფრო ხშირად შეუფერებელი მოვლით. ტიფებით, ხოლერათ ადამიანი ავად არ უნდა გახდეს და თუ გახდა არ უნდა მოკვდეს, რომ დასახელებულ სენებზედ, მათ გავრცელებ—გადადებაზედ, გამომწვევ მიზეზებზედ, მოვლა წამლობაზედ ხალხში ჭეშმარიტი ცოდნა იყოს გავრცელებული. ჩვენში საშინლად გავრცელებული ავადმყოფობა ჭლექი, რომელიც ისეთ დიდ საშიშროებას წარმოადგენს ჩვენი ხალხისათვის—გამოჩენილი ექიმ კალმეტის აზრით—ხალხის უფიცობის და გაუნათლებლებას ავადმყოფობაა“. კალმეტის აზრით ადამიანმა, რომ ჭლექს გაჩენის მიზეზები იცოდეს მას ჭლექი არ გაუჩნდება.

დავანებოთ თავი ისეთი სენების დასახელებას, რომლებსაც პირდაპირი, ეგრეთ წოდებული „მიზეზოპიითი წამლობა“ არა აქვთ.

ავილოთ ყვავილი, მალარია, ვენერიული ავადმყოფობანი და სხვანი—რომელთა წამლობა—და მორჩენა უკვე ექვს გარეშეა, ოღონდ კი თავის დროზედ და შესაფერისი საშუალება იქმნას ნახშიარი.

ყვავილით ჯერ კიდევ აუარებელი ხალხი—დიდი და პატარა—ან იხოცება, ან საშინლად სახ ჩრდება, მაშინ როცა ადამიანს ხელში აქვს ყვავილის უებარი წამალი—ყვავილის აცრა. საჭიროა მხოლოდ ყვავილი თავის დროზედ აეცრას ბავშვს და შემდეგ კიდევ თავის დროზე გაუმეორდეს აცრა, რომ ადამიანი დიდ უბედურებას გადაურჩეს. მაგრამ ხალხის უვიცობა, ხომ ძალიან ხშირად მალავს კიდევ აუტრელ ბავშვებს და სიკვდილისათვის ინახავს.

განა ხალხმა რომ იცოდეს რა არის მალარია—ციებ—ცხელება—იცოდეს მისი მიზეზი, ჰქონდეს მუდამ მალარიის საწინამდღევო უებარი საშუალება—ჩინაქინა და გაცნობილი ჰქონდეს ის ზომები და საშუალებანი რითაც შეიძლება მალარია თავიდან აიცილინოს ვიგეორებთ, განა ხალხი მალარიით კიდევ გახდებოდა ავად?!.. მაგრამ ხალხის უვიცობა, უცოდინრობა უკეთესი ჭაობია, სადაც ბუდობს მალარია, ვიდრე ის ნესტიანი ადგილები სადაც მალარიის გამომწვევი კოლო ბინადრობს.

ჩვენ ხალხში ათაშანგისა და სუსუნატის წინამდღევ გამოუთქმელი ინსტიტუტური შიშია გავრცელებული. ხალხმა რომ იცოდეს როგორ და რა გზით გადადის და ვრცელდება ეს სენები ან რაში მდგომარეობს მათი ნამდვილი მოგლა-წამლობა-თამამად შეიძლება ითქვას, რომ ვენერიულ სენებს ჩვენ ხალხში ძალიან მცირე ადვილი ექნებოდათ დაკავებული და არა ის რაც დღეს უჭირავთ.

დღეს დღეობით ათი თხუთმეტი პროცენტი ჯერ ისევ ჯანღონით სავსე ჩვენი მუშა-გლეხაკისა სრულიად დასნეულებული შრომის უნარს არის მოკლებული. შეხედავ-ადამიანი გარეგნობით ნამდვილი ვაჟაკია, სიცოცხლით სავსე-ენერგიისა და ფიზიკურ ძალის-ნამდვილი წყაროა. ფეხი მძლავრი, მკლავი მაგარი, თვალი მჭრელი აქვს, მაგრამ სრულიად დავრდომილია. ნახევარ ვერს მანძილს ვერ გაივლის, უბრალო სიმძიმეს ვერ ასწევს. მუშაობა სრულიად არ შეუძლია. რაშია საქმე? სულ უბრალო ნაკლი აქვს. ეგრედ წოდებული „ფერდის ქარი“—გრიფა გასჩენია და რადგანაც ეშინიან უვიცია-ობერაცია ვერ გაუყვებია და მით თავის თავი ინვალიდობისთვის და საშინელი ტანჯვა-ვაებისთვის მიუცია. ამისთანა მაგალითები ჩვენი უკუღმართი ცხოვრებისა ძალიან ბევრია. პირდაპირ უთვალავია. და ყველგან და ყველასთვის მიზეზი ერთია-ხალხის სიბნელე, გაუნათლებლობა და უკულტურობა,

როგორ და რითი შევებრძოლოთ ჩვენს ასეთ მდგომარეობას-ჩვენი არსებობისათვის საშიშროებით სავსე სინამდვილეს?

რასაკვირველია ჭირველესად ყოვლისა ხალხის საერთო განათლებით, მისი აღზრდით, კულტურულად ამალღებით. ჩვენი ხალხის საყოველთაო სწავლა-განათლება, რომელსაც დიდის ენერგიით და ფართე გეგმით განათლების სამინისტრო და თვითმართველობან იაწარმოებენ სწორედ ამ მიზნისკენა მიმართულია. რაც უფრო სქლად გაიბმის ჩვენს ნორჩ რესპუბლიკაში სახალხო სკოლების ქსელი, რაც უფრო მალე მოვესწრებით იმ დ ოს, რომ ჩვენს სოფელს წერაკიხზვის არ მცოდნე აღარა ჰყვადეს, მით უფრო მალე განათლება ცოდნის სინათლით ჩვენი ერის სული და გული და სამუდამოთ მოისპობიან ის სნეულება—ავად-

შყოფობანი, რომლებიც ხალხის სიბნელით და უცოდინარობით არსებობენ.

მაგრამ საერთო განათლება სავსებით საკმარისი არ იქნება ჩვენი სპეციალური მიზნისთვის-ხალხის უკიდურესად დაავადების და დიდი სიკვდილიანობის ბრძოლისთვის, რადგანაც ხშირია მაგალითები, რომ თვით ეგრედ წოდებული „დიპლომანი“ განათლებული საზოგადოებაც კი სანიტარია-გიგიენის მოთხოვნილებათა უცოდინარობით-უმწეო-მდგომარეობაში ვარდება დაავადების სულ უბრალო შემთხვევებშიაც კი.

ამიტომ აუცილებლად საჭიროა ხალხში სპეციალური ცოდნის შეტანა, სანიტარია გიგიენის მოთხოვნალებათა გაცნობა ხალხისათვის მისაღები მდაბიონით და ვასაგები ფორმით. სპეციალური ცოდნის ხალხში გადატანა-ანუ ცოდნის პოპულიარიზაცია ორი გზით შეიძლება. სანიტარია გიგიენის დებულებათა კრებებზედ აღსნა განმარტება, ლექციების კითხვა, სკოლებში გიგიენის სწავლება, შესაფერისი სურათების და დიაგრამების ჩვენებით, სპეციალური გამოფენების მოწყობა, მოკლე ვადიანი კურსების დაარსება და სხვა-ეს პოპულიარიზაციის ზეპირი კითხვითი გზაა. ზეპირი სიტყვა-მით უმეტესად მდაბიოდ, ნათლად თქმული ლამაზი სიტყვა-კარგია და ადვილად მისაღები. მაგრამ უფრო სწორი და ნაცადი გზა ცოდნის პოპულიარიზაციისთვის ბეჭდვითი სიტყვაა.

ადვილ ვასაგები ერთ მედიკო-სანიტარულ საკითხებზედ დაწერილი წიგნები, ბროშურები, ფურცლები დიდ სარგებლობას მოუტანს ჩვენ ხალხს. მალე გამოიყვანენ მას იმ უმწეო მდგომარეობიდან, რომელშიაც დღეს იგი სდგას თავის უფიცობით. ვინ უნდა ჩაუდგეს ამ საქმეს სათავეში და ფრიად სასარგებლო საქმე ვინ უნდა განახორციელოს პირველი ადგილი ამ საქმეში თვითმართველობებს და მათ კავშირებს ეკუთვნით. შემდეგ იგრევე საქმე უნდა აწარმავოს ჯანმართელობის დეპარტომენტმა. ერობათა კავშირის კომიტეტმა, ჩვენის აზრით, მედიცინის და გიგიენა-სანიტარიის ცოდნის პოპულიარიზაციის საქმეს განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიიქციოს. კომიტეტმა ბროშურების და ფურცლების მთელი გამომცემლობა უნდა შექმნას, რომლებითაც ხალხი დასახელებული დარგის ცოდნას გაიცნობს და შეითვისებს. გამომცემლობის საქმე კომიტეტმა ისე უნდა მოაწყოს როგორც ეს რუსეთში პირაგოვის სახელობის საზოგადოებას ჰქონდა მოწყობილი. პირდაპირ ხელმძღვანელად საქმეს ეროკავშირის მიერ მოწვეული სპეციალისტთა კომისია უნდა ჩაუდგეს.

გამომცემლობის საქმე ეროკავშირთან-ცენტრში უფრო სასურველია მოეწყოს ბევრნაირი მოსაზრებით. სამაზრო ერობებს ადგილობრივ ბევრგან არც ერთი ვარემოება ხელს არ უწყობთ, რომ გამომცემლობის საქმე განახორციელონ. ტფალისი კი ამ მხრივ ვაცილებით უკეთეს მდგომარეობაშია. ეკონომიურად, საჭირო ძალების და მასალის შოვნით ეროკავშირისთვის უფრო მოსახერხებელი და მისაღები იქმნება გამომცემლობის საქმე ვიდრე რომელიმე სამაზრო ერობისთვის.

დასახელებული დარგის გამომცემლებისთვის ეროკავშირმა, ჩვენის აზრით განსაკუთრებული თანხა უნდა გადასდოს. იმავე საქმისთვის ფულით ყველა სა-

მაზრო ერობებიც უნდა დაიხმაროს, რომ საქმე მტკიცად და ფართედ მოეწყოს. ამ დაწყებულებით გამოწვეული ხარჯი ეროკავშირს ხარჯად არ უნდა ჩაეთვალოს. პირიქით, როგორც წასწავლი ადამიანი ნოსივი ამბობს „ყოველივე გონივრული ხარჯი, რომელიც გიგიენურ სოციალური მიზნითა ხდება, არის ზალხის დიდი ეკონომიური შემატება და იმავე დროს გამდიდრების წყარო“.

ექ. ი. ლომოური.

საზოგადოებრივი წარმოება

(მისაბაძი მაგალითი ევროპის ცხოვრებიდან)

კანტონ ვოდში (შვეიცარიაში) არის თემი—ბიურტინი, რომელიც შეიცავს 430 მცხოვრებს. ადგილობრივ კანტ-ნადერ კანონის მიხედვით, თუ თემის მცხოვრებთა რიცხვი არ აღემატება ექვსას, მას ნება არა აქვს ჰყავდეს თავისი საბჭო (ხმოსანთა ყრილობა). ამ შემთხვევაში მოქალაქეები ირჩევენ გამგეობას, ეგრედ წოდებულ მუნიციპალიტეტს, რომელიც წარმოადგენს აღმასრულებელ ორგანოს. ხოლო თუ თემი დიდია (ექვსას მცხოვრებზედ მეტი) მაშინ ირჩევენ ხმოსნებს და უკანასკნელი ირჩევს გამგეობას. ბიურტინს, როგორც მცირე რიცხოვან თემს, არ ჰყავს ხმოსანთა ყრილობა. საზოგადო ყრილობა ირჩევს გამგეობას, რომელიც შედგება შვიდი კაცისაგან. უკანასკნელი თავის მოქმედების ანგარიშს აბარებს საზოგადო ყრილობას. გამგეობის წევრები იღებენ განსაზღვრულ ჯილდოს წლიურად და ამასთან დამატებით გასამრჯელოს სამუშაო დღის მიხედვით. გამგეობის თავჯდომარე იღებს წელიწადში 130 ფრანკს (ძველი კურსით—ოქაშდის—დაახლოვებით 50 მანეთს, ხოლო დღევანდელი ჩვენი ფულის კურსით დაახლოვებით შვიდი ათას მანეთს) გამგეობის მდივანი იღებს 225 ფრანკს. გამგეობის წევრები—თითო 90 ფრანკს. მოლარე იღებს 36 ფრანკს. ამას გარდა იმ დღეებში, როდესაც ისინი ფაქტიურად მუშაობენ თითოეული იღებს ოთხს ფრანკს (ძველი კურსით დაახლოვებით მანეთ ნახევარ) დღეში. მკითხველი უსათუოდ ორ გარემოებას მიაჩქევს ყურადღებას. გამგეობის თავჯდომარე უფრო ნაკლებს იღებს, ვიდრე მდივანი, ან მოლარე. საერთოდ შვეიცარიის კომუნების (ასე ეძახიან იქ ჩვენებურ თემებს) გამგეობა არ არის დატვირთული მუშაობით. ხოლო რაც შეეხება მდივანს და მოლარეს, ისინი მეტ შრომას ეწევიან, ვიდრე გამგეობის სხვა წევრები. მეორე მხრივ, იქ განსაზღვრულ ჯამაგირთან ერთად შემოღებულია გასამრჯელო სამუშაო დღის მიხედვით. გამგეობის სხდომა ხდება კვირაში, ან ორ კვირაში ერთხელ. ამ შემთხვევაში იღებენ თემის ხელმძღვანელები ცალკე დღიურ ხელფასს, დანარჩენ დროს ახმარებენ საკუთარ, კერძო საქმეებს.

ბიურტინის კომუნას აქვს რამოდენიმე წყარო შემოსავლისა. ჩვენ შევეხებით ამ წერილში უმთავრეს კომუნალურ წარმოებას. პირველი: კომუნალური სახლი, რომელიც შეიცავს ერთ დარბაზს გამგეობის და თემის კრების სხდომებისთვის, ორი ოთახი სასადილო, შვიდი ოთახი საწოლი (მგზავრთათვის), სარდაფი და ეზო ბურთის სათამაშოდ. ეს სახლი დაფასებულია 36 ათას ფრანკად და გაქირავებულია 1500 ფრანკად წლიურად. დამქირავებელი ვალდებულია დიდი დარბაზი დაუთმოს ხალხს საჭირო კრებებისათვის. მეორე: კომუნალური ფურნე ღირებული 8000 ფრანკად. ეს ფურნეც გაქირავებულია წელიწადში 230 ფრანკად. (დღევანდელი ჩვენი ფულის კურსით ეს უფროს დაახლოებით 16—17 ათას მანეთს.) მესამე ვალდებულია ყოველ პარასკეობით დაუთმოს ფურნე ადგილობრივ მცხოვრებთ პურის გამოსაცხობათ, რომელშიაც ის ახდევინებს ძველი კურსით გირვანქაში ნახევარ კაპიკს. მესამე: კომუნალური საყველე, რომელიც ქირავდება წელიწადში ხუთას ფრანკად. მეოთხე: სახნავი მიწა, რომელიც თემის საკუთრებას შეადგენს და გაქირავებულია 1250 ფრანკად. მეხუთე: საბალახე, რომლის ექსპლოატაცია თემის ხელშია და არ არის გაქირავებული. ადგილობრივი მკოდნე პირების დაკვირვებით, თემის მიერ პურის დათესვა, ან ვენახის მოშენება საზარალოა, რადგანაც ის მოითხოვს დიდ შრომას, და ბევრ მუშა ხელს, რომელსაც განსაკუთრებული და ხანვოქლივი ხელმძღვანელობა სჭირია. რაც შეეხება საძოვარ ადგილების მოვლას—ეს უფრო ადვილია. ერთად ერთი შრომა, რომელიც სჭირია საბალახეს ეს არის ყოველ-წლივ მისი განაყოფიერება ქიმიურ ნივთიერებათა მეოხებით. ერთი კაცისაღვის ეს ორი დღის სამუშაოა. მოითხოვს დაახლოებით ათი ფრანკის დახარჯვას, ხოლო თვით გასანაოყიერებელი მასალა ჯდება ყოველ-წლივ დაახლოებით 8 ფრანკი. თივის ცელვა და მოგროვება ეგალემა იმ პირს, ვინც მას ყიდულობს. საშუალო რიცხვით ყოველწლივ შემოსდის თემს საბალახოდან 2500 ფრანკამდის. მეექვსე: ბიურტინის თემს აქვს მშვენიერი წყალსადენი, გაყვანილი 1905 წელს. ამ მიზნისთვის თემს უსესხნია კანტანალურ სამეურნეო ბანკიდან 25 ათასი ფრანკი (3,75%). მცხოვრებლები იხდიან განსაკუთრებულ გადასახადს წყლისთვის, რომელიც ფარავს პროცენტებს და ნაწილობრივ თვით ვალს. როდესაც ვალი სავსებით გასტუმრებული იქნება, წყალსადენით სარგებლობაც უფასო გახდება. მეშვიდე: კომუნას აქვს საკუთარი ტყე, დაახლოებით 200 ჰექტეა. ნაწილი ამ ტყისა ძველი დროიდან თემის საკუთრებას შეადგენდა, ხოლო ნაწილი უკანასკნელ დროს შეუსყიდიათ კერძო მესაკუთრებებსგან. დღეს კერძო პირებს ტყე, თუ არ მივიღებთ სახეში ბუჩქნარებს, ამ თემში არა აქვთ. ტყეს განაგებს სპეციალური კომისია. სამი პირისგან შემდგარი. ამ კომისიაში შედის გამგეობის თავმჯდომარე და ადგილობრივი ტყის მკველი, სახელმწიფო სამსახურში მყოფი, ex officio. ტყის საშუალო წმინდა შემოსავალი წლიურად უფროს 20 ათას ფრანკს.

ჩვენ არ შევეხებით სხვა სათემო წარმოებას, როგორც არის საზოგადო საწონი, სარეცხი და სხ. ვიტყვიტ მხოლოდ, რომ თემი ბიურტინი საზოგადო

ქონების შემოსავლით ჰფარავს თავის წლიურ ხარჯებს, რომელიც უდრის დაახლოვებით 40 ათას ფრანკს, (დაახლოვებით დღევანდელი ჩვენი ფულის კურსით სამი მილიონი მანეთი). ამნაირად იქ დიდი ხანია ხალხს დაავიწყდა, რა არის ზათემო გადასახადი. ეს სრულებით არ არსებობს. ყველა კულტურული და ადმინისტრატული მოთხოვნილებანი ამ საზოგადოებრივ წარმოების შემოსავლით დაკმაყოფილებულია და ხშირად თავისუფლად დარჩენილ თანხას თემი ურიგებს მოქალაქეებს. 1910 წელს თითო თავის სრულწლოვან მოქალაქეს თემს დაურიგა 15 ფრანკი. ამისთანა მაგალითები აუარეველია შვეიცარიაში.

შვეიცარია ითვლება კერძო საკუთრებაზედ აშენებულ სახელმწიფოდ, ზოლო იქაური გლახობა ზოგიერთებს წარმოუდგენია ყოველივე საზოგადოებრივი ინიციატივის უარყოფელად და მტრად. ეს უდიდესი შეცდომაა. ჩვენ მიერ მოყვანილი მაგალითი, რომელიც სრულებით არ არის გამონაკლისი, ნათლად ამტკიცებს, თუ რა სარგებლობის მოტანა შეუძლიან საზოგადოებრივ წარმოების მკვიდრ ნიადაგზედ დაყენებას და მისი რაციონალურად მოწყობას. ჩვენს ერობებს და თემებს ამ მხრივ ფართო ასპარეზი ექლევათ. ყოველი პროგრესიულად მოაზროვნე მოქალაქის ვალდებულებაა ხელი შეუწყოს ისეთ პირობების შექნას ჩვენში, რომ როგორც თემებს, ისე ერობებს ჰქონდეთ შეძლება თავისი წარმოების შემოსავლით დაჰფარონ ჩვეულებრივი გასაჯალი.

ბ. თევზაია.

საეროზო სტატისტიკის საკითხები.

I.

სტატისტიკის მნიშვნელობა სახელმწიფოებრივ და საეროზო დაწესებულებათათვის განუზომელია. უმთავრეს მიზანს სტატისტიკური მასალების შეგროვებისას სახელმწიფო—ადმინისტრაციულ და სამეურნეო დაწესებულებათათვის შეადგენს ხელმძღვანელობის გაწევა სხვა და სხვა ზომების მისაღებად და სამოქმედოდ. სახელმწიფოს უნდა ჰქონდეს ცნობები ვაჭრობის, მრეწველობის, სამხედრო და ეკონომიური რესურსების შესახებ. სახელმწიფომ და თვითმართველმა ერთეულებმა უნდა იცოდნენ მოქალაქეთა ეკონომიური და სოციალური მდგომარეობა. რაიმე არასასურველი მოვლენა, რომლის მოსპობაა საჭირო, მაგალითად ავადმყოფობათ, ბოროტმოქმედებათ და სხვა ეკონომიური მდგომარეობა, საინტარული პირობები, უფიცობა, უზნეობა ნაილად უნდა იყოს გა-

შორკვეული და აღწერილი სანაქ პრაქტიკული ზომების საგნათ გახდებოდა. ეკონომიური და სოციალური გაუმჯობესება შეუძლებელია, თუ მხედველობაში არ იქნება მიღებული ნამდვილი მიზეზები, რომელნიც იწვევენ არა სასურველ საზოგადო მოვლენას. ამნაირად, უმთავრესი სტატისტიკური ოპერაციების წარმოება დამოკიდებულია უპირველეს ყოვლისა სახელმწიფოს მართველობის პრაქტიკულ საქროებაზე. ამ მოსაზრებით, სტატისტიკური დაკვირვება და მუშაობა აუცილებელია იმ ორგანოების ნორმალური მოქმედებისთვის, რომელნიც უძღვებიან ადმინისტრაციულ და სამეურნეო მართველობის ამა თუ იმ დარგს. მას იწვევს თვით მიმდინარე სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი ცხოვრება, სახელმწიფოებრივი ორგანოების მოთხოვნილება, რათა გაერკვიონ მიმდინარე ადმინისტრაციულ მოღვაწეობის სოციალურ და ეკონომიურ პირობებში.

ეგრედ წოდებული ოფიციალური სტატისტიკა იხილავს ყველა სოციალურ და ეკონომიურ მოვლენებს და ფაქტებს სახელმწიფოს ორგანოების მოქმედებაში. თვითმმართველი ერთეულების და სხვა და სხვა ხასიათის კავშირების მოქმედებაში გროვდება ყველაზე უფრო თვალსაჩინო, როგორც რაოდენობის, ისე მნიშვნელობის მხრივ. სტატისტიკური მასალების შეგროვება და მათი გაპოყენება აუცილებელია მართველობის მიზნებისათვის. ამიტომ სრულიათ ბუნებრივად იბადება აზრი, რომ ამ გვარი სტატისტიკა უნდა შედიოდეს იმ დაწესებულებათა და კავშირთა ადმინისტრაციულ საქმეთა წრეში, რომელნიც ზემოდ იყვენ აღნიშნულნი. რახან ასეთი სტატისტიკის მიზანია, ადმინისტრაციული და სამეურნეო მართველობის საქროების დაკმაყოფილება, აქედან უნდა გამომდინარეობდეს მისი შესრულების აუცილებლობა სათანადო დარგის მართველობის გამგის უახლოეს ხელმძღვანელობით. ადმინისტრაციული გამოცდილება და სტატისტიკური ცოდნა ერთად თავმოყრილი იშვიათი მოვლენაა. არის საფუძველი ვიფიქროთ აგრეთვე, რომ სტატისტიკური კვლევის ჩარჩოები ამ შემთხვევაში შევიწროებული იქნება სამმართველო საქმის ვიწრო ინტერესებით. შესაძლებელია, ფვით მართველობის სფეროს გაშუქებაში შეჯანილ იქმნეს სუბიექტიური ელემენტი. მაგრამ ამ ნაკლულევანების თავიდან აცილება არ შეიძლება მართო ყველა დარგის სტატისტიკის გარეგანი გაერთიანებით. ამისთანა გაერთიანება შეუძლებელიც არის პრაქტიკულად, რადგან მოშორება სტატისტიკისა იმ

მართველობის დარგიდან, რომლისთვისაც იგი მუშაობს, მაშინვე დაემჩნევა როგორც მართველობის ინტერესებს, ისე სტატისტიკური კვლევების სიღრმეს. ბევრგან არსებულ სტატისტიკურ განყოფილებასთან ერთად, შეიქმნა განსაკუთრებული სტატისტიკური ორგანოები მედიკოსანტიკარულ ბიუროსთან, ტრამვაის მართველობასთან და სხ. ეს იყო შედეგი ნათლად დანახული ცალმხრივი ცენტრალიზაციის სისტემისა, რომელიც ვერ აკმაყოფილებდა ადმინისტრაციულ-სამეურნეო მართველობის პრაქტიკულ მოთხოვნილებას. საქმიანი სტატისტიკის მიზანია, როგორც ნათქვამი იყო მიაწოდონ პრაქტიკული ცნობები ადმინისტრაციული მოქმედებისთვის. ერობის სტატისტიკური ორგანოები უნდა აგროვებდნენ და ამუშავებდნენ ყველა მათდამი რწმუნებულ მართველობის დარგის სტატისტიკურ მასალებს. ასევე უნდა იქცეოდნენ ცალკე დაწესებულებანი და საზოგადო ორგანიზაციები: სტატისტიკური მასალების ხასიათი განისაზღვრება მართველობის ყველა ცალკე დარგის ბუნებით და ხასიათით.

მაგრამ მაინც არის ისეთი სტატისტიკური მიზნები, რომელთა განხორციელება ტექნიკურად არ შეუძლიათ ცალკე ერობებს, მუნიციპალიტეტებს, მათ კავშირებს და ცალკე დაწესებულებებს. — ეს არის საერთო ხასიათის აღწერები, რომელიც ხდება ხოლმე ჩვეულებრივ ხანგამოშვებით მთელ სახელმწიფოს ტერიტორიაზედ. ამისთანა მუშაობის წარმოების დროს აუცილებელია ცენტრალისტური, გაერთიანებული სისტემით მუშაობა. ცხადია აგრეთვე, რომ მიმდინარე სტატისტიკა, რომელსაც ერობების მუნიციპალიტეტების საზოგადოებრივი კავშირები და სხვ. პრაქტიკული საქიროება ბადებს თხოულობს საზოგადო სახელმწიფოებრივი მასშტაბით დამუშავებას. ეს სტატისტიკური მასალა ყველაზე მნიშვნელოვანი, როგორც არსებით, ისე რაოდენობით გამოყენებულ უნდა იქმნას სახელმწიფო და სამეცნიერო მიზნებისთვის, რადგან, როგორც ამბობს სერვეი, — არ არის ისეთი მოვლენა, რომლის ცოდნას არა ჰქონდეს მნიშვნელობა ფაქტიური საფუძვლის შექმნის თვალთსაზრისით სახელმწიფოებრივი ნების შესრულებასა და ჩამოყალიბებაში. ცუდი ის კი არ არის, რომ სტატისტიკური მოქმედება ნაწილდება, არამედ ის, რომ შეკრებილი სტატისტიკური მასალები ხშირად ერთი ერთმანეთთან არ არის შედარებული, დამუშავებული და დაფასებული. უნდა ვეცადოთ, რომ ამისთანა სტატისტიკური მასალების პრაქტიკული დანიშნულებით შეუმცირებლად, გავაძლიეროთ მათი მნიშვნელობა სა-

ხელმწიფოებრივ და სამეცნიერო მიზნებისთვის. უნდა მრავალწიოთ გარ-
მონიას სახელმწიფოებრივ სტატისტიკურ ორგანოთა და სხვა და სხვა
ჯურის საზოგადოებრივ დაწესებულებათა შორის. უნდა დავებმართოთ
ორგანიზაციებს შემოიღონ ერთგვარი უფრო გაუმჯობესებული წესები
და მეთოდები სტატისტიკური მასალების შეგროვებისა და დამუშავების.
საჭიროა მიღებულ იქმნას ცენტრალიზაცია მხოლოდ პროგრამების და
მეთოდებისა სტატისტიკური გამოკვლევების საკითხებში.

გ. ბენაშვილი.

სოციალ-ეკონომიური უფლებები

საქართველოს კონსტიტუციაში.

საქართველოს კონსტიტუციის პროექტის მეცამეტე თავი შეიცავს სოციალ-
ეკონომიურ უფლებებს. აი ეს თავი.

თავი მეცამეტე

სოციალ-ეკონომიური უფლებანი

მ უ ხ ლ ი 128

რესპუბლიკა ზრუნავს თავის მოქალაქეთა ღირსეული არსებობისა-
თვის.

მ უ ხ ლ ი 129

საკუთრების იძულებითი ჩამორთმევა შეიძლება მხოლოდ სახელ-
მწიფოებრივი, საზოგადოებრივი და კულტურული საჭიროებისათვის
ცალკე კანონში განსაზღვრული წესითა და საფასურით.

მ უ ხ ლ ი 130

რესპუბლიკას შეუძლიან კანონმდებლობის გზით გაასაზოგადოოს
ის სავაჭრო, სამრეწველო და სამეურნეო დარგი და კერძო წარმოება,
რომელიც ამისთვის გამოსადეგია.

მ უ ხ ლ ი 131

რესპუბლიკის განსაკუთრებული საზრუნავია სოფლის მეურნეობის აყვავება. მიწის დამუშავება და გამოყენება შეადგენს მიწისმფლობელის მოვალეობას საზოგადოების წინაშე.

მ უ ხ ლ ი 132

დაქირავებული სამუშაო ძალა რესპუბლიკის კანონმდებლობის საზრუნავი საგანია.

მ უ ხ ლ ი 133

რესპუბლიკის კანონმდებლობით აღვილობრივ მმართველობას ევალება დაარსოს შრომის ბირჟა, შუამავალი კანტორა და სხვა ამგვარი დაწესებულება, რომელიც აღნუსხავს უმუშევართ და შუამავლობას გაუწევს სამუშაოს საშოვნელად.

ასეთ დაწესებულების ხელმძღვანელ ორგანოში მუშათა კავშირის წარმომადგენელთა რიცხვეთი ნახევარზე ნაკლები არ უნდა იყოს.

მ უ ხ ლ ი 134

უმუშევრად დარჩენილ მოქალაქეს მიეცემა დახმარება სამუშაოს აღმოჩენით ან დაზღვევის სახით.

მ უ ხ ლ ი 135

მოხუცებულობით, დაავადებით თუ სხვა მიზეზით შრომის უნარს მოკლებული მოქალაქე, რომლისთვისაც ზრუნვა კანონით ან ჩვეულებით დავალებული არა აქვს მემკვიდრეს, მზრუნველს, მწარმოებელს ან სხვა კერძოსა თუ საზოგადოებრივ დაწესებულებას, და რომელსაც არ სებობის სახსარი არ მოეპოვება, მიიღებს დახმარებას სახელმწიფო ხაზინიდან დაზღვევით ან სხვა სახით. ასევე დაეხმარება ხაზინა, უკეთუ მემკვიდრეს ან მზრუნველს შრომის უნარდაკარგულის რჩენა არ შეუძლიან.

მ უ ხ ლ ი 136

დაქირავებული მუშა, რომელიც მოხუცებულობით, დაშავებით ან სხვა მიზეზით დაქარგავს სავსებით ან ნაწილობრივ შრომის უნარს,

მიიღებს დახმარებას დაზღვევის სახით თავის ხელფასის კვალობაზე. დასაზღვევი თანხა უნდა შესდგეს დამქირავებელზე შეწერილ საგანგებო გადასახადისაგან.

მ უ ხ ლ ი 137

გარდა საგანგებო ან ამ მიზნით შეწერილი გადასახადისა ზემოაღნიშნულ მოვალეობათა ასასრულებლად რესპუბლიკის წლიური შემოსავლიდან უნდა გადაიდოს არა ნაკლებ 5%-ისა.

მ უ ხ ლ ი 138

ნორმალური სამუშაო დრო დაქირავებულთათვის არ უნდა აღემატებოდეს დღეში 8 საათს; ამასთანავე კვირაში ერთხელ მუშა უნდა ისვენებდეს განუწყვეტლივ 42 საათს. გამონაკლისს სამუშაო დროის შესახებ განსაზღვრავს კანონი.

მ უ ხ ლ ი 139

წარმოებაში 16 წლამდის ყმაწვილის შრომა აკრძალულია; 16—18 წლის მოზარდთათვის სამუშაო დრო ისაზღვრება 6 საათით დღეში; მოზარდთა და საზოგადოთ ქალთათვის ღამით მუშაობა აკრძალულია.

მ უ ხ ლ ი 140

რესპუბლიკის საზრუნავი საგანია განსაზღვროს მინიმუმი ხელფასი და შრომის ნორმალური პირობანი წარმოებაში.

არსდება შრომის ინსპექცია და სანიტარული ზედამხედველობა, რომელიც დამოუკიდებელი უნდა იყოს დამქირავებელთაგან.

მ უ ხ ლ ი 141

განსაკუთრებული კანონი დაიცავს ქალთა შრომას წარმოებაში. აკრძალულია ქალის მუშაობა დედობისათვის მავნე წარმოებაში; მუშა ქალი მშობიარობის დროს არა ნაკლებ ორი თვისა თავისუფალია მუშაობისაგან ჯამაგირის მოუსპობლად; დამქირავებელს ევალება ძუძუმწოვარ ბავშვთა მოსავლელად შესაფერ გარემოებაში ამყოფოს მუშა ქალები.

მ უ ხ ლ ი 142

შრომის დამცველ კანონების დარღვევისათვის დამნაშავენი პასუხს აგებენ სისხლის სამართლის წესით.

მ უ ხ ლ ი 143

რესპუბლიკას და ადგილობრივ მმართველობას ევალება დედობის და ბავშვების დაცვისათვის მზრუნველობა.

კ ა ტ ა რ ა წ ე რ ი ლ ე ბ ი

ევროპის სოც. დელეგაცია.

ევროპის სოც. დელეგაცია უკვე დაბრუნდა ევროპაში; მთელმა ერმა, გარდა კომუნისტებისა, რომლებმაც დიდი ხანია დაგმეს ევროპის კულტურა, აღმოსავლეთის ბარბაროსობას ანაცვალეს ის, დიდი ზეიმით და განსაკუთრებული პატივისცემით მიიღო სოციალიზმის წარმომადგენელი. ამ შეხვედრამ ერთხელ კიდევ დაამტკიცა, რომ საქართველოს დემოკრატია ევროპას გზით მიდის, რომ ის საბოლოოდ ეზიარა ევროპის ძლიერ კულტურას. ძვირფას სტუმრებს სავსებით გადაუშალეთ წინ ჩვენი სახელმწიფოებრივი ცხოვრება; არც კარგი და არც ცუდი მხარეები არ დაგვიფარავს; გაფაცანით როგორც რესპუბლიკის ცენტრი ისე მისი პერიფერიები; როგორც ქალაქის მუშების მდგომარეობა, ისე ჩვენი გლეხობის და უნდა ითქვას ჩვენდა სასახელოდ, რომ სტუმრები ნასიამოვნები და კმაყოფილნი დარჩენ ჩვენი დღევანდელი სახელმწიფოებრივი ცხოვრებით. ჩვენი რესპუბლიკის კეთილდღეობისათვის ამ დელეგაციას მეტად დიდი მნიშვნელობა ექნება მომოვალშა. ისინი თავის უკანასკნელ ავტორიტეტულ სიტყვას ჩვენს შესახებ ალბად ევროპაში იტყვიან, რის შემდეგ ეჭვი არ არის ევროპის საზოგადოებრივი სიმპათია, განსაკუთრებით, ევროპის მუშათა კლასის ჩვენ მხარეზე იქნება. ამიერიდან იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ აწი მაინც აღარ ექნება მაგრე რიგად გასავალი ჩვენზე შეაბზულ ყალბ ინფორმაციას.

დელეგაციის წევრებმა აქაც ბევრი რამ სთქვეს ჩვენთვის საგულონსმომო და ყურადსადები; ყველა მნიშვნელოვან ნათქვამის ჩამოთვლა

შეუძლებელია. ჩვენ მხოლოდ ერთს გვინდა გაუსვათ ხაზი ჩვენი ერობების საყურადღებოდ; ერთი დელეგაციის წევრი შეეხო რა ჩვენს ბუნებრივ სიმდიდრეს და ეკონომიურ პრესპექტივებს, სხვათა შორის სთქვა: „თქვენ გსურთ განვითარდეს თქვენში მრეწველობა, მაგრამ უცხოეთის კაპიტალი მოინდომებს მართველობაში ჩარევასაც. ამიტომ თქვენ უნდა ეცადოთ, რომ უცხოეთის წარმოებაში სახელმწიფომაც მალე დაიღოს წილიო.“ ეს დებულება უდავოა; ამისათვის ჩვენი საერობო, თუ სხვა თვითმართველობანი ყოველთვის უნდა ეცადონ, რომ ესა თუ ის საწარმოო საქმე საფსებით ხელში არ ჩაუგდონ უცხოელ კაპიტალისტ-მწარმოებელს. ცხადია, ჩვენ ამითი არ უარვყოფთ, რომ ჯერ სანამ საკუთარი კაპიტალი არა გვაქს, სანამ ხელს არ გვიწყობენ სათანადო პირობები, რაჟ ჩვენში უცხოელი კაპიტალისტი ხელმძღვანელობდეს ზოგიერთ მსხვილ საწარმოო საქმეებს, მაგრამ ისე, რომ ჩვენი სახელმწიფო ორგანიზაციებიც ცოტათ თუ ბევრათ უსათუოდ მონაწილეობდენ ყოველგვარ საწარმოო საქმეებში; უიმისოდ ჩვენი ქვეყნის ბუნებრივი სიმდიდრით უცხოელი კაპიტალისტი უფრო მეტს ხეირს ნახავს ვინემ ჩვენ. უცხო კაპიტალი შეეცდება აგრეთვე დაუპატიჟბლად შეიჭრას ჩვენს მართველობაში.

პურის თავისუფლად გატან-გამოტანა.

სასურსათო კრიზისი კვლავ მძინვარებს. ახალმა მოსავალმა სრულიადც ვერ დააყუჩა ეკონომიური ტკივილები; თუმცა პურის მოსავალი არც წელს ყოფილა დიდათ სახარბიელო. რაც შეეხება სიმინდს ჯერ გოლგებმა და ამ ბოლოს სიცივემ გაანახევრა სიმინდის მოსავალი ზემო ზმერთში. ღვინის მოსავალს კარგს მოელიან, მაგრამ პირველხარისხოვან საკოთხად მაინც პურის საკითხი რჩება. სიმშილის აჩრდილი კარგა ხანია თავს დაგვეტრიალებს, სპეკულიაცია ხომ დღითი დღე ვითარდება. ვარეშე დახმარების იმედიც ცოტაა. უმთავრესად საკუთარი პურის იმედი უნდა გვქონდეს. ამისათვის საჭიროა ადგილობრივი პურის წესიერად განაწილება. ერობებმა თუ სხვა სასურსათო ორგანიზაციებმა ყოველგვარი ზომები უნდა მიიღონ, რომ არც ერთი მარცვალი ჩვენი პურისა არ იქნას გატანილი ჩვენი რესპუბლიკის საზღვრებიდან. ამისათვის საჭიროა, რომ პურის კიდვა-გაყიდვის უფლება ყველას მშიერსაც და მძღარსაც არ უნდა ქონდეს; დღეს სურსათიან ადგილებიდან

მართლაც აღკრძალულია პურის გამოტანა ყველასთვის, მაგრამ ეს გარემოებაც დიდ უხერხულობას ქმნის: ნახევრად დამშეული ხალხი ერობის თვითმართველობას პირდაპირ უყენებს საკითხს: ან თვითონ მოგვაწოდეთ პური ან ჩვენ მოგვეცით საშუალება წავიდეთ ჩვენთვის საჭირო პური ჩვენვე მოვიტანოთ. მოთხოვნილება სამართლიანია, მისი გვერდის ავლა ყოვლად შეუძლებელია. როგორ უნდა მოიქცენ ამ შემთხვევაში ერობები, რა უნდა უპასუხონ დამშეულ ხალხს? იმის თქმა, რომ მთავრობამ აღკრძალა პურის შემოტანა თუ გატანაო, მშიერ ხალხს ვერ დააკმაყოფილებს, მას პური უნდა... საქმე იმაშია, რომ პურის თავისუფლად გატან-შემოტანის აღკრძალვის უმთავრესი მიზეზი იყო და არის ის, რომ უმთავრესად ამ უფლებით სპეკულიანტები სარგებლობდნენ, ისინი ყიდულობდნენ პურს, ხარბად აძლევდნენ ფულს, გამოქონდათ ბაზარზე და მაქსიმალურად ყიდდნენ, და მით უფრო ამწვავებდნენ ეკონომიურ კრიზისს; თორემ ვის რა უნდა ჰქონდეს საწინააღმდეგო, რომ ზესტაფონელმა დამშეულმა გლეხმა პური იყიდოს ქართლში თავის საჭიროებისთვის, ან ღვინოზე გაუცვალოს. ამის საშუალება უსათუოდ უნდა მიეცეს ხალხს. ამ საკითხის დადებითად გადაჭრას დღეს ალბად ყველა საეროებო თვითმართველობანი გრძნობენ, მაგრამ როგორ უნდა მოგვარდეს ეს საკითხი ისე, რომ პურის თავისუფალ გატან-გამოტანით ისევ ისე სპეკულიანტებმა არ ისარგებლონ? აი საკითხი, რომელიც საკუთარი დაკვირებისა და გამოცდილების მიხედვით უნდა გადაჭრან ჩვენმა ერობებმა თუ თემებმა. ჩვენის აზრით ამ შემთხვევაში უპირველესად საჭიროა ბრძოლა სპეკულიანტებთან და ამ ბრძოლის ინციატივა სოფლად ერობებმა, თემებმა უნდა იკისრონ; ჩვენ ვფიქრობთ რომ ეს მათთვის არც ისე დიდ სიძნელეს წარმოადგენს: მათ კარგად იციან და თუ არ იციან უნდა გაიგონ მათ რაიონიდან თუ ვინ მიდის პურის შესაძენად თავისი საკუთარი მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად, ან ვინ აპირებს პურით აღებმიცემობას, უკეთ სპეკულიაციას, ან ვინ მოღის ამა თუ სათემო რაიონში სურსათის შესაძენად სპეკულიანტი თუ დამშეული გლეხი; გარდა ამისა საჭიროა განისაზღვროს თვითეული პირის მიერ შესაძენი სურსათი, თორემ ერთმა რომ შესძლოს და ერთი წლის ხორბალი მოიმარაგოს და მეორემ ერთი კვირის საყოფი პურის შოვნაც ვეღარ შესძლოს, ესეც უკმაყოფილებას დაბადებს; ამისათვის ერობის გამგეობამ უნდა აღჭურვოს სათანადო მოწმობით ის პირი, რომელიც მიდის სხვა მაზრაში თავისთვის სურსათის შესაძენად. ამ შემთხვევაში საჭიროა სამზრო ერობათა შორის არსებობდეს

მკიდრო კავშირი; ერთმა ერობამ მეორე უნდა დაარწმუნოს, რომ ეს თუ ის პირი მიდის თავის საჭიროებისათვის ხორბლის შესაძენად. საჭიროა აგრეთვე ერობებმა ამ შემთხვევაში საერთო სასურსათოპოლიტიკის საწარაოებლად ახლო კავშირი დაიჭიროს მომარაგების სამინისტროსთან; უნდა მიაწოდონ მას სწორი ცნობები, როგორც გატანილ, ისე შემოტანილ სურსათის შესახებ.

ზემო აღნიშნული საშუალებანი არ ახალია, ძველია, მაგრამ საშუალება მაშინ გამოიღებს ჯეროვან ნაყოფს, როცა მითი წესიერად და მიზანშეწონილად ვსარგებლობთ.

ამ გვარად, ჩვენის აზრით, აუცილებლად საჭიროა სურსათის (განსაკუთრებით პურის და სიმინდის) განსაკუთრებული რიცხვის თავისოფლად გატან-შემოტანა რესპუბლიკის საზღვრებში, მხოლოდ ერობათა თვითმართველობის კონტროლის ქვეშ უნდა ხდებოდეს.

მთავრობის თავმჯდომარის ბრძანების გამო.

ჩვენს სახელმწიფოებრივ ცხოვრებას მრავალ ღირსებასთან ერთად შეუძლებელია არ ქონდეს თავის ნაკლიც; ეს არც გასაკვირია, რადგანაც სახელმწიფოებრივი შემოქმედებითი საქმე იმდენათ რთული და ძნელია ისიც დღევანდელ გარდამავალ, ათასგვარ დამაბრკოლებელ პირობებში, რომ შეუცდომლად, უდღეფეტოდ მუშაობა წარმოუდგენელიც არის, მაგრამ დღითი-დღე ჩვენი სახელმწიფო ყალიბდება, ის თანდა თან ნორმალურ ელფერს ღებულობს და დღეს უფრო ადვილია ჩვენი ნაკლოვანების აღნუსხვა. ამისათვის საჭიროა მხოლოდ გავლილ გზისაკენ მიხედვა, ჩვენი საქმიანობის ღრმა ანალიზი, თვითეული უნებლიეთ ჩადენილი შეცდომის აწონ-დაწონა, მომავალისათვის მისი გაკვეთილად გამოყენება. შეცდომების აღმოჩენაში, მის გამოსწორებაში კი ვერავინ ვერ დაგეძრახავს, პირიქით ამით დავამტკიცებთ მეტს სახელმწიფოებრივ უნარიანობას, ყველა ნაკლის აღნუსხვას აქ არ შეუდგებით, ჩვენ ჯერ მკითხველის ყურადღებას მივაქცევთ იმ დღეფეტებს, რომლებშიაც ბ-ნი მთავრობის თავმჯდომარე პირადათ დარწმუნებულა, რის გამოც მან გამოსცა 7-მუხლოვანი ბრძანება, რომელიც ჩვენი ჟურნალის მე-7-№-ში დაიბეჭდა. მართლაც ვერ ასრულებენ რიგიან-პირიანად საქმეს ზოგი ჩვენი სახელმწიფო დაწესებულებანი: საქმე მეტად მძიმედ და ზანტად კეთდება, მთხოვნელ-მოქალაქეთა განცხადებას ამა თუ იმ მისთვის საჭირ-ბოროტო საკითხის შესახებ არ ექცევა ჯეროვანი ყურადღება, ზოგან ძველებური „კანცელარიზმინაც“ კი არის გამეფებული, უსამართლობასაც კი აქვს

ადგილი. ხშირად გაგვიგონია სამართლიანი და დასაბუთებული საყვედური ზოგიერთს სახელმწიფო და საზოგადოებრივ დაწესებულებათა შესახებ.

ცხადია, ყველას გულის მოგება არ შეიძლება. სახელმწიფოში მუდამ იქნებიან უკმაყოფილო ელემენტებიც სანამ ინტერესების სხვა და სხვაობა არ მოისპობა, მანამ შეუძლებელია ისეთი კანონი და განკარგულება, რომელიც ყველასათვის ერთნაირად სარფა და გამოსადეგი იყოს. მაგრამ საქმე იმაშია, რომ ჩვენი სახელმწიფო დემოკრატიულია, აქ ბატონობს დემოკრატიული მართველობა, ამისათვის ყველა სახელმწიფო დაწესებულებებს, მათ უფროსებს მეტი სიფრთხილე, თავდაპირველ მართებებს, რომ არასოდეს არ დაარღვიონ დემოკრატიული პრინციპები, არ შელახონ სამართლიანობა, სულ ერთია ეხება საქმე კერძო პიროვნებას, თუ რომელიმე საზოგადოებრივ ჯგუფს.

მაგრამ მთავრობის თავმჯდომარის ბრძანებაში ჩვენი ერობებისათვის ყველაზე უფრო საყურადღებოა ბრძანების მე-7-მუხლი, რომლის თანახმად „ქალაქებისა და ერობების თვითმართველობათა მიერ არ უნდა იქნეს დაწესებული არც ერთი ახალი საწარმოო საქმე მთავრობის თავმჯდომარის ნებადაურთველად“. ეს მუხლი მეტად მნიშვნელოვანია თავის შინაარსით, მაგრამ ერთის შეხედვით ვითომ გაუგებარიცაა. საქმე იმაშია, რომ დღევანდელ ჩვენი ეკონომიური უძლეურობის დროს რა ექნება საწინააღმდეგო მთავრობას, რომ ერობებმა ისეთი რამ საწარმოო საქმე დაიწყონ, რომელიც ოდნავ მაინც შეამსუბუქებდა ჩვენს მძიმე ეკონომიურ ტკივილებს. მაგრამ სამწუხარო ის, არის რომ ჩვენში დაწყებული წარმოება მრავალ შიზეზთა გამო ხშირად უდღეური გამოდის, ეს იმიტომ, რომ საწარმოო საქმის დაყენება საჭიროა მკვიდრ და მტკიცე ეკონომიურ საფუძველზე; წინდაწინვე უნდა იქნეს გათვალისწინებული დასაწყები საქმის სარგებლიანობა, თორემ შეიძლება რისკით დაწყებულმა საქმემ არ გაგვიმართლოს იმედები; ეხლანდელ ჯოჯოხეთურ სიძვირის დროს სარისკო საქმის კი არა, უეჭვო სარგებლიან საწარმოო საქმის დაწყებაც ძნელია.

ჩვენი ერობები თუ თემები იმედია მეტ წინდახედულობას გამოიჩინენ საწარმოო საქმის დაწყებაში; მათ ყოველთვის უნდა ასწონ დასწონონ წინდაწინვე ყველა პირობები, ყოველ მხრივ დაასაბუთონ, რომ ესა თუ ის დასაწყები წარმოება აუცილებლად ნამდვილი შემო-

სავლიანი წყარო იქნება; რის შემდეგ, ცხადია, მთავრობა ყოველთვის ხელს გაუწვდის ერობებს დაწყობილ საქმეში დასახმარებლად.

უქმე დღეები

ცხოვრება მეტის-მეტად გაჭირდა; დიდი ჭაბან—წყვეტა სჭირდება კაცს, რომ ნახევრად მაინც ირჩინოს თავი. საჭიროა ყოველდღიურად გამუდმებული შრომა ლუკმა პურისთვის. სამუშაო დროს ერთი საათის გაცდენასაც კი დიდი მნიშვნელობა აქვს; მაგრამ მიუხედავად ამისა ჩვენი სოფლის მშრომელი გლეხობა საათებს კი არა ხშირად დღეებსაც აცდენს. მე მოგახსენებთ ახალი დროის უქმე დღეების შემოდგომის შესახებ; ამოდენა უქმეები ჩვენში არასოდეს არ ყოფილა; კოხინჯრობა, — ელიობა — ოქონობას, რომ თავი დავანებოთ, რას ნიშნავს ზემო იმერეთის თითქმის ყველა სოფლებში პარასკეობით უქმობა?! ვისთვის არის საჭირო ეს უქმეები? შეგუწებელი ხალხის პსიხოლოგიით, რასაკვირველია ღვთის გულის მოსაგებათაა საჭირო საერთო ყველა უქმე დღეები. გლახა მოსავალს, გვალვას, წვიმას, სეტყვას და სხვა ბუნების მოვლენებს ყველაფერს „ღვთის გულისწყრომას და რისხვას“ აწერს ზოგიერთი გულუბრყვილო, უკეთ შეუგნებელი გლეხი. ხალხის ასეთი შეუგნებლობით უხვად სარგებლობენ ზოგან ჩვენი სულიერი მამები: ისინი ბავშვების სახით „ანგელოზებს უვლინებენ“ ხალხს მოსარჯულებლად. სამწუხაროდ ასეთ მღვდლებს ჯერ კიდევ გასავალი აქვთ ზოგ ჩვენს მიყრუებულ სოფლებში; „სულიერი მამები“—ს ასეთი „მოღვაწეობა“ სახელმწიფოს მოლაპატეობას უდრის, ამისათვის სასტიკად უნდა დაისაჯოს ამ საქმეში შემჩნეული მღვდელი.

მერე როგორი სისასტიკით იცავენ უქმე დღეებს, ზოგან მილიციანერებიც კი, მაგ. ხარაგაულში თვითონ ვიყავით მოწმე: მოყავს ვილაცას მახლობელ სოფლიდან ურმით მძიმე ავადმყოფი ექიმთან, წინ ელობება მილიციონერი, ურემს აჩერებს და მუქარის კილოთი უყვირის. — როგორ გაბედვ შენ უქმე დღეს ხარის შებმაო და თან დაჭერასაც უპირებს, მილიცია ასეთ მოვლენას პირიქით უნდა ებრძოდეს.

აბა, რამდენი სარგებლობა მოუვა წელიწადში ხალხს და რასაკვირველია სახელმწიფოსაც თუ გინდ პარასკევის გაუქმებით.?! ამ ხალხის დამღუპველი გავლენის, უაზრო უქმე დღეების წინააღმდეგ სასტიკი ბრძოლა უნდა აწარმოვონ ერობებმა. მათ ფართოდ უნდა აწარმოონ აგიტაცია და დაარწმუნონ ხალხი, რომ ზედმეტი უქმეები არც სულს არგებს და არც ხორცს;.. სასტიკად უნდა დაისაჯონ ის შავი ელემენტები, რომლებიც

შეეცდებიან ხალხი დაარწმუნონ, რომ ჩვენი მთავრობა ხალხის თავისუფალი რწმენის წინააღმდეგი იყოს; პირიქით ყველას უფლება აქვს რაც უნდა ის იწამოს, რომელ ხატზედაც უნდა იმაზედ ილოცოს. მასსა უნდა დავარწმუნოთ, რომ ეკლესიის სახელმწიფოდან გამოყოფა სრულიად არ ნიშნავს ხალხის რწმენის, სჯულის წინააღმდეგობას, ეს პირიქით კიდევაც გაანვითარებს თავისუფალ რწმენას, მაგრამ ამ შემთხვევაში რა საჭიროა ზედმეტი უქმეები. გარდა ამისა სოფლებიც თანდათან უნდა შევაჩვიოთ მხოლოდ და მხოლოდ იმ დღეების უქმობას, რომლებიც კანონმდებლობის გზით დადასტურებულია და დღეს მხოლოდ ქალაქები უქმობენ; დანარჩენი დღეების უქმობა სასტიკად უნდა აიკრძალოს.

გრ. სა—ქედელი.

სათემო კანონ-პროექტის გამო.

სათემო დებულების პროექტის შესახებ.

ჩვენი ჟურნალის მე-IV-№-ში მოთავსებულია პროექტი სათემო დებულებისა, რომელშიაც ჩამოთვლილია თემის იურიდიული უფლება მოვალეობანი. ამ პროექტის გამო გაზ. „ერთობის“ 216-№-ში მოთავსებულია გურიის სამაზრო ერობის თავმჯდომარის ს. ჯანტურიშვილის ვრცელი წერილი; ავტორი მუხლობრივ იხილავს პროექტს; მას სრულიად მიუღებლად მიაჩნია სათემო დებულების პროექტი. იგი წინააღმდეგია რომ: საზღვრების ყოველგვარი შეცვლა, რომელიც მიმართული იქნება საზოგადოებათა დაყოფისაკენ ან ამ საზოგადოებათა და მათი ნაწილების შეერთებისაკენ, შესაძლებელი ხდება პროექტის ძალით საეროობო ყრილობის ნებაარავით. იმავე დროს, საეროობო ყრილობის განსაჩივრება შეიძლება რესპუბლიკის უმაღლეს კანონმდებლობით დაწესებულებების წინაშე. ეს მუხლი, რომ კანონიერათ გადაიქცეს, ამბობს იგი, სამაზრო ერობის დადგენილებას დაეკარგება ყოველგვარი მნიშვნელობა, ვინაიდან დადგენილებით უკმაყოფილო თემი აუცილებლათ მიმართავს საკანონმდებლო ორგანოს, და ერთხელ გადაჭრილი საკითხი ხელმეორეთ შეიქნება გასაარჩევათ. მისი აზრით ასეთი საკითხი უნდა შედიოდეს ადგილობრივი თვითმართველობის სრულს კომპეტენციასში.

შემდეგ ავტორი სწერს: მეცამეტე მუხლით „თითველ თემს. ჰყავს ა) საბჭო, ბ) თემის თავი და მისი თანაშემწე“.

ამ რიგათ თემის გამგეობის მაგივრათ ამოტივტივდა თემის თავი, რომლის ფუნქციები ფარავს ეხლანდელ თემის გამგეობის კომპეტენციას. 37—50 მუხლებში გარკვეულია თემის თავის კომპეტენცია. მას უფლება ეძლევა ზოგიერთ შემთხვევებში გადაჭრას ისეთი კითხვები, რომელიც შეადგენს საბჭოს კომპეტენციას. ის დამოუკიდებლათ განაგებს სათემო მილიციას, იჭერს დამნაშავეს და აძლევს თემის მცხოვრებთ პასპორტს. თემის თავს აქვს თავისი კანცელარია. ჩვენ არ ვიცით, რა სახის სათემო მილიცია აქვს მხედველობაში ავტორს, ხოლო თუ სათემო მილიციის არსებობა საჭიროა, მას უფროსიც უნდა ჰყავდეს და მილიციის უფროსათ ავტორს ალბად თემის თავი ჰყავს დასახული.

თემის თავის გარდა ავტორს კანონმდებლობაში შემოაქვს მეორე აღმასრულებელი ორგანო საბჭოს კომისიების სახით. საბჭო სხვა და სხვა კითხვების დასამუშავებლად ირჩევს კომისიას, რომლის მოხსენების სისრულეში მოყვანა, თუ ის დამტკიცებული იქნა საბჭოს მიერ, შეიძლება მიენდოს ამავე კომისიას. აქ კომისია მოქმედებს, როგორც თემის თავი (30—32 მუხ.) გამოდის, რომ საბჭოს ჰყავს არა ერთი აღმასრულებელი ორგანო, არამედ რამდენიმე. საბჭოს კომისია, როგორც აღმასრულებელი ორგანო, რომელიც „მოქმედობს როგორც თემის თავი“, აშკარაა, თემის თავს ვერ დააკისრებს განკარგულების სისრულეში მოყვანას, მილიციას კი „დამოუკიდებლად განაგებს თემის თავი“. ბოლოს და ბოლოს ჩვენ მივიღებთ მუდმივ კონფლიქტს ამ ორ აღმასრულებელ ორგანოთა შორის, რომლის შედეგი მხოლოდ ის იქნება, რომ მილიციას რამდენიმე პატრონი გაუჩნდება და არსებითად ვერც ერთს დავალებას ვერ შეასრულებს.

ავტორს საზოგადოთ მიუღებლათ მიაჩნია სათემო დებულების პროექტი.

ამავე საკითხს ეხება ჟურნ. „ჩვენი ქალაქის“ № 1-ში ვ. იანოვიჩი. ისიც წინააღმდეგია ხსენებული პროექტისა. მოგვყავს შემოკლებით ხსენებული წერილიდანაც ზოგიერთი ადგილები: იმავე პუქარში „პროექტი არღვევს ერობაში კოლევიალურ მუშაობის იდეას და ქმნის „თემისთავს და მის თანაშემწეს“. აღმასრულებელი ხელის უფლება ენიჭება თვითმართველობას კი არა, რომელიც დანყარებულია კოლევიალურ პრინციპებზე, არამედ ერთ თანამდებობის პირს, რომელიც ასრულებს თავის მოვალეობას დამოუკიდებლად; თემისთავის თანაშემწენი კომიტეტებს არ ადგენენ; მათაც ისეთივე უფლებები აქვთ თავიანთ სოფლებში; ამგვარად მეორდება ისევ ძველი სოფლის მამასახლისის უფლებები.

პროექტის თანახმად აღმასრულებელ ორგანოში უარყოფილია კოლევიალობა აღმასრულებელ ორგანოში; იქმნება მოსამზადებელი და აღმასრულებელი კომისიებიც კი, რომლებიც არიან არა მარტო თვითმართველობათა მაგიერი, არამედ „საბჭოს ადგილიც კი უჭირავთ. როგორც პროექტის განმარტების ბართიდან სჩანს ეს ახალი პრინციპი შემოღებულია“ ხმოსნების მოსამზადებლად და თემის თავების დასახმარებლად; პროექტში არ არის გამორკვეული ხსენებული კომისიების დამოკიდებულება ერისთავებთან“.

სათემო საკითხების შესახებ ჩვენ ჟურნალში რამდენიმე წერილი დაიბეჭდა საკითხის საკმაოდ გასაშუქებლათ. რედაქცია საშუალებას მისცემს, როგორც

პროექტის მომხრეთ, ისე მოწინააღმდეგებს გამოსთქვან თავისი აზრი. პირველ ოქტომბერს მოწვეულია ერობათა კავშირის კომიტეტის პლენუმის სხდომა, რომელიც მუხლობრივ განიხილავს ამ პროექტს და საბოლოოთ გადასწყვეტს ამ საკითხს.



ქ რ ო ნ ი კ ა

მთავრობაში

მთავრობის თავმჯდომარისაგან

ერობათა და ქალაქთა გამგეობებს
და აფხაზეთის კომისარიატს.

ცირკულიარი.

წინააღმდეგ კანონისა და მთავრობის დადგენილებისა ზოგიერთი სა-
მაზრო ერობის გამგეობა და აგრეთვე თემები განაგრძობენ თავის მაზრი-
დან სურსათ სანოვაგის გატანის აკრძალვას რესპუბლიკის დანარჩენ კუთ-
ხეებში და მით ჰქმნიან ეკონომიურ კრიზისს და არეგ-დარტვას, უკანას-
კნელად ვაფრთხილებ ერობებს, ქალაქებს და აფხაზეთის კომისარიატს,
რომ თუ კიდევ ასეთი მოვლენა განმეორდა, ჩემ მიერ მიღებული იქნება
სასტიკი ზომები კანონის და მთავრობის განკარგულების დასაცავად.
დამნაშავენი გადაყენებული იქნებიან სამსახურიდან და ჰასუბისგებაში
მიცემულნი.

მთავრობის თავმჯდომარე ნ. უორდანი.

1 ოქტომბერი, 1920 წ.



შინაგან საქმეთა სამინისტროში,

ცირკულიარი

28 სექტ. ყველა სამაზრო ერობის გამგეობებს, ქალ. ტფილისის მილიციის უფროსს და აფხაზეთის კომისარიატს. კანცლერია ამასთანავე გაცნობებთ, ცნობისთვის დასათანადო განკარგულების მოსახდენათ, რომ თანახმად სამხედრო მინისტრის ბრძანებისა, ვინაიდან თავდაცვის საბჭომ თავისი მოქმედება დაამთავრა და ყველა 1888, 1889, 1894 და 1895 წლებში დაბადებულნი მოლაშქრე და სათიდარიკო ჯარის კაცი დათხოვნილინი არიან ორი თვის შვებულებაში, ამის გამო ამა წლის 4 მაისიდან თავდაცვის საბჭოს დადგენილება რჯახის ერთადერთ მარჩენალის სამხედრო სამსახურიდან განთავისუფლების შეჩერების შესახებ გაუქმებულია და ხელახლად ძალაში შედის 20 მაისის კანონი.

მიწათმოქმედების მინისტრისაგან

სამაზრო ერობათა გამგეობებს.

ცირკულიარი.

რესპუბლიკის მწვავე ეკონომიურ მდგომარეობის გამო მთავრობის და ერობათა უმთავრეს მზრუნველობას, უნდა შეადგენდეს სახელმწიფოს უზრუნველყოფა ჭირნახულით; ამ მიზნის განსახორციელებლად საჭიროა ხენა-თესვისთვის ხელის შეწყობა და გაფართოვება შემოდგომის ნათესისა თუნდაც გაზაფხულის ნათესის მაგიერ.

ამ გვარი გაფართოვება სასურველია შესაფერ რაიონებში, განსაკუთრებით დასავლეთ საქართველოს მთა-გორიან ადგილებში, ე. ი. იქ, სადაც სიმინდი შემოდის გვიან და იძლევა ნაკლებ მოსავალს.

ესლა სოფლის მცხოვრებნი იწყებენ უკვე საშემოდგომო თესვას და სხვა საშუალებათა შორის განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს სათესლე მასალას.

ცნობილია, რომ სუფთა და გადარჩეული მარცვალი ხენა-თესვაში, სხვა გაუმჯობესობის გარდა, საგრძობლად უმატებს მოსავალს და ამცირებს ხორბლის უსუფთაობას.

წარსულ წელს რესპუბლიკის მრავალ რაიონში მოვიდა მეტად უსუფთაო ხორბალი და მისი დათესვა გაუწმენდავით აუცილებლივ შეამცირებს მომავალი წლის მოსავალს, ამისათვის უნდა იყოს მიღებული ზომები, რომ სოფლებმა დაამზადონ კარგი ხარისხის სათესლე მასალა.

აუცილებლათ საჭიროა ამას თემის საშუალებით მიექცეს მცხოვრებთა სათანადო ყურადღება და გამოიცეს სავალდებულო დადგენილება სათესლე პურის კარგად გაწმენდის შესახებ, თუნდაც რომ გაწმენდა ხდებოდეს ხელით ოჯახის ყველა წევრის ქალებისა და ბავშვების დახმარებით.

ამასთან ერთად სამაზრო ერობებს შეუძლიათ:

1. შეაკეთონ ყველა პურის სარჩევი მანქანები და ტრიერები, რომლებიც აგრონომიულ პუნქტებშია შეგროვილი და მიიღონ ყოველი ზომა მათი ფართოდ სარგებლობისათვის ახლო-მახლო მცხოვრებლების მიერ.

ზოგ ადგილებში მცხოვრებლები დარწმუნდნენ სათესლე მარცვლის გარჩევა-გაწმენდის აუცილებლობაში და ამისთვის დიდი რიგებია საწმენდ მანქანის სარგებლობისათვის.

ამისთანა შემთხვევებში საჭიროა, რომ მანქანა მუშაობდეს განუწყვეტლად და მიეცეთ საშუალება, რომ მანქანით ისარგებლოს მცხოვრებთა უმეტესმა ნაწილმა.

2. იმ სათადარიგო შემოდგომის პურიდან და ქერიდან, რომელიც შემოუვიდათ ერობებს ღალის სახით უნდა გადაირჩეს უფრო კარგი ხარისხის მარცვალი.

3. თუ სათესლე მასალა საკმარისი არ არის ან უვარგისია უნდა მიღებული იყოს ზომები მისსხვაგნადან შესაძენად. ერობებმა უნდა მხედველობაში იქონიონ, რომ უფრო საიმედოა სათესლე მარცვლის შექმნა ბუნებრივ პირობებით მზგავს რაიონებში. აგრეთვე ურწყავი მამულისათვის არ უნდა ისარგებლოს სარწყავ მიწაზე მოსული ხორბლით. კერძოდ, ქუთაისის გუბერნიისათვის და აფხაზეთისათვის, სადაც კირნახული მალე გადაგვარდება ხოლმე, სათესლე მარცვალი უნდა შეიძინონ ქართლის დასავლეთ ნაწილში (გომის რაიონი).

თავის მხრით მიწათ-მოქმედების სამინისტრო ერობათა გამგეობებს მისცემს ამისათვის საჭირო ცნობებს და გაუწევს დახმარებას:

1. გაწმენდილი პურის მიცემით იმ თადარიგიდან, რომელიც მას აქვს და იმ შემოსავალიდან, რომელსაც მიიღებს სახელმწიფო მამულე-ბიდან.


2. მისცემს უფლებას გასაწმენდ მანქანებით სარგებლობისას, რომ-ლებიც სახელმწიფო მამულეებშია; დაეხმარება სათესლე მასალის შესყიდვა-ში, მის გამოტანაში და რკინის გზებზე დაუბრკოლებლივ გადატანაში.

და 3. ხორბლის დეზინფექციის (протравливанія зерна) მოწყო-ბით იმ რაიონებში, სადაც მეტად გავრცელებულია გულაფშუტა (ГОЛО-ВНЯ).

მთავრობის და ადგილობრივ ორგანიზაციების შეერთებული ძალ-ებით უნდა იყოს მიღებული ყოველგვარი ზომები მიწის მოსავლიანო-ბის და მოსავალის ხარისხის გასაუმჯობესებლად.

რესპუბლიკის ეკონომიური კეთილდღეობა ბევრათ არის დამოკი-დებული აღნიშნულ ზომების შესრულებაზე. სრულ იმედს გამოვსთქვამ, რომ ერობები სათანადო ყურადღებით მოექცევიან წამოყენებულ სა-კითხს და არ დაზოგავენ თავის ძალ-ღონეს, რათა ხალხი უზრუნველ-ყოფილი დარჩეს საკმაო სურსათით.

მიწათ-მოქმედების მინისტრი ნ. ხომერიკი.



ვალიუტის მოსაწესრიგებლად

სავალდებულო დადგენილება უცხო ვალიუტის ოპერაციის მომწესრი-გებელ საგანგებო სათათბიროსი.

16 სექტემბერს 1920 წ. საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის 1920 წ. აგვისტოს 31-ს დადგენილებით უცხო ვალიუტის ოპერაციების მომწესრიგებელ საგანგებო სათათბიროს მიენიჭა უფლება სავალდებულო დადგენილებათა გამო-ცემისა: ა) რესპუბლიკის საზღვრებში სავალიუტო ოპერაციათა წარმოების შე-სახებ და ბ) საჭიროების დროს ასეთი ოპერაციების და აგრეთვე იმ დაწე-სებულებათა რიცხვის შესამცირებლად, რომელთაც ასეთი ოპერაციების წარ-მოების უფლება ექნებათ მინიჭებული. თანახმად ამ მინიჭებულ უფლე-ბისა საგანგებო სათათბირო აცხადებს: 1. ეკრძალება ყველა სახელ-მწიფო, საზოგადო და კერძო დაწესებულებათ და პირთ სესხის გა-ცემა უცხო ვალიუტის გირავნობის ქვეშ და აგრეთვე გადახდა (განაღ-

დება) უცხო ვალიუტისა რესპუბლიკის საზღვრებში უცხოეთიდან გადმოგზავნილი ბარათებით და აკრედიტივებით. შენიშვნა: 1) მთავრობის 1920 წლის აგვისტოს 31-ს დადგენილებით ყველა ფულის ნიშნები, გარდა საქართველოს და ამიერ კავკასიის ბონებისა ითვლებიან უცხო ვალიუტად. შენიშვნა: 2 უცხოეთიდან მიღებულ აკრედიტივების და ფულის გადმოგზავნილ ბარათების ვანაღდება ხდება მხოლოდ ადგილობრივი ფულის ნიშნებით დღის კურსის მიხედვით. 2) ეკრძალება ყველა სახელმწიფო, საზოგადო და კერძო დაწესებულებათ და პირთ ალება რესპუბლიკის საზღვრებში ყოველ გვარი გადასახადებისა მათ შორის: სახელმწიფო გადასახადებისა და ყოველ გვარ შინაურ ალებ-მიცემობაში საქონლის საფასურისა უცხო ვალიუტით. 3. ეკრძალება ყველა სახელმწიფო, საზოგადო და კერძო დაწესებულებათ და პირთ რესპუბლიკის საზღვრებში წარმოება ყოველგვარ სავალიუტო ოპერაციებისა, როგორც თავის აგრეთვე მესამე პირების ხარჯით საქართველოს სახელმწიფო ბანკის ან იმ საკრედიტო დაწესებულებების გარეშე, რომელთაც მინიჭებული ექნებათ სავალიუტო ოპერაციების წარმოების უფლება, სახელდობრ: ყიდვა, გაყიდვა და დახურდავება უცხო ფულის ნიშნებისა, ჩეკების და ტრატებისა, სესხის გაცემა უცხოეთის ვალიუტით; მიღება საზღვარ გარეთიდან და გაცემა საზღვარ გარედ გადასაგზავნ ბარათების და აკრედიტივებისა; მიღება საინკასოდ საზღვარ გარედ საბუთებისა უცხოეთის ვალიუტით; ყიდვა, გაყიდვა უცხოეთის ფონდებისა და სხვა. შენიშვნა: საგანგებო სათათბირო გამოაქვეყნებს იმ საკრედიტო დაწესებულებათა სიას, რომელთაც მინიჭებული ექნებათ სავალიუტო ოპერაციათა წარმოების უფლება საქართველოს სახელმწიფო ბანკის კონტროლის ქვეშ და მისივე ინსტრუქციების მიხედვით. 4) აკრძალულია გატანა, გაგზავნა და გადაგზავნა საზღვარ გარეთ სახელმწიფო ბანკის მიერ განსაზღვრულ რაოდენობაზე მეტის უცხოეთის ვალიუტისა ბანკის ნება დაურთველად. შენიშვნა: რუსეთის ფულის გატანა, გაგზავნა და გადაგზავნა თავისუფალია. 5) ყველა სახელმწიფო, საზოგადო და კერძო დაწესებულებათა და პირთ, რომელთაც დასჭირდებათ რომელიმე სავალიუტო ოპერაციის წარმოება, უნდა მიმართონ სახელმწიფო ბანკს ან იმ საკრედიტო დაწესებულებათ, რომელთაც სავალიუტო ოპერაციების წარმოების უფლება ექნებათ მინიჭებული და ყველა ასეთი ოპერაციები და ხელშეკრულებანი უნდა მოხდეს ორივე მხრის ურთიერთთან თავისუფლად შეთანხმებით. 6) ვალიუტის მიყიდვა სახელმწიფო ბანკზე და იმ საკრედიტო დაწესებულებებზე, რომელთაც სავალიუტო ოპერაციათა წარმოების უფლება ექნებათ მინიჭებული, უნდა ხდებოდეს თავისუფლად, ხოლო ყიდვა უცხო ვალიუტისა და ან სესხის მიღება მათი სათანადო მოწმობის წარდგენის შემდეგ, რომ მოთხოვნილი ვალიუტა აუცილებლივ საჭიროა სავაჭრო სამრეწველო მიზნისთვის. 7) თუ რაიმე გაუგებრობა მოხდება საკრედიტო დაწესებულებათა და კლიენტთა შორის, სავალიუტო ოპერაციათა წარმოების შესახებ, მაშინ ეს საკითხები გადაეცემა გადასაჭრელად სახელმწიფო ბანკს. 8) ყველა სახელმწიფო, საზოგადო და კერძო დაწესებულებები და პირნი, რომლებიც აწარმოებენ ეხლა

უცხოეთის ვალიუტასთან დაკავშირებულ მიმდინარე ოპერაციებს და სხვა ვალდებულებათა, მოვალენი არიან ამ სავალდებულო დადგენილებების გამოქვეყნებიდან ორი კვირის ვადაში განუცხადონ ამაზე საქართველოს სახელმწიფო ბანკს, რომ გამოძებნილ იქმნას საშუალება და დრო მათი ასეთი ანგარიშების ლიკვიდაციისათვის. 9) საქართველოს სახელმწიფო ბანკს ეძლევა უფლება ცალკე ინსტრუქციების გამოცემისა ამ სავალდებულო დადგენილებათა განსავითარებლათ, 10) ამ სავალდებულო დადგენილების დამრღვევნი ისჯებიან ადმინისტრაციული დატუსაღებით მისი ჯარიმით შეუცვლელად 6-ს თვემდე ან და რესპუბლიკის საზღვრებიდან გადასახლებით. უცხო ვალიუტა კი, რომელიც მათ აღმოაჩნდება უსასყიდლოთ ჩამოერთმევა და ჩაირიცხება სახელმწიფო ბანკის სავალიუტო ფონდში. 11) სავალდებულო დადგენალება შედის ძალაში დღიდან მისი გამოქვეყნებისა.

საგანგებო სათათბიროს თავმჯდომარე ფინანსთა და ვაჭრობა მრეწველობის მინისტრის მოვალეობის აღმასრულებელი ს. ავალიანი.

მიწათ-მოქმედების მინისტრი ნ. ხომერიკი. სათათბიროს წევრნი: მომარაგების მინისტრი გ. ერაძე და სახელმწიფო ბანკის მმართველი იას. ლორთქიფანიძე.

ერობათა ცხობრება.

ერობათა კავშირში.

—ერობათა კავშირის კომიტეტი შეეკითხა სამაზრო ერობებს თუ რამდენი მანუფაქტურა, ტყავი, მედიკამენტი, ვენახის საწამლაფი მასალა და სხვა დასჭირდებათ მათ დაახლოვებით მიმდინარე წლის განმავლობაში.

—ერობათა კავშირის კომიტეტმა აცნობა ყველა ერობას, რომ ცენტრალურ სტატისტიკურ საბჭოს მიერ ერობათათვის და ქალაქებისათვის საექიმო სასანიტარო სტატისტიკის მოსახდენათ სათანადო ბლანკები არის შედგენილი. ერობათა კავშირის კომიტეტი წინადადებას იძლევა, რომ იგი მიიღებს თავის თავზე ერობათათვის საჭირო ბლანკების დაბეჭვდას სამაზრო ერობების ანგარიშში.

საავათმყოფოების თვითმართველობებზე გადმოცემა.

ერობათა კავშირის კომიტეტმა შემდეგი მიწერილობა დაუგზავნა ყველა სამაზრო ერობის გამგეობებს სამხედრო საავათმყოფოების გადმოცემის შესახებ თვითმართველობებზე: ერობათა კავშირის კომიტეტის შუამდგომლობა სამხედრო საავათმყოფოების თვითმართველობისათვის გადაცემის შესახებ დაკმაყოფილებულია და უკვე გატარებულიც ცხოვრებაში. თქვენ დღეს უნდა შეუდგეთ ამ დიდი საქმის ორგანიზაციას და სათანადო დაყენებას. კარგათ მოგეხსენებათ, რომ როგორც ყოველი ახალ ზომის, ისე ამ ზომის წინააღმდეგნი ბევრნი იყვნენ. ისინი, რასაკვირველია, პრინციპიალურად საწინააღმდეგოს ვერას ამბობდნენ, ვინაიდან ნათელი და აშკარა იყო ყველასათვის, რომ საქიმო საქმე უეჭველათ გაერთიანებას მოითხოვდა, რომ ამ დარგში საშუალების და ძალთა შეერთება და არა დაქუცმაცება იყო საჭირო; მაგრამ შიშს გამოთქვამდნენ და სამწუხაროთ ეხლაც გამოთქვამენ, რომ დიდ მნიშვნელოვანი საპასუხისმგებლო საქმეთ თვითმართველობანი ჯერ-ჯერობით მაინც ვერ გაუძღვებიან და ჯანმრთელობის საკითხი სასურველ მსვლელობას ვერ მიიღებს.

საერობო ერთეულებს არა ერთი და ორი მეტად მნიშვნელოვანი საქმე ჰქონდათ აკისრებული და სიამოვნებით უნდა აღინიშნოს და აღნიშნულიც არის, რომ ერობამ სავსებით გაამართლა მთავრობის ნდობა და საუცხოოთ შეასრულა ყოველივე, რასაც მისგან მოითხოვდენ.

ეჭვს გარეშეა ეხლაც საერობო ერთეულები სავსებით გაამართლებენ იმათ მიმართ მთავრობის ნდობას და საავათმყოფოთა და საზოგადოთ აქიმობის საქმეს სასურველ პირობებში ჩააყენებენ. ეროკავშირი ღრმად დარწმუნებულია, რომ გადმოცემული საავათმყოფოს აპარატი ერობის მზრუნველ მხედველობის ქვეშ თან და თან გაფართოვდება, აქიმობის პირობები საზოგადოთ გაუმჯობესდება და ეს დარგი ისე აყვავდება ერობის ხელში, რომ არ იქნება ადამიანი თქვას რაიმე მის საწინააღმდეგო.

ვეტერინარია და ერობები.

ერობათა კავშირმა შემდეგი მიწერილობა დაუგზავნა სამაზრო ერობათა გამგეობებს: შინაური საქონელი და ფრინველები განსაკუთრებულ ყურადღებას მოითხოვენ, რათა ისინი სხვა და სხვა ავთომყოფობის გამო ზუსტად არ გადაშენდნენ და ჯიში გაუმჯობესებულ იქმნას. სამწუხაროდ ეს მეტად ძნელია ჩვენი სოფლის მეურნესათვის, ვინაიდან ის სპეციალურ ცოდნას მოკლებულია და ბეითალთა რიცხვი კი ჩვენში ძლიერ მცირეა. ყოველივე ეს უეჭველად მოითხოვს რაიმე ზომების მიღებას და სანამ საქართველოში სპეციალური საბეითლო სასწავლებელი დაარსდებოდეს და ის სწავლა მიღებული პირნი სოფლებს და დაბებს მოედებოდნენ აუცილებელია ეხლავე მოწვეულ იქმნან სხვა ქვეყნებიდან მკოდნე ბეითალნი, რათა სოფლის მეურნეობას სათანადო დახმარება აღმოეჩინოს. ამის მიხედვით მეტად საყურადღებოა დეპუტატი გიულის მიმართვა, სადაც ნათქვამია, რომ გერმანელი ბეითალთა კავშირი სურვილს აცხადებს რამოდენიმე მკოდნე ბეითალთა კავკასიაში გამოგზავნისა; სასურველია ამ წინადადებით ვისარგებლოთ. ექვს გარეშეა, რომ სავეტერინარო პერსონალი საქართველოსათვის დიდად საჭიროა, მაგრამ სასურველად ამ საქმის მოწყობა მოითხოვს წინასწარ გამორკვევას თუ რამდენი ბეითალი არის საჭირო და სხვა.

აღნიშნულის მიხედვით ეროკავშირი ღრმად დარწმუნებულია, რომ სამაზრო ერობის გამგეობა დაუყოვნებლივ მოაწოდებს მას ცნობებს, თუ რამდენი ვეტერინარია საჭირო, რომელი ნაწილი სავეტერინარო დარგისათვის ითხოვს ამა თუ იმ ერობის ყურადღებას და აგრეთვე პირობები, რომშია ც მოუხდება მუშაობა მოწვეულ სპეციალისტს. ამ უკანასკნელს იმდენი უნდა ჰქონდეს შექოსავალი, რომ მისი ცხოვრება უზრუნველყოფილი იქნეს, რათა მან შესძლოს სავსებით საერობო მოქმედებას შესწიროს თავისი თავი.

ტფილისის სამაზრო ერობაში.

5 სექტემბერს შესდგა ტფილისის სამაზრო ერობის საგანგებო ყრილობა. დაესწრო 30-მდე ხმოსანი. თავმჯდომარეობდა ხმ. ლ. გ. ასათიანი. დღიურ წესრიგში იდგა შემდეგი საკითხები:

1. გამგეობის ახალი არჩევნები.
2. წარსული წლის ანგარიშების დამტკიცება.
3. ერობის დაწესებულებათა საჭიროებისათვის რაიონებში შენობების იძულებითი შესყიდვის საკითხი.
4. მიწის გადასახადზე და
5. მიმდინარე საკითხები.

მწვავე საკითხის ხასიათი მიიღო გამგეობის ახალმა არჩევნებმა.

ახალ გამგეობაში მოხვდნენ: დ. ონიაშვილი, ისევ თავმჯდომარედ, ხოლო წევრებად ბ. ავალიშვილი, იშხანოვი, ჯილაური და ხელაძე. ამრიგათ წინანდელ ექვს-წევრიან შემადგენლობიდან ახალი არჩევნების შემდეგ გამგეობა ჩამოვიდა ხუთს წევრიან შემადგენლობაზე. მიწის გადასახადის შესახებ ყრილობამ მიიღო შემდეგი დადგენილებანი:

I. მიმდინარე წლის ბიუჯეტში, რადგანაც შემოსავალში არის ნაღარაუდები რამდენიმე წყარო, რომელიც ადვილი შესაძლებელია არ გამართლდეს სავსებით (მაგ., საქონელზე გადასახადი 3 მილ. მან, ტყის ექსპლოატაციიდან 2 მილ. მან. და სასურსათო ოპერაციებისა 5 მილ. მან.), ამიტომ შემცირდეს ეს შემოსავალი 3 მილიონი მანეთით, რომელიც მიემატება ბიუჯეტის დეფიციტს და მთელი ზარალი გამოვა 9 მილ. მანეთი. ეს ცხრა (9) მილ. მან. დაიფაროს მიწის გადასახადიდან, რომლისათვისაც ბიუჯეტში შეტანილ 24 მილ. მანეთს მიემატოს 12 მილ. მან. და განსხვავება 3 მილ. მან. გადაირიცხოს თემების დასახმარებლათ 25%-ის ანგარიშში. მიწის გადასახადის დროს გამგეობამ უნდა იხელომდღვანელოს შემდეგი დებულებებით:

1. თვითეულ სოფელზე უნდა გაეწეროს ექვსჯერ გამრავლებული 1919 წლის მიწის ერთდროული გადასახადი, რომელიც თვითეულ გა-

დამხდელზე ნაწილდება თემის ხელმძღვანელობით ადგილობრივ სოფლის კომისიის მიერ; ხოლო სოფლებზე გადასახადს აწერს თვით ერობა მაზრისა.

2. მიწის სახელმწიფო ფონდიდან საღალათ აღებული მიწა გადასახადისაგან თავისუფალია, თუ გადახდილი აქვს ღალა.

3. სოფლის კომისიები თემების ხელმძღვანელობით გადამხდელთა სიას აკეთებენ ყველა სოფელში არა უგვიანეს პირველ ოქტომბრისა; ხოლო 15 ოქტომბრამდე თვითეულ გადამხდელისაგან მიიღება საჩივარი ერობის გამგეობაში. მთელი გადასახადის შემოტანის ვადა არის 30 ოქტომბერი.

4. ერობის გამგეობას განსაკუთრებულ შემთხვევებში უფლება აქვს შესცვალოს აქ აღნიშნული ვალები, გაანთავისუფლოს დაზარალებული სოფლები, ან სოფლის ნაწილები გადასახადისაგან და გამოსცეს სათანადო წესები გადასახადის გატარების დროს.

II. მიწის და საქონელზე გადასახადი გაიწერება ერთად.

ღლიურ წესრიგში დასმული შემდეგი საკითხები, სახელდობ, ძველი წლის ანგარიშების დამტკიცება და შენობების რეკვიზიციის საკითხები, მოხსნილ იქნა, და ყრილობას მასზე მსჯელობა არ ჰქონია.

ახალქალაქის სამაზრო ერობაში.

შინაგან საქმეთა სამინისტრომ აღძრა შუამდგომლობა რათა ქალაქის ერობას 100 მილიონიან ფონდიდან საჭირო სესხი მიეცეს.

შორაპნის სამაზრო ერობაში.

შორაპნის მაზრის ერობამ აღძრა შუამდგომლობა შინაგან საქმეთა სამინისტროს წინაშე, რათა დახმარება აღმოეჩინოთ იმათ, რომლებსაც საქონლის ღირება საქონელი გაუწყვიტა. შინაგან საქმეთა სამინისტრო თანაგრძნობით შეხვდა ამ შუამდგომლობას და შორაპნის მაზრის ერობას მოსთხოვა გამოარკვიოს თუ რამდენად დაზარალდნენ მცხოვრებლები ამ სენით.

ლენინის სამაზრო ერობაში.

მიუხედავად მძიმე პირობებისა ლენინის ერობამ მაინც გააკეთა რამოდენიმე სასარგებლო საქმე. ორბელსა და ჭრებალოში მოაწყო სასოფლო სამეურნეო იარაღების საწყობი. მაზრაში გაიხსნა ხუთი საფერშლო პუნქტი, 7 პირველ დაწყებითი სკოლა და ცაგერში ერთი უმაღლეს პირველ დაწყებითი სასწავლებელი. ლენინის ყოველ საზოგადოებაში გახსნილია წიგნთსაცავ-სამკითხველოები. ლაილაში მიმდინარე ზაფხულში მოწყობილი იყო მასწავლებელთა დროებითი კურსები. მძიმე მდგობარეობაშია სახალხო განათლების საქმე ზემო სვანეთში, სადაც სასწავლო ნივთების უქონლობის გამო ხელოვნურად კლებულობს მოწაფეთა რიცხვი. ლენინის სოფლებში გაყვანილია ტელეფონი, მოწყვეტილია მხოლოდ ზედა სვანეთი. ყურძნის მოსავალი კარგია. ზოგჯერ ხმელმა ქარმა ვენახები დააზიანა.

აფხაზეთის ერობაში.

იმ წერილის შესახებ, რომელიც ერობათა კავშირმა მისწერა აფხაზეთის ერობათა კავშირის დაარსების და დამოუკიდებელ ორგანიზაციის შექმნის გამო, აფხაზეთის ფარგლებში, — ეროკავშირმა შემდეგი წერილი მიიღო: გაზეთებში დაბეჭდილი იყო საქართველოს ეროკავშირის მოწოდება, მიმართული აფხაზეთის ერობისადმი. ამ მოწოდებაში უკმაყოფილება იყო გამოთქმული უკანასკნელისადმი, რადგანაც აფხაზეთის ერობა გამოეყო ერობათა კავშირს და შექმნა საკუთარი დამოუკიდებელი ორგანიზაცია აფხაზეთის ფარგლებში. დროებითი ბიურო აფხაზეთის ქალაქთა და ერობათა კავშირისა აცხადებს, რომ აგვისტოში მოხდა აფხაზეთის ქალაქების პირველი ყრილობა, სადაც პრინციპიალურად გადაწყდა მოეწყობათ აფხაზეთის ფარგლებში ერობათა და ქალაქთა კავ-


შირი იმ პირობით, რომ აფხაზეთის ერობა ყოფილიყო აგრეთვე წევრი საქართველოს ეროკავშირისა. საჭიროა ხაზი გაუსვათ იმ გარემოებას რომ ფუნქციები მომავალ აფხაზეთის კავშირისა არ იყო პირველი ყრილობის მიერ გამოიმუშავებული. დროებით ბიუროს დაევალა შემუშავება მასალის მეორე ყრილობისათვის, რომელიც საბოლოოდ მოაწყობს აფხაზეთის ერო-კავშირს. არ ვწყვეტ რა წინასწარ იმ საკითხს, თუ რა სახეს მიიღებს ეს კავშირი, ბიუროს დარწმუნებით შეუქლიან განაცხადოს, რომ მომავალი ერო-კავშირი გაყვება რა საქართველოს მუნიციპალურ პოლიტიკის გზას, შექმნის მთლიან სამეურნეო-საეკონომიო ხასიათის ცენტრს, ბიუროს არ შეუქლიან არ გამოსთქვას გაკვირვება რომ ერო-კავშირმა არ მოინდომა სწორი ინფორმაციის მიღება დროებითი ბიუროსაგან აფხაზეთის პირველ ყრილობის დადგენილების შესახებ და ალბათ, დაეყრდნო ზოგიერთ გაზეთების ყალბ ცნობებს და აფხაზეთის ერობას ბრალი დასდო სეპარატიზმში და საქართველოს ერობათა კავშირის ლალატში.

დროებითი ბიუროს თავმჯდომარე გელოვანი, წევრები, საბაშვილი, ნოვიკოვი, სვანიძე, მდივანი დოლინსკი.

სამურზაყანოს ერობაში.

ამავე საკითხის შესახებ ერობათა კავშირის კომიტეტმა სამურზაყანოს სამაზრო ერობიდან მიიღო ცნობა, რომელშიაც აღნიშნულია, რომ სამურზაყანოს ერობა ყოველთვის ღებულობდა ზომებს საქართველოსთან დასაახლოებლად და ცდილობდა ჩამოეგდო ძმური კავშირი საქართველოსა და აფხაზეთის ერობების შორის, და არასოდეს არ ჩაუდენია ისეთი რამ, რასაც შეეძლო საქართველოსა და აფხაზეთის ერობების შორის უთანხმოების ჩამოგდებო. ერობათა კავშირის კომიტეტი საქართველოს სხვა ერობებთან ერთად დიდ დახმარებას უწევდა აგრეთვე აფხაზეთის ერობებსაც; რაც შეეხება აფხაზეთში ერობათა და ქალაქების კავშირის დაარსებას, ეს გამოწვეულია მით, რომ აფხაზეთის ქალაქის თვითმართ-

ფელობები თავის შინაურ საქმეების განსახორციელებლად ერობებთან მჭიდრო კავშირის დაჭერას საჭიროებენ. მაგრამ ეს კავშირი არავითარ შემთხვევაში არ ფიქრობს რესპუბლიკის კავშირიდან ჩამოშორებას. პირიქით ჩვენ სურვილს გამოვთქვამთ რათა აფხაზეთის და საქართველოს ერობათა კავშირების შორის კავშირი უფრო განმტკიცდეს.



ქუთაისის სამაზრო ერობაში.

ქუთაისის სამაზრო ერობის ხმოსანთა მებუთე ყრილობის ოქმიდან.

ყრილობა მოხდა 19 ივლისს 1920 წ. გამგეობის მოქმედების შესახებ მოხსენება გააკეთა გამგეობის თავმჯდომარემ კ. სულაქველიძემ, რომელიც ხაზს უსვამს მთელ იმ ძნელ გარემოებას, რომელშიაც ერობას უხდება მოღვაწეობა, როცა არავითარი მტკიცე საბიუჯეტო უფლება არ არსებობს და ერობები კი იძულებული არიან თავიანთი ვალდებულება აასრულონ.

მთელი 1919 წლის შემოსავალი უდრიდა	4,000000 მ.
ხოლო გასავალი კი	6,197000 მ.
ამ წლის 1/1 გამგეობას დეფიციტა ჰქონდა	2,000000 მ.

მთელი ამ წლის 5—6 თვის განმავლობაში არავითარი შემოსავალი არ ჰქონდა გამგეობას, გასავალი კი მილიონებს აღემატებოდა.

ახლა ხან გამოსწორდა სალაროს ეს აუტანელი მდგომარეობა იმ ავანსის საშუალებით, რომელიც მთავრობამ მოგვცა ასალეხ სესხის ანგარიში 4,500000 მანეთამდე, ხშირია ისეთი მაგალითები, როცა მოსამსახურეები ჯამაგირებს რამოდენიმე თვეობით ვერ იღებენ. ყველა ესენი ცხადათ ყოფს მთელ იმ გასაჭირს, რომელშიაც ერობის მოღვაწეობა იმყოფებოდა.

მაგრამ მიუხედავად ამისა მაინც გამგეობა ახერხებდა გაეკეთებია შესაძლებელზე მეტიც.

აი მოკლეთ ის, რის გაკეთებაც ჩვენ შევძელით.

სახალხო განათლება: ჩვენი მიზანი იყო გავგეხსნა იმდენი დაწყებითი სკოლები, რომ შესაძლებელი ყოფილიყო სავალდებულო სწავლების შემოღება და ახლა შეგვიძლია განვაცხადოთ, რომ ეს ცოტა გამონაკლისით მიხწეულად უნდა ჩაითვალოს. თითქმის ყოველ სოფელშია საკმაო დაწყებითი სკოლები გახსნილი.

გარდა ამისა ჩვენ დიდ ყურადღებას ვაქცევთ უ. დ. სასწავლებლის გახს-

ნასაც იმ რაიონებში, სადაც ამის აშკარა საჭიროებას ვხედავთ და ასეთი სასწავლებელი ჩვენ გავხსენით ათამდე. შევძელით ყურადღება მიგვექცია სწავლების მეთოდების გაუმჯობესებისათვის. შარშანდელმა მეთოდურმა კურსებმა პრაქტიკული შედეგი მოგვცა.

წელსაც გვაქვს ასეთი კურსები ბაღდადში და ამალღებაში.

მხოლოდ ვერ არის სათანადო ყურადღება მიქცეული სკოლის გარეთ განათლების საქმეზე.

სამედიკო-სასანიტარო ნაწილი: გამგეობის მოქმედების დაწყებისას იყო 3 თუ 4 საექიმო პუნქტი, ახლა კი გვაქვს 19-დე, რომელზედაც ხარჯი-2,000000 მან. აღის. ყრილობის ვადაწყვეტილების თანახმად საექიმო დახმარება უნდა ფასიანი ყოფილიყო, მაგრამ პრაქტიკამ დაგვანახა, რომ შემოსავალი ისე მცირე იყო გასავალთან შედარებით, რომსასაცილო იყო მისი დატოვება და ჩვენც თქვენდა დაუკითხავათ მოვხსენით და საექიმო დახმარება გავხადეთ უფასო. ფულის შემოსავლი უდრიდა 200000 მანეთს.

აფთიაქები. ერობას აქვს 9. ამათში 6-დე სამაგალითოდ პირველ ხარისხოვნად შეიძლება ჩაითვალოს და კარგადაც არიან მოწყობილნი.

აგრარული რეფორმის გატარებას ინტენსიურად და სწრაფად ხელს უშლიდა და ახლაც უშლის მთელი რიგი ფორმალობისა, რომელიც აუცილებელია მისი გატარების დროს.

ადმინისტრაცია შეიძლება ითქვას ჩვენს მაზრაში დგას თავას ადგილზე. არაერთარ სახითათო გამოსვლას კონტრ-რევოლიუციონურს და ფართე ყაჩაღობას ჩვენს მაზრაში ადგილი არ აქვს.

ჩვენ გავაუქმეთ რაიონული კომისიების ინსტიტუტი, მაგრამ ახლა თან და თან ვრწმუნდებით, რომ ეს ნაბიჯი ნაადრევი აღმოჩნდა რადგან თემების ადმინისტრაცია ჯერ-ჯერობით ვერ არის თავისი მოწოდების სიმამლზე, გარდა ზოგიერთი გამონაკლისისა.

აგრანომია ამ დარგში ფართედ არაფერი გაკეთებულა, გარდა საერთო მიზეზისა გახლავთ ის, რომ აღარ ვცყვანან სპეციალისტები და სამუშაო იარაღებიც საკმაო არ მოგვეძებნება. გარდა იმ იარაღებისა რაც გვქონდა ჩვენ ვი სარგებლეთ მიწათ—მოქმედებას სამინისტროს ახალ ჩამოტანილ იარაღებით: ვერმორელის პანქანებით და სხვა, მაგრამ ესენი წვეთად აღმოჩნდენ გაუმჯობესებულ მანქანების საჭიროების ზღვაში.

გზები მეტად ცუდ მდგომარეობაშია, და თუ ამ მოკლე ხანში არ მოინახა საშუალება მათ შესაკეთებლათ შემდეგ შეკვეთებაც ძნელი იქნება, მიზეზი ამისა გახლავთ კიდევ უსაღსრობა და სპეციალისტების ვერ შოვნა. ალბად ყრილობა გამოგვინახავს რაიმე ახალ არაჩვეულებრივ ზომას, თორემ ჩვეულებრივი ზომებით ამას გამოსწორება შეუძლებელია, რადგან დიდ თანხას თხოულობს ამ გზების შეკეთება.

საფუთო გადასახადების იმედი გვქონდა, მაგრამ ეს შემოსავალი ისე მცირე აღმოჩნდა, რომ იმაზედ ლაპარაკიც არ ღირს.

სასურსათო საქმე და მრეწველობა. სასურსათო საქმეში გამგეობა თავიდან დაადგა იმ გზას, რომ ეს კოოპერაციის საქმეა და ამ საქმეში მხოლოდ მას უთმობდა თავის ადგილს და დახმარებასაც აძლევდა.

მხოლოდ გამგეობა თავისათვის საჭირო საქონლის შეძენას თვითვე ახდენდა და გარდა ამისა ეწეოდა ისეთი საქონლის შეძენას, რომელიც ძლიერ ძნელი შესაძენი იყო, მაგ. სიმინდი, ხორბალი, ნავთი და სხვა.

მაგრამ გამგეობა მთელ თავის ძალ-ღონეს ანდომებდა მუნიციპალურ წარმოებას, რომლებიც შეიძლება ითქვას ფართედ აქვს დაწყებული გამგეობას, და ამ გარემოებამ ხელი არ შეუშალა და ყრილობამ ამისათვის სპეციალური სესხის აღება იხება. მომავალი ისე მოჰლიმარია ამ დარგებიდან, რომ შესაძლებელი გახდება გადასახადების გაწერაც მეტი იქნეს, ყოველ შემთხვევაში ის მინიმუმამდის იქნება გაყვანილი.

ჩვენი მრეწველობის დარგები გახლავთ: ტექსტილის დამზადება და აჯამეთისა და წაბლარას-ხევის ტყის ქარხნები, რომლებაც საერთო მიმდინარე წელში დასტოვებენ დაახლოვებით 50,000,000 მანეთამდე წმინდა მოგებას.

მაგრამ აქაც და ყველაზე უფრო აქ საქმეს გვიჭივრებს ის გარემოება, რომ სპეციალისტებს ვერ ვშოულობთ.

თემების შესახებ კ. სულაქველიძე ამბობს: მაზრაში არსებობს 44 თემი. აღმსრულებელი ორგანო თემისა კოლევიალურია შესდგება სამ პირისაგან. დღევანდლამდე ყველა თითქმის უჯამაგიროთ არიან. თემს არ აქვს არაერთარი საბიუჯეტო უფლება და მაშასადამე ხარჯების დასაფარავათ არა აქვს უფლება გადასახადების დაწესებას მიმართოს. შარშან ერობის გამგეობას ყრილობის დაუკითხავად თემების მცირედი ჯამაგირების დასაკმაყოფილებლად სესხის სახით აუღია 800000 მან

ხუთი თვეა ეს ხალხი უჯამაგიროთ არიან.

მდგომარეობის ასე გაგძელება შეუძლებელია.

მართალია მუშავდება საერთო დებულება, მაგრამ უნდა ითქვას სანამ ის კანონათ იქცეოდეს მანამდის კარგი დიდი დრო გაივლის.

ამ დახლართულ მდგომარეობაში ჩავარდნილი გამგეობა ბოლოს დაადგა ერთს აზრს. თემების გამგეობის შემადგენლობა შეემცირებია ერთ პირამდის და მთელი სიმძიმე მუშაობისა გადასულიყო თემის საბჭოებში, რომლებიც ყოველკვირას შეიკრიბებოდნენ და დირექტივებს მიცემდნენ აღმსრულებელ ძალას ერთ პირს. ეს ხარჯსაც შეამცირებდა და ამ ხარჯების დასაფარავად გამგეობა ფიქრობდა გადადებულებიყო გამგეობის სალაროდან 30% შემოსავლისა იმ გადასახადებისაგან, რაც ამა თუ იმ თემის ფარგლებში მოიკრიბება.

სარევიზიო კომისის მოხსენებიდან გამოირკვა რომ: სალაროს დავთარის მიხედვით რჩებოდა ნაღდათ სალაროში მდგომარე წლის იანვრისთვის 2356 12 მან. 04 კაპ., შემოსულა პირველ იანვრიდან მდგომარე 10 ივლისამდე მითვლით 54327932 მან. და 03 კაპ.. დახარჯულია ამავე დროს განმავლობაში 51476 434 მან. და 91 კაპ.. რჩება ნაშთი 11 ივლისისთვის 3087109 მან. და 61 კაპ.. რომლიდან ნაღდი ფული ქართული ბონებით არის 876920 მ. და 64 კაპ.. კერენსკის ბონები-63810 მან. თავისუფლების სესხის ბილეთები-2918 მანეთი. აზოვო-დონის ბანკის ჩეკი—2000 მან., ყალბი ბონები გორელების სასარგებლოდ შემ სული შე-

მოწირულებათაგან 1378 მან. და ნაწილობრივით განაღდებული ასიგნობებით 2140083 მან. 12 კაპ. რადგანაც სარევიზიო კომისიას განსაზღვრული, მოკლე დრო ჰქონდა, მან შესძლო გამოერკვია დაწვრილებით მხოლოდ ავანსებისა და სხვა პირთა ანგარიშები, მხოლოდ რაც შეეხება დანარჩენ ანგარიშებს და საზოგადოათ დაფარვის წარმოებას კომისია იძულებული გახდა მხოლოდ გადახედვით დაკმაყოფილებულიყო. ავანსების გაცემის საქმეში დარღვეულია არსებული ინსტრუქცია, ვინაიდან ერთ და იმავე პირზე გაცემულა 25 ავანსი და ერთიც არ არის დაფარული, როდესაც ინსტრუქციის ძალით მეორე ავანსი ერთ და იმავე პირს არ მიეცემა თუ კი არსებული არ დაფარა. დღემდე დაუფარავია შარშანდელი რამოდენიმე ასი ათასი მანეთის ავანსი. მდგომარე წლის იანვრისთვის რჩებოდა სამოკდაექვის სხვა და სხვა ანგარიშებზე 701607 მან. და 9 კაპ. ამავე დროს ზოგს ზედმეტი საბუთები აქვს წარმოდგენილი 11. 546 მან. 99 კაპ. კომისიამ შესძლო გამოერკვია მდგომარეობა მხოლოდ პირველი ივანობისთვის, ვინაიდან 1920 წ. დავთარებში ოპერაციები 23 ივნისამდისაა გატარებული და ივანობისთვის ბალანსი არაა შემდგარი. აღმოჩნდა, რომ ივნისისთვის რჩება დაუფარავი შარშანდელი ავანსების 549455 მან. და 66 კაპ. და წრევანდელია 3701823 მან და 28 კაპ. სულ კი 4201269 მან. და 54 კაპ. წელს ას თორმეტ კაცზეა გაცემული ავანსი. შარშანდელ 66 ავანსატორიდან მხოლოდ 12 კაცს დაუფარავს ზოგს მთლად და ზოგს ნაწილობრივ. კომისიამ გამოარკვია, არ არის საინვენტარო დავთარი და მხოლოდ ეხლა 1 ნოემბერს დაწყებულა მუშაობა საინვენტარო სიების შესადგენათ. არ წარმოებს მასალების ჯეროვანი ანგარიშები და სპეციალური დავთრების მოძრავ-უძრავის ქონებისას ჯერ არ არწარმოებენ. დაუსკვნელია შარშანდელი დავთრები. გადმოტანილია ნაშთი წასული წლისა წრევანდელ სპეციალურ დავთრებში, შარშანდელ დავთრებში ზოგან ჯამები არ ჩამოვდებ. ივანობისთვის ბალანსი სულ არ არის შემდგარი და ზოგ დავთრებშია გადარიცხული ოპერაციები გასულ 23 ივნისამდის, ზოგ დავთრებში შარშანდელი ოპერაციები არაა სავსებით შეტანილი.

არაა სავაჭრო დავთრების წარმოება. შეფასებისა და საბუთების უქონლობის გამო შემოსავალში არაა შეტანილი ეს თუ ის საქონელი და საგანი. საბიუჯეტო დავთრებიდან გამოირკვა, რომ წასულ წელში ნავარაუდები შემოსავალი სამესამედოდ არაა გამართლებული და გასული საანგარიშო წლიდან დიდ დეფიციტია მოსალოდნელი. არ არსებობს კონტროლი, ამიტომ ისეთი დიდ დაწესებულებებში, როგორც ერობა კონტროლის არარსებობა ყოველად მიუღებელია. არ წარმოებს ბუხგალტერიაში სადამობით მუშაობა, რის გამო შეუძლებელია დავთრებში მიმდინარე ოპერაციების გატარება.

თავმჯდომარე ლონ. გრიგოლია მომხსენებლის მოხსენებას დასძენს, რომ სანამდის ავანსი არ იქნება გამართლებული და დაფარული, ისე მეორე ავანსი არ უნდა მიეცეთ. თუ რამე ნაკლი აქვს ბუხგალტერიას ამის მიზეზი უმთავრად ის არის, რომ ერობა დატვირთულია უამრავი საქმებით, ამ ნაკლის გამოსწორება შეუძლია კონტროლს, რომელიც უნდა იქნეს შემოღებული დაჩქარებით.

გამგეობის თავმჯდომარე კ. სულაქველიძე აღნიშნავს და მოახსენებს ყრილობას, რომ ავანსის გაცემა საერთოდ აუცილებელი ხდება: ავანსებს სოფლებში, ვარიგებთ შასწავლებლას და პროვინციის მოსახლას ურეების ჯამაგირებად. მეტად გაძნელებულია სიმინდის შექმნა სოხუმის ოლქში, და უავანსოთ ამ ოპერაციის წარმოება შეუძლებელია; აგრეთვე ბალდათის გზის გამკეთებელს არ შეიძლება არ მიეცეს ავანსი, წყალტუბოში მიდის ხიდის გასაკეთებლათ და სწორეთ ეს მიზეზებია, რომ გვაიძულებს მივსცეთ ავანსი. როგორც კომისიამ აღნიშნა გამგეობა ფიქრობდა კონტროლის დაარსებას და შემოღებას, მაგრამ ამ მეტად საპასუხისმგებლო ადგილზე შესაფერი კაცი ვერ ვიშოვეთ. კონტროლის დაწესებას შეუძლია გაპოასწოროს ეს ნაკლი და წარმოება საერთოდ ერობაში დააყენოს მკვიდრ ნიადაგზე.

ხმ. ქოქრაშვილი აღნიშნავს, მეტად მნიშვნელოვანია ერობის ცხოვრებაში ბუღალტერიის დაყენება სწორ ნიადაგზე. ის ვერ მოითმენს თუ ყოველ დღის და თვის ბალანსები თავის დროზე არ დგება და ამიტომ ბუღალტერიის უწყესრიგობა დაღუპავს ერობის საქმეს და მიაქცევს ერობის ყრილ ყურადღებას. რომ ერობაში ბუღალტერია არ არის წესიერეთ დაყენებული, ანგარიშები არ არის შეტანილი და ბალანსებიც გამოყვანილი, რასაც არ უნდა ქონდეს ადგილი. აგრეთვე ავანსები არ არის ბევრი გამართლებული და დაფარული: ერთ პირზე რამდენიმე ავანსის გაცემა დაუშვებელია, მაგალითად 25 ავანსისა. ავანსი მეორედ მაშინ უნდა იცემოდეს, როდესაც პირველ ავანსის გამართლებულ საბუთს წარმოადგენენ. ავანსების გასამართლებელი საბუთი წარმოადგენელია და ავანსები დაფარულია, მაგრამ წიგნებში არ არის შეტანილი და ბუღალტერიას კი ამისათვის დროც და შესაფერი შტატიც ჰყავდა, რომ შეესრულებია და წიგნებში შეეტანა ყოველივე ზემოხსენებული. ასეთ გარემოებას შემდეგში ადგილი არ უნდა ქონდეს, და ამისათვის გამიგეობას დიდი ყურადღება უნდა მიექცია. ბუღალტერია ვერ მოითმენს გაგრძელებას, საქმის დაგვიანებას, აგრეთვე ბუღალტერიას ერობის მრეწველობის შესახებ არაფერი არ აქვს შეტანილი წიგნებში, რაც დიდ ნაკლად უნდა ჩაეთვალოს ბუღალტერიას. იმედს გამოსაქვამს სარევიზიო კომისია და მოითხოვს ფაქტიურ რევიზიას. ბოროტ მოქმედებას ადგილი არ აქვს მაგრამ, ნაკლი არის და საჭიროა მისი გამოსწორება, დიდი საჭიროა კანტროლის შემოღება. დასძენს, რომ სარევიზიო კომისიამ ვერ გაამართლა იმედი, შესაფერად ვერ შეათვასა ბუჭალტერიის ნამოქმედარი გამოეშკარავებია ნამდვილი დეფექტები და მსჯავრიც სწორედ დაედო.

გამგეობის თავმჯდომარე განმარტავს, რომ დეფექტების ერთ ერთი მიზეზი არის ის, რომ ბუჭალტერიის მკოდნე პირები ვერ ვიშოვეთ, ყველა საშვალეებზე მივმართეთ მკოდნე პირების საშოგნელად, პროფესიონალურ კავშირებს და სხვას, მაგრამ ვერსად ვერაფერი ვერ გავხდით. ბალანსები თვის ბოლოს უნდა ყოფილიყო შემდგარი და დამთავრებული, მაგრამ სალამობით მუშაობა ბუხგალტერიაში აკრძალა ერობის მოსმსახურეების პროფესიონალურმა კავშირმა. ავანსები დიდი თანხის არ არის გაცემული. ოთხი მილიონი ნამდვილად ავანსი არ

არის, რადგან ერთი მილიონი მასწავლებლების ჯამაგირების დასარიგებლათ მივეციტ მოლარეს, ფული უკვე დარიგებულია, მაგრამ ჯერ წიგნებში გატარება ვერ მოვასწარიტ; სიმინდის ოპერაციებისათვის 600,000 მან. იქნა გაღებული; სიმინდი უკვე მოტანილია—მხოლოდ მოხსენებულ მიზნების გამო გატარება წიგნებში ვერ მოვასწარიტ.

გამგეობის მოღვაწეობის შესახებ ყრილობა იღებს შემდეგ რეზოლუციას: ქუთაისის სამაზრო ერობის მეხუთე ყრილობა გამგეობის თავმჯდომარის მოხსენება ახსნა-განმარტების და სარევიზიო კომისიას მოხსენებების შემდეგ იწონებს გამგეობის მოღვაწეობას და საჭიროდ სთვლის მიუთითოს გამგეობას, რომ სარევიზიო კომისიის მიერ ნაჩვენებ დეფექტებს მომავალში ერობის ბუხგალტერიაში არ ქონდეს ადგილი და წინადადებას აძლევს ერობის გამგეობას ამ მხრივ ნაკლის გამოსასწორებლად მან შემოიღოს ბუჰგალტერიაში საღამობით მუშაობა, ან გაადიდოს შტატი და დაუყონებლივ გახსნას საკანტროლო განყოფილება. ამასთანავე არდგენს, რომ მომავალი ყრილობისათვის მოხდეს ფაქტიური რევიზია, შემოღებულ იქნას სავაქრო დავთრების წარმოება და შედგენილი წიგნები და სხვა.

თავთა ცხოვრება

ობუჯის თემი (ზუგდიდის მაზრა). ამ თემის ერობის მუშაობა მეტად საქმიანი და ნაყოფიერია. თუ სხვა მაზრის ზოგიერთ თემებში სხვა და სხვა მიმართულების ხმოსნები უბრალო პარტიულ კინკლაობაში კარგავენ დროს აქ ყველა მიმართულებას საერთო ენა გამოუძებნია და საერთო საქმეს ყველა ერთ ნაირის გულმოდგინებით ეკიდება. თემის გამგეობას თავის არსებობის მოკლენის (1919 წლის ნოემბერ.) განმავლობაში ძალიან ბევრი საქმეები გაუკეთებია.

ობუჯის თემს შუაში მდ. ჭანის წყალი ჩაუდის, რომელმაც ზაფხულობით საშინელი აღიდება იცის და გასულ წლებში არა ერთი და ორი მსხვერპლი შეუწირავს კიდევ, და აი ობუჯის თემის ერობამ თავის პირველ მიზანათ დაისახა ამ მდინარეზე ხიდის გადება და თემის ორივე ნაწილის მკიდროდ შეკავშირება, რაც სისრულეში მოიყვანა კიდევ. სამაზრო ერობის ტეხნიკოსმა, რომელიც საგანგებოთ იყო მოწვეული დაათვალიერა ეს ხიდი, მოიწონა ის და 150 ათასი მანეთი დააფასა. აღსანიშნავია, რომ ხიდის გაკეთების დროს ტეხნიკოსის მოვალეობას ასრულებდა თვით თემის თავმჯდომარე.

მეორე საქმე, რასაც მიაქცია თემის ერობამ ყურადღება იყო გზები. ხალხი გამგეობის პირველ დაძახებისათანავე ხალხით გამოვიდა სამუშაოდ და როგორც

სამაზრო მნიშვნელობის, ზუგდიდ-წალენჯიხის, გზაზე, რომელიც ობუჯს ჩაუდის ისე დანარჩენ სათემო გზებზედაც უკვე სწარმოებს, სამაზრო ერობის ტენიკოსის მიერ მიცემული გეგმით, მუშაობა.

მესამე, რასაც ყურადღება მიაქცია თემის ერობამ ეს იყო ზრუნვა თემის მცხოვრებთა ჯანმრთელობაზე. ამ მიზნით თემის ერობამ, ზუგდიდის სამაზრო ერობასთან ერთად, საამხანაგოდ, გახსნა ობუჯში საერობო ავთიაქი და მოაწყო საკუთარი ხარჯით საფერშლო პუნქტი.

ზუგდიდის მაზრა გასულ ზაფხულში, უსურსათობისა გამო მწვავე კრიზისს განიცდიდა. რასაკვირველია. გამონაკლისს ამ მხრივ არც ობუჯის თემი შეადგენდა. რომ უზრუნველ გვეყო მცხოვრებნი სურსათის ნაკლებობისგან თემის ერობამ სამაზრო ერობიდან შეიძინა 200 ათასი მანეთის მატყელი, მარილი, ნავთი და სხვა და ამ საქონლებზე გადაცვლილი ხიმინდის მიწოდებით შესძლო საშინელი კრიზისის საკმაოდ შენელება.

რომ თემის მცხოვრებთ შეძლება მიცემოდათ თავიანთი ნაწარმოების (შალები, დარაია, შინაური საქონელი და სხვ.) ადგილობრივ გასაღების, ერობამ მოაწყო ორ-კვირიანი (ყოველ-წლიური) იარმუკა, რაც ჩინებულათ ჩატარდა კიდეც.

თემში უკვე მოწყობილია ტელეფონი. გამგეობას ახლა აძრული აქვს სამაზრო ერობის წინაშე შუამდგომლობა საფოსტო ყუთის მოწყობისა და საფოსტო ნიშნების ადგილობრივ გაყიდვის ნებართვის შესახებ და საკირო თანხაც უკვე აქვს წარდგენილი სამაზრო ერობის სალაროში.

ობუჯის თემის ერობას არც სხვა კულტურული საქმეები აქვს მივიწყებული. როდესაც მან შენიშნა, რომ აქ არსებული მომხმ. კოოპერატივში არ იყო საქმე კარგათ დაწყებული, თითონ იკისრა მისი გამოსწორება, მოიწვია საზოგადო კრება და კოოპერატივი ჩააბარა თემში ყველასაგან პატივცემულ და საიმედო პირთ. ასეა ობუჯის შემნახველ-გამსესხებელ ამხანაგობაში.

კიდეც მეტი-თემის გამგეობის დახმარებით, რომელმაც იკისრა ამისათვის შესაფერი, საგანგებო, ბინის მოწყობა, აქ შესდგა მუდმივი დრამატიული წრე, რომელიც სისტემატიურად დგამს სახალხო წარმოდგენებს და მიუღიდათ უწყობს ხელს მასის გათვითცნობიერებას. წრეში უმთავრესათ იგივე თემის ხმონები არიან.

განზრახული აქვთ. კრამიტსა და სახერხი მანქანების მოწყობა, რის გარშემო უკვე სწარმოებს წინასწარი მუშაობა.

ობუჯის თემის უმთავრეს საზრუნავ საგანს შეადგენს ახლა უმაღლეს-დაწყებითი სასწავლებლის დაარსება, რაზედაც ის ენერგიულათ მუშაობს. უსურვებთ ობუჯის თემის ერობას და მის ენერგიულ გამგეობას, ისეთივე ენერგიით, როგორც აქამდე, ეწარმოებოს საზოგადო საქმე, თემისა და ჩვენი ნორჩი რესპუბლიკის საკეთილდღეობთ.

ოფურჩხეთის თემი (ქუთაისის მაზ.)

19 ენკენისთვის ევროპის მუშათა კლასის დელეგაციის საქართველოში მოგზაურობის გამო ოფურჩხეთის თემის ყრილობამ შემდეგი დადგენილებანი გამოიტანა თავის საგანგებო კრებაზე:

1. „ოფურჩხეთის თემის გამგეობამ და ხმოსანთა შეერთებულმა საგანგებო კრებამ იქონია მსჯელობა საქართველოს პოლიტიკურ ეკონომიურ ცხოვრების გასაცნობათ ჩამოსულ ევროპის მუშათა კლასის დელეგაციის შესახებ და გაითვალისწინა რა თავჯდომარის მოხსენებით მათი სტუმრობის უაღრესი სახალხო მნიშვნელობა სამშობლო მხარისათვის, — დაადგინა: საქართველოს დღევანდელ ცხოვრებაში ამ მოვლენის აღსანიშნავათ უწოდოს სახელი ოფურჩხეთის სამ ახალ კულტურულ დაწესებულებას: სამკურნალო პუნქტს, (რომელსაც შემდეგში შემატება საავადმყოფოც), საერბო სკოლას და მომავალს კოოპერატივ „ერთობა“-ს „ორმარკით“ საქართველოს მთავრობის თავჯდომარის ნოე ჟორდანიასი, გერმანელ კარლ კაუცკის და ბელგიელ ემილ ვანდერველდესი.

ამასთანავე მიეძღო გაჩვეობის თავჯდომარეს აცნობოს მთავრობის თავჯდომარეს თემის გადაწყვეტილება დეპუტით და გამოითხოვოს მისგან ამის ნებართვა“.

2. კრებამ მოისმინა სარევიზიო კომისიის მოხსენება თემის კანცელარიის რევიზიის შესახებ, მიიღო იგი, დაამტკიცა და ჩაიბარა ყოველივე ინვეეტარი და ფული.

3. განიხილა ოფურჩხეთის თემის სკოლების მომავალი ხარჯთ-აღრიცხვა, შეასწორა ისინი, დაამტკიცა და დაავალა გამგეობას იზუამდგომლოს ქუთ. სამაზრო ერობის გამგეობის წინაშე, რათა მან აღმოუჩინოს ოფურჩხეთის თემის სკოლებს შესაფერი ნივთიერი დახმარება როგორც ახლებისათვის შენობის შექმნაში, ისე ძველების შეკეთება—მოწყობაში.

4. კრებამ დაადგინა: გამოაცხადოს მთელი თემის მცხოვრებლებს, რომ სკოლაში ორთავე სქესის ბავშვების სწავლა სავალდებულოა; და აგრეთვე გამოაცხადოს ყველა მსურველთ, რომ საკვირაო სკოლებში სწავლება ხალხისათვის უფასოა და შეუძლიანთ ისწავლონ ორთავე სქესმა.

5. მასწავლებლებისა და ექიმის მოხსენებით კრებამ იქონია მსჯელობა სკოლისა და საექიმო პუნქტის მახლობლათ დუქნებსა, გზაზე და მინდორში არღნების თამაშის შესახებ და სცნო მათი ახალგაზრდობაზე გამრყენელი გავლენა და დაადგინა: აეკრძალოს შეარღნებეს სკოლისა და პუნქტის მახლობლათ არღნით თამაში და ქეიფობა. წინააღმდეგ შემთხვევაში დაჯარიმდეს დამნაშავე 5000 მან. თემის სასარგებლოთ.

6. კრებამ იქონია მსჯელობა თემის საკანცელარიო ხარჯების დასაფარავად საშუალების გამონახვის შესახებ და დაადგინა: თითოეულ მოწმობაში, რომელსაც მოითხოვენ მცხოვრებლები საქონლისა გასსყიდათ, გადახდეს 50 მან. მსხვილ პირუტყვებზე, ხოლო წვრილზე 25 მ. რაც ჩაიწერება წიგნებში და მიეცემა პატრონს კვიტანცია.

მიიღება ხელის მოწერა 1920 წლისათვის ორგანიზებულ ჟურნალ

წელიწადი პირველი „**მრობა**“ — **8** წელიწადი პირველი

ორგანო ერობათა კავშირის კომიტეტისა. ჟურნალი მიზნათ ისახავს ერობის ცხოვრების თეორიულ და პრაქტიკულ საკითხების ყოველმხრივ გარკვევა-გაშუქებას.



რედაქციისაგან:

რედაქცია სთხოვს ყველა საეროხო და საზოგადოდ თვითმართველურ ერთეულებს მოგვაწოდონ ადგილობრივი ცხოვრებიდან მასალები: მნიშვნელოვანი რეზოლიუციები და დადგენილებანი, წერილები, სტატისტიკური ცნობები, გამოცემანი.

თანამშრომლებს ვთხოვთ წერილები დაწერილი იყოს ერთ გვერდზე მელნით და გარკვევით.



ე 81
1920

მიიღება ხელის მოწერა გაზეთ

„ერთობა“-ზე


ორგანო საქართველოს სოციალ-დემოკრატიულ
ბუფათა პარტიის ცენტრალური კომიტეტისა.



გაზეთი ღირს ღვეში 250 მანეთი. ცალკე ნომერი ყველგან
10 მანეთი.

რედაქცია და კანტორა იმყოფება: ერთობის ქ. № 4.

ტელეფონი 16—62.



ფასი 50 მანეთი